პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

№113 (12 182)

16 მაისი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ხვალ ახალი არჩევნებია

დღეს 18 საათზე რეგისტრაციის ვადა იწურება.

ვინ იყრის კენჭს?

ლევან ყიფიანს არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ აქვს



მამუკა კვარაცხელია კანდიდატურას ისევ წამოაყენებს

გიორგი ნემსაძე თამაშიდან გასულია

როგორ მოიქცევა ნოდარ ახალკაცი?



www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალური ყრილობის გამოხმაურება

უჩა უგულავა

ბრიფინგი

დღეს რეგისტრაცია, ხვალ არჩევნები

გუშინ, საღამოს 8 საათზე ფეხბურთის ფედერაციაში გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ** მორიგი ბრიფინგი გამართა, რომელიც რაღა თქმა უნდა ფედერაციის პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნებს უკავშირდებოდა:

- ხუთშაბათს, 2007 წლის წლის 15 მაისს, 11 საათზე ტექნიკურ ცენტრ "ბასაში", ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე, მე-13 საარჩევნო ყრილობა გაიმართება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობის ჩატარების აუცილებლობა და პროცედურა შეთანხმებულია ფიფასა და უეფასთან. რიგგარეშე ყრილობაში მონაწილეობას მიიღებს უეფას დელეგატი.

მე-13 რიგგარეშე, საარჩევნო ყრილობაში მონაწილეობის უფლება აქვთ, 2007 წლის 13 მაისს ჩატარებული ფედერაციის მე-12 ყრილობისთვის წარდგენილ დელეგატებსა და ამავე ყრილობისთვის წარდგენილ პრეზიდენტობისა და აღმასრულებელი კომიტეტის კანდიდატების.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატთა და ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრობის კანდიდატთა სურვილი, სფფ-ის მე-13 რიგგარეშე საარჩევნო ყრილობაში კანდიდატის სტატუსით მონაწილეობის თაობაზე, წარდგენილი უნდა იქნას წერილობითი ფორმით ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ სამდივნოში 2007 წლის 16 მაისს 18 საათამდე. 2007 წლის 17 მაისს ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე საარჩევნო ყრილობაში რეგისტრაცია დაიწყება 09:30 საათზე.

უჩა უგულავას განცხადებას კითხვა-პასუხები მოჰყვა.

- მიიღებს თუ არა რიგგარეშე არჩევნებში მონაწილეობას ნოდარ ახალკაცი?

- მას ფედერაციის გენერალურ სამდივნოში ოფიციალური წერილობითი დასტური ჯერ არ შემოუტანია. სავარაუდოდ, ახალკაცი ამ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს.

- რიგგარეშე არჩევნებზე უეფადან დელეგატად ვინ იქნება, ბრუნო ვოლფისბერგი?

- დიახ, უეფას დელეგატი თბილისში ხვალ ჩამოვა.

- რიგგარეშე არჩევნებში 13 მაისს რეგისტრირებული კანდიდატების გარდა, სხვას რატომ არ შეუძლია მონაწილეობის მიღება? ამას რის საფუძველზე აცხადებთ?

- ამჟამინდელი მდგომარეობა ექსტრაორდინალურ ვითარებადაა შეფასებული. ასეთი ფორსმაჟორული სიტუაციისას ჩვენი ფედერაციის წესდებით, ფიფასა და უეფას დებულებით ვხელმძღვანელობთ. ადრეც გითხარით და ახლაც ვიმეორებ, ჩვენ ინტენსიური კონსულტაციები გვაქვს უეფასა და ფიფასთან. არჩევნების ჩატარების აუცილებლობა და საჭიროება ფიფა-უეფასთანაა შეთანხმებული.

ასე რომ, დღეს დილიდან ფედერაციის გენერალური სამდივნო 13 მაისის ყრილობისთვის რეგისტრირებული კანდიდატების წერილობით თანხმობას 18 საათამდე ელის. ჩვენი ინფორმაციით ნოდარ ახალკაცი 17 მაისის რიგგარეშე არჩევნებში მონაწილეობაზე წერილობით თანხმობას შეიტანს. ამავე აზრისაა მამუკა კვარაცხელიაც.

დავით ცაბაძე

სატირა ტრაგედიაზე

პეტრიაშვილი დელეგატებს ყრილობის ბოიკოტისკენ მოუწოდებს

უეფას მედიაოფიცერმა **მამუკა კვარაცხელიამ** ქართულ ფეხბურთზე ხელი ჩაიქნია. ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა და **გიორგი ნემსაძის** პოსტიდან იძულებითმა გადადგომამ ფედერაციასთან მებრძოლი კვარაცხელია სხვა ტალღაზე დააყენა.

მამუკა კვარაცხელია შოუსთვის ემზადება

გუშინ მან პრესკონფერენცია გამართა, თუმცა იმას, რაც საბილიარდო "12 სკამში" ხდებოდა, უფრო ერთი მსახიობის თეატრს წააგავდა.

მან ოთხი ლოზუნგი გამოაკრა და თითოეულის დასაბუთებას შეუდგა.

1. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას დავარქვათ "ნოდარას დუქანი".

- როცა არჩევნებში დელეგატების ნება უგულებელყოფილია, "ნოდარას დუქანია", სხვა სახელი ამას არ შეეფერება. ამ თეზისის გაგრძელებაა მეორე ლოზუნგი:

2. ნოდარ ახალკაცი (თურქმენბაში) - მუდმივ პრეზიდენტად.

- რადგან ხელისუფლებას მისი პრეზიდენტობა სურს, ბუნებრივია, მუდმივი პრეზიდენტი იქნება. ალბათ, მალე ახალკაცს ისე მიმართავენ, როგორც ზევსსს, "დიდო ნოდარ", "ჩვენო გადამრჩენო" - ესაა ქვეყანა?!

3. კლაუს ტოპმიოლერს მიმართეთ - ალუუ, კლაუს!

- მეგობრებო, ამიერიდან ჩვენი ნაკრების მთავარ მწვრთნელს მოკრძალებით როგორც "ზევსს"ისე უნდა მივმართოთ, რომ არ განაწყენდეს, არ წავიდეს და საქართველო არ გააუბედუროს.

4. საქართველოს დავარქვათ - რამე...

- მაგალითად, შეიძლება სახელად მოვიფიქროთ ბანანის ქვეყანა, ან მსგავსი რამ, რადგან ჩვენთან ყველაფერი შესაძლებელია, ყველა ყველაფერს გვიბედავს და სამართალი ფეხებზე დაიკიდეს.

ამასობაში ერთი მსახიობის თეატრი ორი მსახიობის თეატრად გადაიქცა, რადგან საუბარი პრესკონფერენციაზე დაგვიანებით მოსულმა ქომაგთა ლიგის პრეზიდენტმა **ზურაბ პეტრიაშვილმა** გააგრძელა:

- ნემსაძის გადადგომამ გამსახურდიას დამხობა გამახსენა. განსხვავება ისაა, რომ სისხლი არ დაღვრილა, თორემ გიორგი დაამხეს.

ეს არის ძალიან წესიერი და სუფთა გულის ადამიანი. მისი ნაკლია, რომ სატელევიზიო ეთერში თამამად ვერ საუბრობს და სწორედ ამის გამოყენებას ცდილობდა ახალკაცი. მე კი მსურს, ბატონი ნოდარი გამოვიწვიო დებატებში და ვნახოთ, ერთი რას მეტყვის.

როგორც ჩანს, ქართული ფეხბურთის სამართავად დამსახურება საკმარისი არაა. მთავარია, ხელისუფლებას მოწონდე და ნებისმიერ პოსტს დაიკავებ. ეტყობა, ნემსაძის კანდიდატურას თავიდან იმიტომ არ შეეწინააღმდეგნენ, რომ ახალკაცის გამარჯვება არ აეჭვებდათ, მაგრამ დასრულდა ყრილობა და ყველამ ვნახეთ ხელისუფლების წარმომადგენლების გაოგნებული სახეები.

მიმაჩნდა, რომ ნოდარ ახალკაცი ყველა წესის დაცვით უნდა დაგვემარცხებინა და ნემსაძეს გვერდში ამიტომაც დავუდექი. რადგან ასეთი სამარცხვინო ამბები დატრიალდა, პროტესტის ნიშნად, ვტოვებ სადისციპლინო კომიტეტს და მოვუწოდებ ყველა კანდიდატსა და დელეგატს - ბოიკოტი გამოუცხადონ ფედერაციის ყრილობას. ნოდარ ახალკაცს არჩევნებში მონაწილეობის უფლება სინდისმა არ უნდა მისცეს. და რაც მთავარია - იმ ძალის მხრიდან, რომელმაც ნემსაძე ამ გადაწყვეტილებამდე მიიყვანა, დემოკრატიაზე საუბარი უნდა დამთავრდეს!

ჟურნალისტების მიკვირს, რატომ არ ეკითხებით ფედერაციის დამარცხებულ ხელმძღვანელებს, რატომ აღარაა პრეზიდენტი ნემსაძე და თავად რატომ აპირებენ ფედერაციაში დაბრუნებას? ხალხმა ხომ სხვა ხელმძღვანელობა აირჩია! კომუნისტებმა ვერ გაბედეს 1990 წელს საფეხბურთო საზოგადოების და, საერთოდ, ხალხის ხმის ჩახშობა და ყრილობის გადაწყვეტილება აღიარეს. დღეს ხომ დამოუკიდებელი ქვეყანაა და გაცილებით დემოკრატიული, ვიდრე 1990 წელს? ნოდარ ახალკაცი და მისი გუნდის წევრები არ იყვნენ, ნემსაძეს გამარჯვება რომ მიულოცეს? უკან რა პირით ბრუნდებიან?

ვლადიმერ გუცაევი მაგარი კაცი ყოფილა. არჩევნების შემდეგ ალალად ილაპარაკა. ალბათ, შემთხვევითი არ იყო, რომ დიუსელდორფში გოლი გაიტანა და, საერთოდ, ყველა მნიშვნელოვან შეხვედრას უმაღლეს დონეზე ატარებდა.

ცალკე შევეხები ვეტერანთა კავშირს: როდესაც დამოუკიდებელ ფედერაციას ვაყალიბებდით, ისინი საბჭოთა პირველობას მისტიროდნენ და გამოსვლა არ სურდათ. გავიდა დრო და ახლა დადგა ის მომენტი, როდესაც ხმა უნდა ამოეღოთ, მაგრამ ახლაც დუმილს ამჯობინებენ. თუკი ამ უმსგავსობაზე სიტყვას არ დაძრავენ, ჩათვალეთ, რომ ვეტერანთა კავშირი პატივაყრილთა საზოგადოება იქნება.

მერაბ მამულაშვილი

ასათიანი ლიტვასა და საფრანგეთს გამოტოვებს

მალხაზ ასათიანი საქართველოს ნაკრებს ვერც მომდევნო ორ შეხვედრაში დაეხმარება. ჩვენს გუნდს 2 ივნისს ლიტვასა და 6 ივნისს საფრანგეთში ელის მატჩები. მოსკოვის "ლოკომოტივის" ქართველ მცველს თამაშის უფლებას კიდევ ერთი თვე არ აძლევენ. მალხაზი საერთო ჯგუფში ვარჯიშობს, მაგრამ მოსკოვური კლუბის ექიმის მითითებით ორთაბრძოლაში შესვლა აკრძალული აქვს. "*ყველა ვარჯიშს ვასრულებ, მაგრამ ვარჯიშისას ორთაბრძოლას ვერიდები. ჩემს მუხლს ჯერ კიდევ სჭირდება მომაგრება. ოფიციალურ მატჩში გამოსვლას ერთ თვეში ვგეგმავ*", - განაცხადა ასათიანმა რუს ჟურნალისტებთან საუბარში.

შარშან, 23 სექტემბერს ცსკასთან მატჩის მეათე წუთზე მალხაზ ასათიანს არმიელი **ივიცა ოლიჩი** ეუხეშა და მუხლი დაუზიანა. მას მერე ასათიანს არსად უთამაშია. ექიმები ქართველის გამოჯანმრთელებას მარტისთვის ვარაუდობდნენ, მაგრამ, როგორც ხედავთ, სარეაბილიტაციო პერიოდმა მეტი დრო წაიღო.

ნიკოლოზ ნეფარიძე

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

სირცხვილი და თავის მოჭრა!

ლევან ბერძენიშვილი

წინასაარჩევნოდ ჩვენი სტუმარი პარლამენტარი ლევან ბერძენიშვილი იყო. იგი საფეხბურთო ნიუანსებში საკმაოდაა გათვითცნობიერებული და ვფიქრობთ, მისი აზრი ფედერაციის არჩევნების შესახებ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს. ბატონი ლევანი მოკლე კომენტარით შემოიფარგლა.

„ეს მხოლოდ ქართული ფეხბურთისთვის კი არა, მთელი საქართველოსთვისაა თავის მოჭრა. მართალია, პირადად მე ნოდარ ახალკაცის კანდიდატურა უფრო მომწონდა, მაგრამ რაკი გიორგი ნემსაძე აირჩიეს, პრეზიდენტიც ის უნდა ყოფილიყო.

არასერიოზული და სამარცხვინოა ნემსაძის განცხადება. რას ჰქვია, პრეზიდენტობა თვითმიზანი არ იყო, აბა რისთვის იყარა კენჭი?! გასაგებია, რომ ზეწოლას ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამ საქციელით მის პიროვნებასა და რეპუტაციას უდიდესი ჩრდილი მიადგა.

არანაკლები ჩრდილი მიადგა ნოდარ ახალკაცს. როგორც ვიცი, იგი პრეზიდენტობაზე უარს არ იტყვის. მას აქამდე დიდ პატივს ვცემდი, მაგრამ დღეიდან ჩემი და საფეხბურთო საზოგადოების უდიდესი ნაწილის თვალში მისი ავტორიტეტი ნულის ტოლფასი იქნება. ღირსეული ადამიანი საკუთარ კანდიდატურას მოხსნიდა, ვწუხვარ, რომ ახალკაცს ამდენი შეგნება არ აღმოაჩნდა.

13 მაისს განვითარებულმა მოვლენებმა არა მხოლოდ ახალკაცის, კლაუს ტოპმიოლერის შრომასაც კი დაუკარგა ფასი. ერთი სიტყვით, საშინელი მდგომარეობაა, ამ სირცხვილს ქართული ფეხბურთი, ალბათ, ვერასდროს ჩამოირეცხავს. წააგო ქართულმა ფეხბურთმა, ქართულმა პოლიტიკამ. ყველაფერი ეს კი კირკიტაძისა და ბოკერიას სამარცხვინო ნაბიჯებმა გამოიწვია.

ვფიქრობ, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობისთვის ყველაზე შესაფერისი კაცი ვლადიმერ გუცაევია, გარდა იმისა, რომ უდიდესი ფეხბურთელია, ზურგს სათანადო გამოცდილებაც უმაგრებს".

ლევან ჯანეზაშვილი

თასის ფინალამდე დარჩა 10 დღე

რუსთავი 2 ქართული ფეხბურთით დაინტერესდა

26 მაისს დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის "ყაზბეგის" გათამაშების ფინალი გაიმართება. "ამერი" ზედიზედ მეორედ დაუპირისპირდება "ზესტაფონს".

მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს "რუსთავი 2" გადასცემს. გუშინ სამაუწყებლო კომპანიის შენობაში პროფესიული ფეხბურთის ლიგის, თასის სპონსორის, "ყაზბეგისა" და "რუსთავი 2"-ის ხელმძღვანელებმა ერთობლივი ბრიფინგი გამართეს, რომელიც **დიმიტრი ობოლაძემ** გახსნა:

- ბოლო დღეებში დატრიალებული მოვლენების შემდეგ, მაყურებელს და ხალხს რაღაც დადებითი ემოცია უნდა ვაჩუქოთ. ვფიქრობ, თასის ფინალი სწორედ ასეთი სანახაობა უნდა იყოს, "რუსთავი 2" კი მის მაღალ დონეზე გაშუქებას უზრუნველყოფს.

მატჩის რეპორტაჟს 12 კამერით ვაწარმოებთ, სტუდია პირდაპირ მოედანთან იქნება. რეპორტაჟი მატჩის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე დაიწყება, დილიდან კი მოკლე-მოკლე ჩართვებით შევეცდებით მაყურებლის დაინტერესებას. ჩართვები შესვენებაზეც იქნება, მატჩის შემდეგაც და დაჯილდოებით დასრულდება.

დიმიტრი რამიშვილი, პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტი: *"ნებისმიერი ტურნირი კომერციული უნდა გახდეს. ამ საქმეში ტელეკომპანიებს უდიდესი როლი ეკისრებათ. უცხოეთში უკვე დაინტერესდნენ ქართული ფეხბურთით. მთავარია, მათ ხარისხიანი პროდუქცია მივაწოდოთ. ამიტომ მოვიწვიეთ ფინალისთვის ინგლისელი რეჟისორი და გადამღები ჯგუფი. ლიგა "რუსთავი 2-თან" ერთად ხარისხიან პროდუქტს შესთავაზებს მაყურებლებს, მათ შორის, უცხოელებსაც"*.

გოგი თოფაძე, "ყაზბეგის" გენერალური დირექტორი: *"მართლაც საჭიროა ბოლოდროინდელი მოვლენების შემდეგ ხალხს პოზიტიური მოვლენა ვუჩვენოთ. იმედია, ბოლო 15 წლის ჩავარდნის შემდეგ, ფედერაცია უახლოეს პერიოდში გამოასწორებს ვითარებას. ხალხს და ბიზნესჯგუფებს მოვუწოდებთ, ეროვნული სიამაყის დონეზე ავიყვანოთ ქართული ფეხბურთი"*.

ამ განცხადებების შემდეგ "რუსთავი 2-ის" გენერალურმა დირექტორმა **კობა დავარაშვილმა** და დიმიტრი რამიშვილმა მატჩის რეპორტაჟის შესახებ ხელშეკრულება გააფორმეს.

"ეს ერთჯერადი ხელშეკრულება ჩვენი ურთიერთობის დასაწყისია" - გვითხრა ლიგის პრეზიდენტმა. დავარაშვილმა კი უფრო საინტერესო სიახლე გაგვანდო: *"ჩვენი კომპანია მალე საქართველოს ჩემპიონატს გააშუქებს. ფეხბურთი ყველა ქვეყანაში მომგებიანია და იგივე ჩვენთანაც შესაძლებელია"*.

მერაბ მამულაშვილი

19-წლამდელთა ნაკრები. ელიტრაუნდი

მეტოქეებმა უძლიერესი შემადგენლობები შეკრიბეს

ქართველების პირველი მეტოქე პორტუგალიელები იქნებიან

გუშინდელ "ლელოში" საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობა გაგაცანით, რომელთაც შოტლანდიაში, ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში მოუწევთ ქვეყნის ღირსების დაცვა. ამჯერად კი მეტოქეების შემადგენლობებს გადავავლოთ თვალი. ოთხგუნდა ჯგუფიდან ფინალურ ეტაპზე მხოლოდ გამარჯვებული გადის და საინტერესოა, ვისთან მოუწევთ ქართველებს დაპირისპირება.

პორტუგალია

მეკარეები: უგო ვენტურა (პორტუ), რუი პატრისიუ (სპორტინგი).

მცველები: ბურა (პორტუ), ლუიშ პორტელა (ვიტორია), იაგო ფერნადეში (ვალენსია), დანიელ კარიგო, ტიაგო პინტუ (ორივე სპორტინგი), კარლოს ალვეში (ბელენენსეში).

ნახევარმცველები: ბრუნო პერეირინა, ჟოაო მარტინში (ორივე სპორტინგი), რუი პედრო, კასტრო (ორივე პორტუ), ივან სანტუში (ბოავიშტა), სტელვიო კრუზი (ბრაგა).

თავდამსხმელები: კანდეიაში, მონტეირუ (ორივე პორტუ), ორლანდო სა (ბრაგა), ფაბიო სოენტრაო (რიუ ავე).

შოტლანდია

მეკარეები: სკოტ გალაჰერი (რეინჯერსი), ალან მარტინი (მოზერველი).

მცველები: სკოტ არფილდი, ტომას სკობი (ორივე ფალკირკი), პოლ კადისი (სელტიკი), სტივენ კინიბურგი (რეინჯერსი), დარენ მაკორმაკი (ჰიბერნიანი), ალექს პირსი (რედინგი, ინგლისი).

ნახევარმცველები: გრეგ კამერონი (დანდი იუნაიტედი), რაიან ფლაინი (ლივერპული, ინგლისი), კევინ მაკდონალდი (დანდი), ფრეზერ მაკლარენი (გრეტნა), მარკ მილერი (სელტიკი), დარენ სმიტი (მოზერველი).

თავდამსხმელები: ენდი კეროლი (ნიუკასლი, ინგლისი), დევიდ გუდვილი (დანდი იუნაიტედი), სტივენ ლენონი (რეინჯერსი), კრის მაგუაირი (აბერდინი).

თურქეთი

ანილ კარაერო (გალათასარაი), უგურ დემიროქი (გაზიანთეპი), ფერჰათ ხირაზი (გენჩლერი), ოზგურქან იოზქანი (კაისერი), მურათ დურუერი (ანკარაგუჯუ), კადირ კერეში (ტრაბზონი), ათილა იოზმენი, ილჰან ასლანოლლუ (ორივე ალთაი), ერქან ფერინი (ბიოკშექირი), ონურ რესეპ კივრაქი (კარსიაკა), ემრე ბალაკი (სამსუნი), მურათ ჩეილანი (გასკიასპორი), მუსტაფა პეკტემექი (სარიერი), უმით კოჩინი (არმინია, გერმანია), თევრიქ კიოშე (ლევერკუზენი, გერმანია), დენიზ ილმაზი (ბაიერნი, გერმანია), ფერჰათ ბიკმაზი (ჰანოვერი, გერმანია), აიქუთ დემირი (ბრედა, ჰოლანდია).

თურქები ელიტრაუნდისთვის ჩინებულად მოემზადნენ. მათ არაერთი ამხანაგური მატჩი გამართეს. შინ მაკედონია (3:0) და ჰოლანდია (1:0) დაამარცხეს. სტუმრად პოლონეთთან ჯერ 2:2 ფრე ითამაშეს, მერე კი 2:0 მოუგეს. ინგლისთან სტუმრად კი მხოლოდ მინიმალურად (0:1) დამარცხდნენ.

ბოლოს კი ტურნირის კალენდარსაც გაგაცნობთ:

23.05.07. შოტლანდია-თურქეთი (დანდი. "დენს პარკი")
პორტუგალია-საქართველო (პერსი. "მაკდერმიდ პარკი")
25.05.07. **შოტლანდია-საქართველო** (პერსი. "მაკდერმიდ პარკი")
თურქეთი-პორტუგალია (დანდი. "დენს პარკი")
28.05.07. პორტუგალია-შოტლანდია (დანდი. "ტენედის პარკი")
საქართველო-თურქეთი (დანდი. "დენს პარკი")

დღეს საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ჰაინც ტოპმიოლერი** პრესკონფერენციას გამართავს

დავით ცაბაძე

ლეგიონერები

ამისულაშვილი სიმბოლურშია

ნალჩიკის "სპარტაკმა" რუსეთის პრემიერლიგის მეცხრე ტურში "მოსკვას" 1:0 მოუგო. ყაბარდოელებმა მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვეს, რაშიც საკმაოდ დიდი წვლილი **ალეკო ამისულაშვილმა** შეიტანა.

ის დაცვაში ძალიან საიმედო იყო და შეტევებშიც ხშირად და სასარგებლოდ ერთვებოდა. 22-ე წუთზე საჰაერო ბრძოლა მოიგო და თავურით ბურთი კარისკენ გაუშვა - "მოსკვას" მეკარე **ჟევნოვმა**, "სპორტ-ექსპრესის" თქმით, საოცარი რეაქცია გამოავლინა და გუნდი გადაარჩინა. ამისულაშვილმა მოწინააღმდეგე მატჩის ბოლოსაც შეაშინა, მაგრამ მისი დარტყმული ძელმა აისხლიტა.

"სპორტ-ექსპრესმა" ქართველ მცველს გარჯა დაუფასა და მე-9 ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა.

მერაბ მამულაშვილი

კანკავა წითლებმა შეაღონა

ჯაბა კანკავას "სპორტ-ექსპრესი" ესაუბრა და უპირველესად კიევის "დინამოსთან" მატჩში მიღებული წითელი ბარათი გაახსენეს.

"მერწმუნეთ, ძალიან შევწუხდი. მატჩის შემდეგ, სახლში მივედი და მხოლოდ ამის შემდეგ ვესაუბრე მთავარ მწვრთნელს. ოლეგ პროტასოვმა მითხრა - არც ვიცი, როგორ აგიხსნა, რომ ასე მოქცევა არ შეიძლება. შენ უკვე გაგაგდეს და დაგსაჯეს. ახლა ისევ ფულად სასჯელს არ დაგიწესებ, ეტყობა, ამას აზრი არ აქვს. ჯაბა, გთხოვ, ბოლოს და ბოლოს გაიგო, რომ ასეთი საქციელით გუნდს ღალატობ", - განაცხადა კანკავამ.

ჯაბა იმედოვნებს, რომ "დნეპრი" ჩემპიონატში მეოთხე ადგილს დაიკავებს და უეფას თასზე მონაწილეობის უფლებას მიიღებს: *"შემოდგომაზე ყველა ნახავს, რომ ჩვენ ძლიერი გუნდი გვყავს"*. ჯაბამ ისიც დაიჩივლა, უკვე მეორედ გამაგდეს, საკმაოდ ბევრი თამაში გამოვტოვე და ამის გამო თანაგუნდელებთან კარგად არ ვარ შეთამაშებული*ო*.

დავით მეფარიშვილი

საქართველოს თასის
ყაზბეგის გათამაშების
ფინალი
26 მაისი ეროვნული სტადიონი
ამერი
VS
ზესტაფონი
www.pfl.ge
დასაწყისი 20:00 საათზე - ბილეთის ფასი 2. 3. 5 ლარი
მთავარი სპონსორი
ჯეოსელი GEOCELL
ოფიციალური სპონსორი
ფოლქსვაგენი VOLKSWAGEN
პარტნიორი
აქსისი
ბაბაანეული 1882
სპონსორები
საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA
i'm lovin' it
საინფორმაციო მხარდაჭერა
სარბიელი
ოლიმპი
104,9 FM FORTUNA ფორტუნა
24 Hours

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. XXV ტურის წინათქმა

სულ	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ოლიმპი	24	18	5	1	53-7	59
2. დინამო	24	18	2	4	48-17	56
3. ამერი	24	16	5	3	50-14	53
4. ზესტაფონი	24	14	9	1	46-10	51
5. ვიტ ჯორჯია	24	12	8	4	39-24	44
6. სიონი	24	11	4	9	27-20	37
7. ტორპედო	24	9	4	11	22-29	31
8. ბორჯომი	24	8	6	10	28-32	30
9. ბათუმი	24	7	6	11	24-26	27
10. ლოკომოტივი	24	6	6	12	17-32	24
11. ჩიხურა	24	5	6	13	13-36	21
12. მერანი	24	4	8	12	15-41	20
13. დილა	24	2	5	17	15-55	11
14. კახეთი	24	0	2	22	20-74	2

შინ	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ოლიმპი	12	10	2	0	32-3	32
2. დინამო	12	10	1	1	25-7	31
3. ამერი	12	10	3	0	23-4	30
4. ზესტაფონი	12	9	3	0	28-2	30
5. ვიტ ჯორჯია	12	7	5	0	23-9	26
6. სიონი	12	7	2	3	17-5	23
7. ბორჯომი	12	6	3	3	22-16	21
8. ტორპედო	12	6	2	4	13-14	20
9. ჩიხურა	12	4	4	4	8-11	16
10. ლოკომოტივი	12	4	2	6	9-16	14
11. ბათუმი	11	4	1	6	13-12	13
12. მერანი	12	1	6	5	6-19	9
13. დილა	12	2	2	8	7-24	8
14. კახეთი	12	0	2	10	11-33	2

სტუმრად	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ოლიმპი	12	7	3	1	20-43	27
2. დინამო	12	8	1	3	23-10	25
3. ამერი	12	7	2	3	27-10	23
4. ზესტაფონი	12	5	6	1	18-8	21
5. ვიტ ჯორჯია	12	5	3	4	16-15	18
6. სიონი	12	4	2	6	10-15	14
7. ტორპედო	12	3	2	7	8-15	11
8. მერანი	12	3	2	7	9-22	11
9. ბათუმი	12	2	5	5	8-13	11
10. ლოკომოტივი	12	2	4	6	8-16	10
11. ბორჯომი	12	2	3	7	6-16	9
12. ჩიხურა	11	1	2	8	5-27	5
13. დილა	12	0	3	9	8-31	3
14. კახეთი	12	0	0	12	9-41	0

დინამოს ბოლო იმედის მატჩი

დღეს ოლიმპელები ჩემპიონობისკენ კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმას გეგმავენ

ორი ტურიც და მე-18 ეროვნული ჩემპიონატი ისტორიის კუთვნილება გახდება. გასარკვევი ოქროს მედალოსნისა და ფლეი ოფის მონაწილის ვინაობაღაა. პრინციპული შვიდიდან სამ დაპირისპირებაზე ითქმის.

„დინამოს" უკანასკნელი საჩემპიონო იმედი რუსთაველი მატჩია. მიზეზთა გამო, არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ ბოლო ტურში „ოლიმპი" სტუმრად „ტორპედოს" დაამარცხებს, შესაბამისად, დუშან უჰრინის გუნდს მხოლოდ გლდანელთა გამარჯვება გაუხსნის გზას ქართული ოქროსკენ. უდავოა, რომ ამერელები ლიდერთან დაპირისპირებას უპასუხისმგებლოდ არ მოეკიდებიან, მაგრამ ვერც იმის გამო დავძრახავთ, ასი პროცენტით თუ არ დაიხარჯებიან. სხვა თუ არაფერი, „ამერსა" და „დინამოს" სხვადასხვა საზრუნავი აქვთ, გიორგი ჩიხრაძე და მისი ბიჭები თასის ფინალისთვის ემზადებიან და ნაკლებად უნდა ადარდებდეთ, ვინ იზეიმებს ჩემპიონობას.

17:00 ჩიხურა-დინამო

16 მაისი. გორი. ქართლი.
პირველ წრეში: 1:3

სავარაუდო შემადგენლობები

ჩიხურა: მწყერაშვილი, გვეტაძე, ქუხილავა, ვაშაკიძე, როგავა, თავბერიძე, ვ. ზაბახიძე, ი. ზაბახიძე, ბუცხრიკიძე, მ. მიქაძე, გ. მიქაძე

დისკვალიფიკაცია: მახარაძე, ქუცურუა, დვალი

დინამო: გრიშიკაშვილი, შ. კაშია, გ. კაშია, კრშკო, შაშიაშვილი, ოდიკაძე, გ. მერებაშვილი, დილმელაშვილი, ხმალაძე, ფეიქრიშვილი, ს. იაშვილი

დისკვალიფიკაცია: ზელიჩი

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

ასისტენტები: ი. უკლება, ზვ. ერქვანია

მატჩის შედეგი იოლად პროგნოზირებადია. როგორც ხედავთ, „ჩიხურა" მოედანზე ფაქტობრივად, დუბლშემადგენლობით გადის, რადგანაც „დინამოს" კუთვნილ ფეხბურთელებს საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის წინააღმდეგ თამაშის უფლება არ აქვთ. სამი დისკვალიფიცირებულის გარდა, თბილისელთა წინააღმდეგ საჩხერელთა კიდევ სამი ძირითადი ფეხბურთელი ვერ ითამაშებს - **სტურუა, გიგაური** და **ქემოკლიძე**. ასე რომ, უმაღლესში დასარჩენად მებრძოლ „ჩიხურას" ქულების მოპოვების რეალური ბოლო ტურშიღა თუ ექნება.

მეტოქის საკადრო პრობლემებთან „დინამოს" დანაკლისი მოსატანი არცაა. დისკვალიფიცირებული **ზელიჩის** გარდა, სტუმრებს ტრავმირებული **კობახიძეც** ვერ დაეხმარება. ამას გარდა, საეჭვოა **კრშკოსა** და ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის, **იაშვილის** თამაში.

17:00 მერანი-ტორპედო

16 მაისი. თბილისი. შევარდენი.
პირველ წრეში: 1:3

სავარაუდო შემადგენლობები

მერანი: სეფიაშვილი, კეტაშვილი, აფშილავა, ჯანგიძე, ლ. გრიგალაშვილი, ოსიტაშვილი, ბურჯანაძე, ბესარაშვილი, გაგუა, ზედელაშვილი, ქორიძე

ტორპედო: ქვილითაია, კვერნაძე, ლალაძე, ტაბიძე, კიკვიძე, ზ. ჩხეტიანი, კირკიტაძე, ზივზივაძე, ნადირაძე, მ. ლონლაძე, იმედაძე

არბიტრი: დ. სანაია

ასისტენტები: ზ. ჯვარიძე, ა. კოკაია

„მერანს" მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება სჭირდება. სამი ქულა **ასლან ბალაძის** გუნდისთვის უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისკენ უდიდესი ნაბიჯი იქნება. ქუთათურები კარგა ხანია, სატურნირო მოტივაციის გარეშე ასპარეზობენ, რაც ბუნებრივია, მასპინძლებს მოგების სერიოზულ შანსს აძლევს. სხვა საქმეა, შეძლებენ თუ არა მერანელები „ამერთან" მიღებული შოკიდან (0:6) დროულად გამოსვლას. მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს ორი საშუალო დონის გუნდი ხვდება, „შევარდენზე" ტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეხვედრაა.

17:00 ზესტაფონი-კახეთი

16 მაისი. ზესტაფონი. ცენტრალური.
პირველ წრეში: 2:0

სავარაუდო შემადგენლობები

ზესტაფონი: ჭანტურია, საჯაია, ს. თოდუა, სანტოსი, კ. ჩხეტიანი, გ. ჭელიძე, კესანი, რ. ონიანი, ჟონატასი, ფიფია, იონანიძე

დისკვალიფიკაცია: ვიეირა

კახეთი: გ. იაშვილი, მურველაშვილი, იოსებაშვილი, ბიბილაშვილი, კუპრაშვილი, ჩუთლაშვილი, გ. ხიდაშელი, აბდულაევი, მელიქიშვილი, ბიძინაშვილი, ტეტიაშვილი

დისკვალიფიკაცია: კევლიშვილი, გერგიშვილი

არბიტრი: ვ. ელისაბედაშვილი

ასისტენტები: ი. მაჩიტიძე, ი. კაკაბაძე

ზესტაფონური მატჩი ბევრს არაფერს წყვეტს. ფეროელები თასის ფინალში მარცხის შემთხვევაში, ინტერტოტოზე გეგმავენ ასპარეზობას, საამისოდ საჭირო პოზიცია კი ჩემპიონატში უკვე დაზღვეული აქვთ. შესაძლოა, ფეროელთა ძირითადში რამდენიმე ახალი ფეხბურთელი ვიხილოთ, **თემურ მახარაძე** 26 მაისისთვის ოპტიმალური თერთმეტეულის ძიებაშია. „კახეთზე" კი რა უნდა ვთქვათ, უსუსურად ჩატარებული ჩემპიონატის ბოლოს თელაველები მხოლოდ პრესტიჟის ქულებისთვის იბრძვიან, მათი მიზანი პირველი გამარჯვებაა, რისი შანსიც ბოლო ტურში მიეცემათ, ისიც იმ შემთხვევაში, თუ კვირისთვის „ლოკომოტივს" უძლიერესთა შორის დარჩენა დაზღვეული ექნება.

17:00 ვიტ ჯორჯია-დილა

16 მაისი. მცხეთა. არმაზი.
პირველ წრეში: 6:0

სავარაუდო შემადგენლობები

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე, ბეჭვაია, რაზმაძე, გ. მელქაძე, სახოკია, ბერიაშვილი, ლუჭაშვილი

დისკვალიფიკაცია: გ. დათუნაიშვილი

დილა: კეჩხუაშვილი, ბალაშვილი, ბალიაშვილი, დ. ხანიშვილი, ყველაშვილი, ვარდოსანიძე, ლომაშვილი, სადალაშვილი, კ. ხანიშვილი, ბ. ჩიტაია, გონჩაროვი

დისკვალიფიკაცია: სამადაშვილი

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

ასისტენტები: თ. ხუჭუა, დ. კურტანიძე

მოფერიანებულმა „დილამ" მთელი მეორე წრე კი იბრძოლა უმაღლესში დასარჩენად, მაგრამ კონკურენტებთან სოლიდური ჩამორჩენა ველარ აღმოფხვრა. თუმცა ამით კლუბის გეგმები არ იცვლება. გორელები უმაღლესში დაბრუნებას გეგმავენ და მომავალი სეზონისთვის თადარიგი უკვე დაჭერილი აქვთ. ჩემპიონატმა არსებითი მნიშვნელობა „ვიტ ჯორჯიისთვისაც" დაკარგა, ვეტერინარები თასის ფინალს დაელოდებიან და თუ ტიტული „ზესტაფონმა" მოიგო, ქვეყნის ღირსებას ინტერტოტოს თასზე დაიცავენ.

17:00 ლოკომოტივი-სიონი

16 მაისი. თბილისი. მ. მესხი.
პირველ წრეში: 0:1

სავარაუდო შემადგენლობები

ლოკომოტივი: გვარამაძე, გ. კვახაძე, ებრალიძე, გუშარაშვილი, კუპრეიშვილი, ფოფხაძე, მალიჩავა, სამხარაძე, ბარბაქაძე, გოჩაშვილი, ულენტი

დისკვალიფიკაცია: თუთბერიძე

სიონი: ბობლიაშვილი, კობაური, სვანიძე, ორბელაძე, ბოიომო, ბაჯელიძე, ბაბუნაშვილი, კორღალიძე, სანიკიძე, ჩასემი, ბ. ცხადაძე

არბიტრი: ო. ხეცაძე

ასისტენტები: ო. მოლოდინაშვილი, კ. გუდურაშვილი

ერთი გამარჯვებაც და „ლოკომოტივი" გაისად კვლავ უმაღლეს ლიგაში ითამაშებს. უმოტივაციო „სიონთან" გამარჯვება ფანტასტიკის სფეროს ნამდვილოად არ განეკუთვნება. არცთუ სახარბიელოდ ჩატარებული სეზონის მიუხედავად, რკინიგზელებმა ალბათ, მაინც დაიმსახურეს უძლიერესთა შორის დარჩენა.

17:00 ბათუმი-ბორჯომი

16 მაისი. ბათუმი. ადლი.
პირველ წრეში: 0:0

სავარაუდო შემადგენლობები

ბათუმი: სომხიშვილი, გალოგრე, ლობჟანიძე, თედორაძე, ხოხონიშვილი, შალამბერიძე, ცანავა, ნერგაძე, ბეჟანიძე, დარჩიძე, კვარაცხელია

ბორჯომი: შეყრილაძე, მემარნიშვილი, ქარქუზაშვილი, ლ. მერებაშვილი, თ. ლონლაძე, ნადირაშვილი, შ. გრიგალაშვილი, გოგიჩაიშვილი, კოშკაძე, შ. ჯიქია, კაიდარაშვილი

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

ასისტენტები: კ. ბერაძე, დ. სანოძე

კიდევ ერთი არაფრის მომცემი შეხვედრა ბათუმში შედგება. „ბათუმსა" და „ბორჯომს" ამ სეზონში ციდან ვარსკვლავები ნამდვილად არ მოუკრეფიათ, მაგრამ რამდენიმე გუნდთან შედარებით, გამართული ფეხბურთი აჩვენეს და უმაღლესში დარჩენის უფლება ალალად მოიპოვეს.

ლევან ჯანეზაშვილი

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურის გამორჩეული მატჩი. ოლიმპი-ამერი


რევაზ ძოძუაშვილი


გიორგი ჩიხრაძე

ოლიმპი-ამერი

16 მაისი. რუსთავი. ფოლადი. 17:00
პირველ წრეში: 2:2

სავარაუდო შემადგენლობები

ოლიმპი: მერლანი, გ. ონიანი, მახვილაძე, ჭიჭველიშვილი, სეთურიძე, ხუბუა, ქებაძე, ძამსაშვილი, გენაძე, აფციაური, რ. გოცირიძე
დისკვალიფიკაცია: ნავალოვსკი
ამერი: ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, დობროვოლსკი, დოლიძე, ბოლქვაძე, დეკანოსიძე, დავითაშვილი, წინამძღვრიშვილი
არბიტრი: მ. მაისურაძე
ასისტენტები: ს. სპიცინი, მ. ურუშაძე

ბოლოსწინა ტური ისეთია, ვინძლო ჩემპიონის საკითხი გადაწყვიტოს. რუსთავში "ოლიმპი" თბილისის "ამერს" დაუხვდება. "ოლიმპს" ფრეც ჰყოფნის, რათა ბოლო ტურის წინ ისევ პირველ ადგილზე იყოს. ბოლო ტურში ქუთაისში კი არა გვგონია ფეხი დაუცდეს. მოკლედ, დღეს რუსთავში უმნიშვნელოვანესი მატჩია - თუ "ოლიმპი" წააგებს, ჩემპიონობის იოტისოდენა შანსიც არ შერჩება, ხოლო თუ მოიგებს, ასეთ სიტუაციაში მისი უახლოესი მდევარი აღმოჩნდება.

ოლიმპელთა მეტოქე "ამერი" ისეთი რეპუტაციის გუნდია, FAIR PLAY-ის პრინციპებს რომ იცავს, ანუ დღეს რუსთავში ნაღდი თამაში უნდა გაჩაღდეს. მატჩის წინ ორივე გუნდის მთავარ მწვრთნელს ვესაუბრეთ.

გიორგი ჩიხრაძე:

- კარგად გვესმის, თუ რა მნიშვნელობის მატჩია ეს "ოლიმპისთვის". "ამერი" თასის ფინალისტია, მაგრამ ჩვენ მხოლოდ თასისთვის არ ვიბრძვით - ჩემპიონატში სამეულში უნდა ვიყოთ. "ოლიმპი" შინ თამაშობს, ეს მისთვის გადამწყვეტი მატჩია, მაგრამ ჩვენ ყველაფრისთვის ფსიქოლოგიურად მზად ვართ. "ოლიმპს" თავისი ამოცანა აქვს, ჩვენ ჩვენი.

- მეტოქის ძლიერ მხარეზე რას იტყვით? როგორ ფიქრობთ, ყველაზე უფრო რა კომპონენტის გამოყენებას ეცდება "ოლიმპი"?

- "ოლიმპი" ყველა რგოლში კარგად დაბალანსებული გუნდია, მეტოქე სერიოზულია და ბრძოლაც ასეთივე იქნება. "ოლიმპის" სიძლიერეზე ცხრილში მისი ადგილიც კარგად მეტყველებს.

- "ოლიმპი" განსაკუთრებით ფლანგებზე თამაშითაა ძლიერი, თუმცა "ამერთან" მარცხენაფლანგელი გიორგი ნავალოვსკი არ ეყოლება...

- ფლანგებზე "ოლიმპს" მართლაც კარგი შემტევები ჰყავს. ნავალოვსკი ამ გუნდში მნიშვნელოვანი ფეხბურთელია, თუმცა მის არყოფნაში გუნდის შეტევებს სიმწვავე არ მოაკლდება - მარცხენა ფრთაზე ოლიმპელებს ხომ რევაზ გენაძეც ჰყავთ.

- ეს მატჩი 26 მაისის თასის ფინალისთვის მოსამზადებლად ერთ-ერთი ეტაპიც იქნება "ამერისთვის"?

- უშუალოდ ასე დატვირთვა ამ მატჩს ჩვენთვის არ აქვს, რადგან ჩემპიონატის სამეულშიც გვსურს ყოფნა. ერთი სიტყვით, "ოლიმპთან" მატჩს არ განვიხილავთ, როგორც მხოლოდ თასის ფინალისთვის სამზადისს. ჩემპიონატში ჩვენი პროგრამა-მაქსიმუმი ახლა სამეულია.

რევაზ ძოძუაშვილი:

- ჩემპიონატის ბოლო მატჩი "ტორპედოსთან" გვაქვს, ამ გუნდს კარგად ვიცნობ, თან "ტორპედოს" ახლა ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელიც ჰყავს. ასეთ გუნდთან ჩვენი გამოცდილებით ალბათ მოვახერხებთ წარმატებას. მოკლედ, მთავარი საფიქრალი ჩვენთვის "ამერთან" მატჩია.

- "ამერთან" ყველაზე უფრო რისი იმედი გაქვთ?

- ბოლო თამაშებმა აჩვენა, რომ ჩვენს მეტოქეებს დიდ სტიმულს აძლევენ ის გუნდები, რომლებიც ჩვენი მდევრები არიან. თუნდაც ჩვენი ბოლო მატჩი ავიღოთ "დილასთან". ასეთი თამაშები "ოლიმპს" მოდუნების საშუალებას არ აძლევს, უნარს გვმატებს, რომ "ამერთანაც" კარგად ვითამაშოთ. ვფიქრობ, "ამერთან" მატჩში შანსები 60/40-ზეა ჩვენს სასარგებლოდ.

- რას გულისხმობთ იმაში, რომ თქვენს მეტოქეებს სტიმულს აძლევდნენ?

- "ოლიმპთან" მატჩისთვის "დილა" სამი დღით ადრე გავიდა შეკრებაზე. ჩვენს მეტოქეებს პრემიებსაც ჰპირდებიან. კარგია, რომ დუხჭირ გუნდებსაც გაუჩნდათ საშუალება, მობილიზებულნი იყვნენ. ყოველივე ამან სასიკეთოდ იმოქმედა "ოლიმპზეც" - მოდუნების საშუალება არ მოგვცა, რაც შესაძლოა ძვირად დაგვჯდომოდა.

- დისკვალიფიცირებულ ნავალოვსკის გელა ხუბუათი შეცვლით?

- ხუბუა საამისოდ უპირველესი კანდიდატია, თუმცა ბოლო დროს ამოვარდნილი იყო ფორმიდან, ფსიქოლოგიური გარდატეხის პერიოდი აქვს. არ არის გამორიცხული, ხუბუამ "ამერან" ერთი ტაიმი მაინც ითამაშოს.

- რა სტრატეგიას აირჩევთ "ამერთან"?

- ავირჩევთ იმ გეზს, რაც "დინამოსთან" გვქონდა 23-ე ტურში.

დავით თავართქილაძე

ლეგიონერები

აზერბაიჯანი ფინიშზე გადის

აზერბაიჯანში ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე **გიორგი ადამიას** "ნეფთჩი" 51 ქულით ერთპიროვნული ლიდერია. აზერბაიჯანული ფეხბურთის ფლაგმანს ჩემპიონობის მოპოვებაში ხელს მხოლოდ **ვალერი აბრამიძის** "ხაზარი" თუ შეუშლის. ბოლო ტურში ორივე კონკურენტმა მოიგო, "ნეფთჩიმ" "შაჰდალის" წინააღმდეგ გაილალა - 5:0. მეორე ტურია ვერ თამაშობს გიორგი ადამია, "ნეფთჩის" ერთ-ერთი ლიდერი, რომელსაც ჩემპიონატში 10 გოლი აქვს გატანილი. ზაქათალის "სიმურგმა" საინგილოს მეორე ქალაქ კახში უმასპინძლა "ყარაბაღს" და 3:0 მოუგო. სტუმართა შორის შეუცვლელად ითამაშა **გოგა ბერაიამ**. აუტსაიდერ "გენჩლერბერლიისთან" 0:1 დამარცხდა სტუმრად "ქარვანი". სტუმართა ქართული ტრიოდან მხოლოდ **გოჩა ტრაპაიძემ** ითამაშა. თოუზში ძალზე დაძაბული გამოდგა "თურანისა" და "ხაზარის" დაპირისპირება, რომელიც სტუმრებმა 3:2 მოიგეს. სტუმართა ბომბარდირმა **რამაზანოვმა** ჰეთ-თრიკი შეასრულა და ფაქტობრივად გაინაღდა ჩემპიონატის ბომბარდირის პრიზი. მასპინძელთა შორის შეუცვლელად ითამაშა **ირაკლი ვაშაკიძემ**, ხაზარის" რიგებში კი - ვალერი აბრამიძემ, რომელიც მატჩის მიწურულს გააფრთხილეს. ჩემპიონმა "ბაქომ" შინ 1:0 დაამარცხა "არაზი", **ამირან მუჯირი** მე-80 წუთზე შეცვალეს. "ბაქო" 42 ქულით მესამე ადგილზეა, "ქარვანი" 35 ქულით - მეშვიდე, "ყარაბაღს" 24 ქულა აქვს და მეცხრე ადგილზეა, 20 ქულით შემდეგია "თურანი", მომდევნო საფეხურზე იმყოფება "გილანი" (13 ქ.), რომელიც ამ ტურში ისვენებდა.

სკონტომ მოგება გაიხსენა

ლატვიაში მეშვიდე ტურის მატჩები გაიმართა. როგორც იქნა, მოიგო რიგის "სკონტომ". რიგელებმა სტუმრად "ოლიმპსი" დაამარცხეს - 4:1. **ზაალ ელიავამ** შეუცვლელად ითამაშა, ხოლო **დავით გამეზარდაშვილი კოჟანსმა** შეცვალა. მოიგო ჩემპიონმა "ვენტსპილსმაც", 1:0 "რიგის" წინააღმდეგ. **ზურაბ მენთეშაშვილი** სასტარტოში მოხვდა და 90 წუთი ითამაშა. მატჩის შემდეგ "ვენტსპილსის" მწვრთნელმა **რომან გრიგორჩუკმა** მენთეშაშვილის თამაში ფრიადზე შეაფასა. "ვენტსპილსი" 10 ქულით მეოთხე ადგილზეა, "სკონტოს" 8 ქულა აქვს და რვაგუნდიან ჩემპიონატში მეხუთეა.

დავით გამეზარდაშვილი

მჭავანაძე ფორმაში არააო

კახა მჭავანაძე მახაჩყალის „ანჟიში" წლის დასაწყისში დაბრუნდა, მაგრამ მას შემდეგ ამ გუნდის შემადგენლობაში ერთი ოფიციალური მატჩიც კი არ ჩაუტარებია. „ანჟის" მთავარი მწვრთნელის, **ომარ თეთრაძის** განცხადებით, ამის მიზეზი ქართველი ფეხბურთელის არადამაკმაყოფილებელი ფორმაა.

„დღესდღეობით, მისი კონკურენტები უკეთ გამოიყურებიან, ასე რომ, კახას მოთმინება და შრომა მართებს. იგი უნივერსალური ფეხბურთელია და რამდენიმე პოზიციაზე შეუძლია თამაში, მაგრამ ჯერჯერობით, სათანადო ფიზიკურ კონდიციებში არაა. ამის მიუხედავად, მჭავანაძე „ანჟისთვის" საჭირო მოთამაშეა. დარწმუნებული ვარ, ფორმაში დროულად ჩადგება და ძირითადში თამაშს უახლოეს მომავალში დაიმსახურებს", - ამბობს თეთრაძე.

ლევან ჯანეზაშვილი

გია კვარაცხელია

კვარაცხელია და მანჩხავა ხუმრობენ

ლიტვის ჩემპიონატის მეათე ტურში ჩემპიონმა "კაუნასმა" მიწასთან გაასწორა "ინტერასი" - 8:0. "კაუნასის" ნახევარდაცვის ხაზში შეუცვლელად ითამაშეს **გივი კვარაცხელიამ** და **ნუკრი მანჩხავამ**. მათ გოლები არ გაუტანიათ, კვარაცხელია მე-20 წუთზე მსაჯმა ყვითელი ბარათითაც დასაჯა. "შილიუტე" შინ "სუდოვასთან" 1:3 დამარცხდა. **აკაკი ხუბუტიამ** შეუცვლელად ითამაშა, ის პირველ ტაიმში გააფრთხილეს. "კაუნასი" 22 ქულით მეორე ადგილზეა, ხოლო "შილიუტე" ხუთი ქულით - ბოლოსწინა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჯაკობია უგუნდოდ რჩება

გოგუა კი რონალდუს შეადარეს

რუსეთ-უკრაინიდან ასეთი ამბებია - **გოგიტა გოგუა კრიშტიანუ რონალდუს** შეადარეს, **ლაშა ჯაკობიას** კი ახალი გუნდის მოძებნა მოუწევს.

უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურში კიევის "არსენალმა" დონეცკის "შახტართან" 1:2 წააგო, კიეველთაგან გოლი ჯაკობიამ გაიტანა. ერთ-ერთ უკრაინულ გაზეთში ამ მატჩის შემდეგ ინტერვიუ გამოქვეყნდა ჯაკობიასთან. ჩვენებური ამბობს, "არსენალში" ისევ ფინანსური პრობლემებია, ძალიან მინდა კლუბმა არსებობა გააგრძელოს, თუმცა მხარდაჭერა ჯერ არსადიან ჩანსო.

ჯაკობიას ისიც ჰკითხეს, თუ აქვს შემოთავაზებები სხვა გუნდებიდან. *"ჯერჯერობით არა და ამაზე არც ვფიქრობ. ტრავმის შემდეგ ფორმაში შევდივარ და ამ ეტაპზე ჩემთვის უმთავრესი ეს არის, მერე კი ვნახოთ".*

რუსული პრემიერლიგის ბოლო ტურში "ხიმკი"-"სატურნის" მატჩი 0:0 დასრულდა. სატურნელი გოგუა თავის ყოფილ გუნდთან მატჩში პირველ ტაიმში მარჯვენა მცველი იყო, შესვენების შემდეგ კი მარჯვენა ნახევარმცველი. სწორედ მეორე ტაიმში გამოირჩა ის მანჩესტერელი რონალდუს ფინტით.

"ყველა ფეხბურთელი სხვისგან სწავლობს რაღაცას და მეც ასე ვარ. გულშემატკივარი სიამოვნებას გოლების გარდა ლამაზი თამაშითაც იღებს და თუ შესაძლებლობა მომეცა, ყოველთვის ვცდილობ, მეტოქისთვის მოულოდნელად ვითამაშო" - უთხრა გოგუამ "სპორტ-ექსპრესს" და კითხვაზე, თქვენი საყვარელი ფეხბურთელი რონალდუ ხომ არ არისო, უპასუხა - *"ვერ გამოიცანით, ჩემი კერპი ჯენარო გატუზოა".*

დავით თავართქილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხუანდე რამოსი

გლაზგო. ჰემპდენ პარკი. უეფას თასის ფინალი

ზედიზედ მეორედ ან პირველად ისტორიაში?

ბოლო ოთხ წელიწადში მესამედ: უეფას თასი ესპანეთმა დაისაკუთრა

ესპანიოლი–სევილია

სავარაუდო შემადგენლობები

ესპანიოლი: ირაისოსი, საბალეტა, დანიელ ხარკი, ლაკრუსი (ან ტორეხონი), დავიდ გარსია, **რუფეტე, დე ლა პენია, ურტადო, რიერა (ლუის გარსია), ტამუდო, პანდიანი.**

სევილია: პალოპი, დანიელ ალვეში, ხავი ნავარო (ან აიტორ ოსიო), **დრაგუტინოვიჩი, კასტედო, ნავასი, პოულსენი, რენატო, პუერტა (ან კორეია), ფაბიანო (ან კერჟაკოვი), კანუტე.**

მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

ერნესტო ვალვერდე

ბოლო ოთხ წელიწადში მესამედ უეფას თასი ესპანეთში მიემგზავრება. 2004 წელს მას **რაფა ბენიტესის** "ვალენსია" დაეუფლა, შარშან - **ხუანდე რამოსის** "სევილია". წელს ჯილდო იმავე "სევილიას" და **ერნესტო ვალვერდეს** "ესპანიოლს" დარჩება.

"ესპანიოლი" და "სევილია" ძველი ნაცნობები არიან. ისინი ერთმანეთისადმი პატივისცემას საჯაროდ აფიქსირებენ. სევილიელთა თავკაცი რამოსი ბოლო წლების ერთ-ერთ ყველაზე დაძაბულ ფინალს წინასწარმეტყველებს. სენიორ ხუანდე ბარსელონელთა ყოფილი მწვრთნელია. ის დირექტორებთან დაპირისპირების გამო 2002 წლის შემოდგომაზე წავიდა. სევილიელთა მარჯვენა მცველი **დანიელ ალვეში** ამბობს: *"ესპანიოლი" "მიდლსბროზე" ("სევილიის" მეტოქე უეფას თასის შარშანდელ ფინალში) ძლიერია. უკეთესი იქნებოდა, იმ გუნდთან გვეთამაშა, რომელიც არ გვიცნობს, მაგრამ რა გაეწყობა. ბარსელონელები ბევრ გოლს იტანენ. ამიტომ დაცვაში ყურადღების მოდუნება არ შეიძლება."*

კატალონიელთა შემტევი პოტენციალი პრიმერა დივიზიონის ბოლო ტურშიც გამოჩნდა. "ესპანიოლი" "რეალს" ესტუმრა. დრამატული მატჩი მადრიდელებმა 4:3 მოიგეს, მაგრამ პირველ ნახევარში ორჯერ აგებდნენ, 0:2 და 1:3. **ვალტერ პანდიანიმ** 19 წუთში ჰეთ თრიკი შეასრულა. ურუგვაელი თავდამსხმელი 11 გოლით უეფას თასის საუკეთესო ბომბარდირია. მისი დაწევის შანსი მხოლოდ თანაგუნდელ **ლუის გარსიას** აქვს, ისიც იმ შემთხვევაში, თუ "სევილიას" ხუთ გოლს გაუტანს. პანდიანი: *"მადრიდული მატჩის შემდეგ საშინლად ნირწამხდარი ვიყავი. წარმოიდგინეთ: "რეალს" მისსავე მოედანზე სამი გოლი გაუტანო და მაინც დამარცხდე. ეს ხომ დაუჯერებელია?"*

დღეს პანდიანის მხოლოდ სამი რამ აღელვებს: გაუთავებელი ინტერვიუები, რამაც გლაზგოში გამგზავრების წინ უთვალავი დრო წაართვა; ის, რომ გამარჯვების შემთხვევაში უეფას თასი, შეიძლება, ხელიდან გაუვარდეს და ისიც, რომ თუ თასს სევილიელები წაიღებენ, სოლიდურ პრემიას დაკარგავს. პანდიანის პირადი მიღწევის გარდა აღსანიშნავია, რომ "ესპანიოლმა" უეფას თასის მიმდინარე გათამაშებაში 32 გოლი გაიტანა და ერთი მატჩიც კი არ წააგო.

მცირე ისტორიული ექსკურსი: "ესპანიოლი" უეფას თასის ფინალში მეორედაა. 1988 წელს, როცა ფინალი ორ რაუნდად თამაშდებოდა, ბარსელონელები "ლევერკუზენს" შეხვდნენ და შინ დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს, 3:0. იმ "ესპანიოლში" დღევანდელი გუნდის თავკაცი ვალვერდე და მისი ასისტენტი **ტომას ნკონო** ირიცხებოდნენ. მთავარი მწვრთნელი კი **ხავიერ კლემენტე** იყო. საპასუხო შეხვედრის პირველი ნახევარი 0:0 დასრულდა. "ესპანიოლს" სანატრელი ტიტულისაგან 45 წუთი აშორებდა, მაგრამ ამ 45 წუთში ესპანელებმა სამი გოლი გაუშვეს და ორი მატჩის ჯამში ანგარიში გათანაბრდა. პენალტების სერიაში "ლევერკუზენმა" გაიმარჯვა.

19 წლის წინანდელი ამბავი მაშინაც გაახსენდათ, როცა წლევანდელ 1/2 ფინალში "ესპანიოლი" სხვა გერმანულ კლუბს, "ვერდერს" შეხვდა და პირველი მატჩი, 1988 წლის მსგავსად, 3:0 მოიგო. მაშინდელისაგან განსხვავებით, კატალონიელებმა გერმანელები საპასუხო შეხვედრაშიც დაამარცხეს, 2:1. "ესპანიოლს" იმედი აქვს, რომ 19 წლის წინანდელი ამბავი აღარ განმეორდება.

ზემოთ კატალონიელთა თავდასხმა ვახსენეთ, მაგრამ სევილიელებს არანაკლებ მრისხანე შეტევის ხაზი აქვთ: **ფრედერიკ კანუტე, ლუიშ ფაბიანო, ალექსანდრ კერჟაკოვი** და **ერნესტო ჩევანტონი**. კანუტეს საზარდულის ქრონიკული ტრავმა აწუხებს, მაგრამ დღეს განაცხადში იქნება. დანარჩენი სამი ფორვარდი მწყობრშია. სევილიელებს მხოლოდ ერთი ფეხბურთელი დააკლდებათ - ფრანგი ცენტრალური მცველი **ჟულიენ ესკუდე**, რომელიც სასჯელს იხდის.

პრიმერა დივიზიონის ბოლო ტურში "ესპანიოლმაც" და "სევილიამაც" რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენეს. კატალონიელები დამარცხდნენ, ანდალუსიელებმა კი "რეკრეატივოს" 2:1 სძლიეს და კვლავ აგრძელებენ ჩემპიონობისათვის ბრძოლას. უფრო მეტიც, გუნდი ესპანეთის სამეფო თასის ფინალშია და თეორიულად, სამი ტიტულის მოპოვება შეუძლია.

"რეალი"-"ესპანიოლის" მატჩში არ უთამაშიათ **ივან დე ლა პენიასა** და **რაულ ტამუდოს**. დღეს ისინი ძირითადში იქნებიან. **ვალვერდე** კარში **ირაისოსს** დააყენებს. ეს უკანასკნელი პრიმერა დივიზიონში **კარლოს კამენის** დუბლიორი იყო, სამაგიეროდ, უეფას თასზე სტაბილურად იასპარეზა.

"სევილია" მეოთხე კლუბია, რომელმაც ზედიზედ ორჯერ გააღწია უეფას თასის ფინალში. ამ ოთხი კლუბიდან ჯერჯერობით მხოლოდ "რეალმა" მოახერხა თასის ორჯერვე დაუფლება 1986 და 1987 წლებში. ვნახოთ, გაიმეორებენ თუ არა ანდალუსიელები მადრიდელთა მიღწევას.

პრიმერა დივიზიონი

ბარსელონა კატასტროფის მიჯნაზე

დეკუმ გასახდელი აიკლო, კაპელომ ატლეტიკოს გამარჯვება სთხოვა, კატალონიურ გრანდს 16 მილიონის დაკარგვა ემუქრება, კრუიფი კი ლაპორტას ვან ბასტენს ურჩევს...

ფრანკ რიიკაარდი

„ბარსელონას" სრულიად მოულოდნელად დიდი უბედურება დაატყდა თავს. მოულოდნელობა „ბეტისთან" მატჩში ორი ქულის დაკარგვაა. ამ ყაიმის გამო კატალონიურმა გრანდმა, შესაძლოა, ესპანეთის ჩემპიონის ტიტული დათმოს. თუ მოვლენები სწორედ ამგვარი სცენარით განვითარდება, **ხოან ლაპორტას** გუნდი მრავალმილიონიან ზარალს მიიღებს.

საქმე ის არის, რომ მომავალ ზაფხულს „ბარსელონა" აზიურ ტურნეში გამგზავრებას გეგმავს. ამ ტურის სანაცვლოდ აზიელები მას 16 მილიონ ევროს გადაუხდის. გარდა ამისა, მასპინძლები საყოფაცხოვრებო ხარჯებსაც დაფარავენ და „ბარსას" ვარჯიშის საუცხოო პირობებსაც შეუქმნიან. ამ კონტრაქტს საფრთხე იმ შემთხვევაში დაემუქრება, თუ **ფრანკ რიიკაარდის** ბიჭები პრიმერა დივიზიონში ვერ გაიმარჯვებენ. ხელშეკრულებაში შავით თეთრზე წერია, რომ აზიური ქვეყნების საფეხბურთო მამები „ბარსელონას" მხოლოდ იმ შემთხვევაში დაპატიჟებენ, თუ ის ესპანეთის ჩემპიონი გახდება.

გუშინ კლუბის პრეზიდენტმა ხოან ლაპორტამ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და შემადგენლობას კონცენტრაციისკენ მოუწოდა: *„სამწუხაროდ, მთელი რიგი მიზეზების გამო ძალიან რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდით. თუ აქამდე მხოლოდ გვაქებდნენ, ახლა კრიტიკის ქარ-ცეცხლში გვატარებენ. უსიამოვნება და წარუმატებლობა შემთხვევით არ მოდის. რა თქმა უნდა, საამისო კონკრეტული მიზეზები არსებობს, მაგრამ ახლა ამაზე საუბრის დრო არ არის. დღეს ერთ მუშტად უნდა შევიკრათ და ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ დაკარგული პირველი ადგილი დავიბრუნოთ. მთავარია, ბიჭები ნერვებს არ აჰყვნენ და იმედი არ დაკარგონ."*

პრეზიდენტისთვის, რა თქმა უნდა, ცნობილი გახდა, რომ გუნდის რამდენიმე ფეხბურთელი ნერვული აფეთქების ზღვარზეა. ისინი დიდი ძალისხმევის ფასად იკავებენ თავს, რომ წონასწორობა არ დაკარგონ და სისულელეები არ მოიმოქმედონ. მაგრამ მაინც არსებობს ერთი მოთამაშე, რომელმაც ემოციების მოთოკვა ვერ შეძლო. **დეკუმ** „ბეტისთან" მატჩის შემდეგ გასახდელი დალეწა. მისი დამშვიდება ვერავინ შეძლო. პორტუგალიელი ყველაფერს ამსხვრევდა, რაც კი ხელში მოხვდებოდა. რამდენიმე წუთში ნახევარმცველმა გასახდელის მთელი ავეჯი გაანადგურა. ამით აღშფოთებულმა „კამპ ნოუს" დირექციის წარმომადგენელმა დეკუს შენიშვნა მისცა. მას ეს არ უნდა გაეკეთებინა. ჭკუიდან გადასულმა ფეხბურთელმა ამ კაცისკენ გაიწია. **კარლეს პუიოლის, ლილიან ტურამისა** და **ჯოვანი ვან ბრონკჰორსტის** დროული ჩარევა რომ არა, პორტუგალიელს, შესაძლოა, სტადიონის თანამშრომელი მოეკლა კიდეც.

მაშინ, როცა კატალონიურ გრანდში ძალიან დაძაბული სიტუაციაა, **ფაბიო კაპელო** მიღწეული წარმატებებით ტკბება. იტალიელმა სპეციალისტმა საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვია და განაცხადა: *„ხავიერ აგირე ჩემი მეგობარია. მე მას უდიდეს მწვრთნელად მივიჩნევ. დარწმუნებული ვარ, მისი „ატლეტიკო" მომდევნო ტურში „ბარსელონას" დაამარცხებს და ამით ჩინებულ სამსახურს გაგვიწევს. სენიორ აგირეს პირადად ვესაუბრე. მან დამარწმუნა, რომ „როხიბლანკო" „ვისენტე კალდერონზე" მხოლოდ მოსაგებად გავა.ატლეტიკოელებს მთელი გულით ვთხოვ, „ბარსას" მოუგონ."*

■ ■ ■

იოჰან კრუიფი "ბარსელონის" პრეზიდენტს მთავარ მწვრთნელად **მარკო ვან ბასტენის** მიწვევას ურჩევს. მფრინავი ჰოლანდიელი ლაპორტას არაოფიციალური მრჩეველია. პრეზიდენტი მის რეკომენდაციებს ყოველთვის გულისყურით უსმენს ხოლმე. კატალონიური გრანდი კრიზისშია. ესპანეთის თასზე განცდილი ფიასკოს შემდეგ მას ჩემპიონობის დათმობაც ემუქრება. "ბარსას" მოსისხლე "რეალი" წამოეწია და ურთიერთშეხვედრებით გადაუსწრო კიდეც. თუ **ფრანკ რიიკაარდი** გადადგება, კრუიფის აზრით, "კამპ ნოუზე" ვან ბასტენი უნდა მივიდეს. იოჰანს ყველაზე მეტად მარკოს პრინციპულობა მოსწონს. მან **რუუდ ვან ნისტელროი** ჰოლანდიის ნაკრებიდან მოკვეთა. კრუიფი დარწმუნებულია, რომ "ბარსელონის" ვარსკვლავებს გონს მოსასვლელად სწორედ ასეთი მწვრთნელი სჭირდებათ.

ნიუკასლი

ელერდაისი სამი წლით

ბოლტონის ყოფილმა მწვრთნელმა ჯორდები ქრონიკული ავადმყოფობისგან უნდა განკურნოს...

სემ ელერდაისი "ნიუკასლის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. მოულოდნელი არაფერი მომხდარა. 52 წლის სპეციალისტის "ბოლტონიდან" აბარგებისთანავე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მას "სენტ ჯეიმს პარკზე" ელოდებოდნენ. ამის დასტური იყო "ნიუკასლიდან" **გლენ როუდერის** გათავისუფლებაც. ელერდაისმა ჯორდებთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ფორმალობების მოგვარების შემდეგ მან მიმომხილველებთან გასაუბრებაც მოასწრო: *"სიმართლე გითხრათ, დასვენებას ვაპირებდი, მაგრამ როგორც კი ფრედი შეპერდმა კარი გამიღო, უმალ ამ კარში შევედი. ფრედისთან შეხვედრა საკმარისი აღმოჩნდა, რათა მისი გეგმების მასშტაბურობაში დავრწმუნებულიყავი. ყველასათვის ცნობილია, რომ შეპერდი მწვრთნელებს განსაკუთრებულად ქომაგობს. "ნიუკასლში" მუშაობა ყველაზე დიდი გამოწვევაა, რომელიც სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში მიმიღია."*

"ნიუკასლი" სტაბილურად ხვდება მსოფლიო 20 უმდიდრესი კლუბის სიაში. მას ინგლისში ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ფანკლუბი ჰყავს. წარმატებისათვის თითქოს ყველა პირობაა შექმნილი, მაგრამ ღირებულს ვერაფერს აღწევენ. ნიუკასლელთა ბოლო ტიტული შორეული 1955 წლით თარიღდება. 52 წლის წინ ჯორდებმა ასოციაციის თასი დაისაკუთრეს. კლუბმა წლევანდელი სეზონი უსახურ მე-13 ადგილზე დაასრულა. მან 38 მატჩში მხოლოდ 43 ქულის მოგროვება შეძლო. ელერდაისის მისია დღესავით ნათელია. მან ქრონიკულ წარუმატებლობებს წერტილი უნდა დაუსვას.

დიდმა სემმა "ბოლტონში" მუშაობით გაითქვა სახელი. მან მშობლიური კლუბი 1999 წელს ჩაიბარა და მეორე სეზონში, ფლეი ოფის გავლით პრემიერლიგაში გადაიყვანა. ბოლო ოთხი სეზონის განმავლობაში ბოლტონელები გამუდმებით ხვდებოდნენ ათეულში. შარშან კი, პირველად 133-წლიან ისტორიაში, უეფას თასზე თამაშის უფლება მოიპოვეს. სხვათა შორის, "ბოლტონი" უეფას თასზე წელსაც გავიდა და მართალია, ელერდაისმა კლუბი ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე დატოვა, ეს მიღწევაც მის აქტივში უნდა ჩავწეროთ. გასული წლის მიწურულს მისტერ სემი სკანდალში გაეხვა. ბრიტანეთის სამაუნყებლო არხმა მას ფეხბურთელთა ტრანსფერებიდან უკანონო შემოსავლების მიღებაში დასდო ბრალი. ელერდაისმა ბრალდება კატეგორიულად უარყო და ბი-ბი-სის სასამართლოში ჩივილით დაემუქრა. საქმეს გაგრძელება არ მოჰყოლია. "ნიუკასლის" ბოსებს მათი ახალი დამრიგებლის უდანაშაულობაში ეჭვი არ ეპარებათ.

"ნიუკასლში" მომხდარი სამწვრთნელო ცვლილება მხოლოდ ნაწილია მასშტაბური გადაადგილებებისა, რომელიც პრემიერლიგაში სეზონის მიწურულს დაიწყო და დღემდე გრძელდება. ორშაბათს კარისკენ მიუთითეს "მანჩესტერ სიტის" თავკაც **სტიუარტ პირსს**. იქამდე საკუთარი ნებით გადადგა "ვიგანის" ბოსი **პოლ ჯუელი**. "ფულჰემმა" **კრის კოულმენი** დაითხოვა და მის ნაცვლად **ლორი სანჩესი** დანიშნა. გავარდნილი "შეფილდ იუნაიტედიდან" ნასვლას ფიქრობს **ნილ უორნოკი**. მის ადგილს მისივე ასისტენტი, შოტლანდიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **სტიუარტ მაკოლი** უმიზნებს.



სემ ელერდაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი

ტევესი რეალში 30 მილიონად?

ვესტ ჰემის საძმე ჯერ არ დახურულა...

კარლოს ტევესის საქმემ, შეიძლება, ფიფაში გადაინაცვლოს. მსოფლიოს ფეხბურთის მმართველი ორგანო მისი და **ხავიერ მასკერანოს** ტრანსფერებში გასარკვევად საგამოძიებო კომიტეტის შექმნას აპირებს. **ზეპ ბლატერი** ამბობს, რომ მისი ორგანიზაცია უფლებამოსილია, სკანდალთან დაკავშირებით საბოლოო ვერდიქტი გამოიტანოს. ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ საქმე უკვე შეისწავლა და ლონდონელებს სარეკორდო, 5.5-მილიონიანი ჯარიმა გამოუწერა. მაგრამ "ვესტ ჰემის" კონკურენტები მისთვის ქულების დაკლებას ითხოვენ. "ვიგანის", "შეფილდ იუნაიტედის", "ფულჰემისა" და "მანჩესტერ სიტის" ხელმძღვანელებს უთუოდ გაახარებთ ბლატერის ეს განცხადება: *"ინგლისის ასოციაციიდან დოკუმენტებს გამოვითხოვთ და ვნახავთ, რას დაეფუძნა გადაწყვეტილება. თუ მის სისწორეში ეჭვი შეგვეპარება, დამოუკიდებელ გამოძიებას შევუდგებით."*



კარლოს ტევესი

ბლატერმა საზოგადოებას "რაიო ვალეკანოს" მაგალითი შეახსენა. ფიფამ ესპანეთის მესამე დივიზიონის კლუბს ერთ-ერთი ბრაზილიელი ფეხბურთელის ტრანსფერისათვის ფულის გადახდა დააკისრა, თუ არადა, ქულების დაკლებით დაემუქრა. "რაიო ვალეკანოს" ხელმძღვანელობამ შვეიცარიის ფედერალურ სასამართლოში იჩივლა. სასამართლომ კი დაადგინა, რომ ფიფას უფლება აქვს, კანონდამრღვევი კლუბების მიმართ სადამსჯელო ღონისძიებები გაატაროს: ქულების დაკლებით დაწყებული და მათი ქვედა დივიზიონში გადაყვანით დამთავრებული.

ლონდონელებმა ჯერ კიდევ არ იციან, რა ელით. ტევესი კი ხმაურიანი ტრანსფერისათვის ემზადება. ინგლისური სააგენტოების ცნობით, არგენტინელი თავდამსხმელი, შეიძლება, "რეალში" ვიხილოთ. სამეფო კლუბი 30 მილიონ ევროს ამზადებს, თუმცა ლონდონელები ამ თანხიდან ერთ ცენტსაც ვერ მიიღებენ. მათ ტევესის მფლობელ კომპანია MSI-სთან კონტრაქტი გაწყვეტილი აქვთ. ლონდონელებმა ეს გადაწყვეტილება სკანდალის გამო მიიღეს. ტევესმა ჩემპიონატის ბოლო სამი მატჩი ჩაატარა, ბოლო ტურში "მანჩესტერ იუნაიტედს" გამარჯვების გოლიც გაუტანა და ბრაზილიაში დაბრუნდა. ამ წუთას ის ისევ MSI-ის საკუთრებაა და იურიდიულად "ჩაქუჩებთან" აღარაფერი აკავშირებს.

ფეარ ფლეი: შვედეთი, ფინეთი და ნორვეგია

უეფამ ფეარ ფლეის კონკურსის შედეგები გამოაქვეყნა. რეიტინგში პირველ ადგილზე მყოფი შვედეთის გარდა, საგაისო უეფას თასის თითო დამატებითი საგზური ფინეთსა და ნორვეგიას გადაეცემათ. ფეარ ფლეის რეიტინგში ქვეყნების კოეფიციენტს რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს: თამაშისადმი სანიმუშო დამოკიდებულება, ფეხბურთელების, მწვრთნელებისა და გულშემატკივრების საქციელი, არბიტრებისადმი დამოკიდებულება, აგრეთვე ერთი სეზონის განმავლობაში ჩამორიგებული ნითელი და ყვითელი ბარათების რაოდენობა. ანალოგიური პარამეტრებით ხდება კლუბების რეიტინგის განსაზღვრაც ეროვნული ჩემპიონატების უმაღლეს დივიზიონებში. თუ კლუბი ფეარ ფლეის გარეშეც ახერხებს ევროტურნირებზე გასვლას, მაშინ მისი საგზური რეიტინგში მომდევნო ადგილზე მყოფ კლუბს გადაეცემა. ამიტომ ის, შეიძლება, უმაღლესი დივიზიონიდან გავარდნილ კოლექტივსაც ერგოს.

ჩელსი 15 ფეხბურთელის ამარა

შაბათს "უემბლი" ინგლისის ასოციაციის თასის ფინალს უმასპინძლებს. "მანჩესტერ იუნაიტედთან" მატჩის წინ "ჩელსის" საკადრო პრობლემები შეექმნა. **ჯოზე მოურინიო** არ გამორიცხავს, სათადარიგო მეკარე **ილარიო** თავდასხმაში გაამწესოს. უპრინციპულესი თამაშის წინ მწვრთნელის განკარგულებაშია მხოლოდ 15 ჯანმრთელი ფეხბურთელი. პრემიერლიგის ბოლო ტურში, "ევერტონთან" მატჩისას **ჯონ ობი მიკელმა** მუხლის მყესები დაზიანა და შვებულება აიღო. იმთავითვე ცნობილი იყო, რომ "იუნაიტედთან" ვერ ითამაშებდნენ **მიხაელ ბალაკი, ანდრეი შევჩენკო, რიკარდო კარვალიო, არიენ რობენი** და სარეზერვო გუნდიდან დამატებული თავდამსხმელი **სკოტ სინკლერი**. საეჭვოა წამყვანი მცველის **ეშლი კოულის** ასპარეზობა. გამოსავალი? როგორც ვთქვით, ილარიოს თავდამსხმელად გამოყენება, ან კიდევ ერთი თინეიჯერის აყვანა მეორე შემადგენლობიდან. ილარიო "ჩელსიში" გასულ ზაფხულს გადავიდა და **პეტრ ჩეხისა** და **კარლო კუდიჩინის** ტრავმების პერიოდში 18 მატჩი ჩაატარა.

სიტი: ჯუელი არა, კუმანი?

"მანჩესტერ სიტი" **რონალდ კუმანს** ეპატიჟება. ამ ინფორმაციას "დეილი მეილი" ავრცელებს. ტაბლოიდის მტკიცებით, კლუბის ხელმძღვანელობა ტაილანდელ მილიარდერ **ტაქსინ შინავატრასთან** მოლაპარაკებების დასრულებას დაელოდება და საკადრო გადაწყვეტილებებს ამის შემდეგ მიიღებს. ორშაბათს კარისკენ მიუთითეს **სტიუარტ პირსს**, რომელმაც სეზონი გავასარდნი ზონისაგან სამი ქულით და სამი ადგილით მაღლა დაასრულა. კუმანს ინგლისური ფეხბურთით დაინტერესება არაერთხელ გამოუთქვამს. მას ესპანეთსა და პორტუგალიაში უმუშავია. ამჟამად რონალდი "ეინდჰოვენს" ხელმძღვანელობს. ჰოლანდიის ჩემპიონატის მოგების მიუხედავად, კლუბს უმძიმესი სეზონი გამოუვიდა. ერთი რამ, რაც დაზუსტებით შეიძლება ითქვას, არის ის, რომ "სიტის" მთავარ მწვრთნელად არ დაინიშნება "ვიგანის" ყოფილი დამრიგებელი **პოლ ჯუელი**. ამ უკანასკნელმა თანამდებობა მას მერე დატოვა, რაც კლუბი პრემიერლიგაში დარჩა. კონტრაქტის განყვეტის სანაცვლოდ, "ვიგანმა" ჯუელს თითქმის ერთი მილიონი გირვანქა გადაუხადა, თუმცა 750 ათასს უკან მოითხოვს, თუ ის "სიტის" ჩაიბარებს.

ფაულერს გლაზგოში უხმეს

რობი ფაულერს გლაზგოში ეპატიჟებიან. "ლივერპულის" ვეტერან თავდამსხმელს "სელტიკიდან" და "რეინჯერსიდან" შეეხმიანნენ. რეინჯერებს ხორვატი **დადო პრშოს** შემცვლელი სჭირდებათ. თავდასხმის გაძლიერება არ აწყენდათ "კათოლიკებსაც", რომელთაც შემოდგომაზე ჩემპიონთა ლიგა ელით. 32 წლის ფაულერით "პორტსმუთიც" დაინტერესდა. რობის უმუშევრად დარჩენა არ ეშუქრება, თუმცა "ლივერპულიდან" წასვლამდე მან შეიძლება ერთი მატჩი კიდევ ჩაატაროს. ჩემპიონთა ლიგის ფინალს ვგულისხმობთ. **რაფა ბენიტესს** ჯერ არ გადაუწყვეტია, შეიყვანოს თუ არა თავდამსხმელი "მილანთან" მატჩის განაცხადში.


კევინ კურანი

შალკე

კურანიმ კლინსმანი გამოლანძღა

სლომკას ლინკოლნი აღარ სჭირდება?

რაც მოხდა, მოხდა - "შალკეში" ცხოვრება გრძელდება. გელზენკირხენელები ახლა ბოლო ტურისთვის ემზადებიან და ყველაფერს გააკეთებენ, რომ "არმინია" ოთხბურთიანი სხვაობით დაამარცხონ. "შალკეს" სწორედ ოთხბურთიანი სხვაობით მოგება სჭირდება იმისათვის, რომ "შტუტგარტსა" და "კოტბუსს" შორის ფრის დაფიქსირების შემთხვევაში გაჩემპიონდეს. ხოლო, თუ შვაბები "ენერგისთან" დამარცხდებიან, მაშინ **ლევან კობიაშვილის** გუნდს ბილეფელდელებთან ნებისმიერი ანგარიშით მოგება გააჩემპიონებს. გელზენკირხენულ კლუბში ყველა ხვდება, რომ "კოტბუსის" გამარჯვების შანსი 1 პროცენტია, გაცილებით რეალურია ფრე, რადგან "შტუტგარტი" წნეხის ქვეშ იქნება მოქცეული და ვინძლო, ამ ზეწოლას ვერ გაუძლოს.

დორტმუნდში განცდილი საბედისწერო მარცხის შემდეგ, **მირკო სლომკამ** აბსოლუტურად ყველა შეგირდს ცალ-ცალკე ლექცია წაუკითხა. ცხადია, მირკო ყველაზე დიდხანს **ლინკოლნთან** ისაუბრებდა, რადგან მწვრთნელს იმედები ყველაზე მეტად სწორედ ამ უკანასკნელმა გაუცრუა. ლინკოლნმა რურის დიდ დერბიში თავიდან ბოლომდე შეუცვლელად ითამაშა, რადგან სლომკას იმედი ჰქონდა, რომ ათიანი მინიმუმ ერთ გადამწყვეტ პასს მაინც გააკეთებდა, ან ჯარიმას გაიტანდა. "შალკეს" თავკაცს იმედები გაუცრუვდა - ლინკოლნმა ვერაფერი გააწყო. პირიქით, გელზენკირხენელთა შორის ყველაზე ცუდად ითამაშა (მხოლოდ 17 ორთაბრძოლა, აქედან 6 მოიგო) და ჩვენი გერმანელი კოლეგებისგან კრიტიკის ქარცეცხლიც დაიმსახურა.

იმის გამო, რომ "შალკეს" ამ სეზონში ბრაზილიელი არაერთხელ აკლდა და სიმართლე ითქვას, მისი არყოფნა "ხუმარებს" დიდად არც დასტყობიათ, დიდი შანსია, რომ "არმინიასთან" ბრაზილიელმა სკამი ხეხოს. თანაც, სლომკამ ერთხელ უკვე დაამტკიცა, რომ გუნდის უმთავრეს მოთამაშეზე უარის თქმისა არ ეშინია - 2006 წლის მიწურულს მან მოულოდნელად სკამზე დასვა გამოცდილი მეკარე **ფრანკ როსტი**, მის ნაცვლად კი კარი ახალგაზრდა **ნოიერს** ანდო.

"არმინია" აუცილებლად უნდა დავამარცხოთ. ეს ჩვენი ბოლო შანსია. "კოტბუსის" იმედი გვაქვს," - ამბობს კობის დამრიგებელი. თითქმის გარკვეულია, რომ შაბათს "შალკეს" ძირითად შემადგენლობაში ლინკოლნის ადგილი არ იქნება.

■ ■ ■

ზუსტად ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გერმანიის ნაკრების ყოფილმა თავკაცმა **იურგენ კლინსმანმა** ის შემადგენლობა დაასახელა, რომელმაც შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზა. გეხსომებათ, რომ კლინსიმ ყველასათვის მოულოდნელად უარი თქვა **კევინ კურანიზე**, სამაგიეროდ, ბუნდესგუნდში უხმო იმხანად დორტმუნდის "ბორუსიის" გარემარბ **დავიდ ოდონკორს** და "ვოლფსბურგის" თავდამსხმელ **მაიკ ჰანკეს**. კურანი მაშინ ცუდ ფორმაში იყო, მაგრამ გერმანელი მიმომხილველები მაინც ელოდნენ, რომ კლინსმანი მას მუნდიალზე ათამაშებდა.

იმ ამბიდან ერთი წლის შემდეგ, "შალკეს" თავდამსხმელმა კლინსმანი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. *"ეს ჩემი კარიერის ყველაზე დიდი იმედგაცრუება იყო. მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ვემზადებოდი და დარწმუნებული გახლდით, რომ კლინსმანი სიაში დამასახელებდა, რადგან მანამდე რეგულარულად მიძახებდა ხოლმე. ბევრ კარგ მწვრთნელთან მიმუშავია, ისინი ხშირად სკამს მახეხინებდნენ, მაგრამ ყოველთვის მხარს მიჭერდნენ და ჩემთან გულახდილები იყვნენ. ასეთ მწვრთნელებს მე დიდ პატივს ვცემ, მაგრამ არა ისეთებს, რომლებიც მიწასთან გამასწორებენ და გამანადგურებენ!"* - აცხადებს კურანი ჟურნალ "მაქსისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

მიმდინარე სეზონში კევინმა 15 გოლის გატანა შეძლო და ის "შალკეს" გამოკვეთილი ლიდერია. *"მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა დარჩენამ მოტივაცია გამიათმაგა. ძალიან მომინდა, რომ იმ ხალხისთვის, ვინც ჩემზე უარი თქვა, ჩემი შესაძლებლობები დამემტკიცებინა. და მიხარია, რომ ამ სეზონში ეს შევძელი."* - აგრძელებს კურანი. ამასთან, კევინი არ გამორიცხავს, რომ უახლოეს მომავალში "შალკე" დატოვოს. ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ესპანური და იტალიური გრანდებიდან ექნება შეთავაზება. *"კონტრაქტი 2010 წლამდე მაქვს და ალბათ შევასრულებ. მერე კი უკეთეს ვარიანტზე ვიფიქრებ."* - ამბობს 25 წლის ფორვარდი.

გოტფრიდ ლენცი

ჭორია თუ მართალი

კლოზეს ცოლმა ოვომოიელასთან ულალატა?

შავი და თეთრი სამშობიაროში გამოჩნდება...

მიროსლავ კლოზემ ამ სეზონში მაგრად რომ ჩაყვინთა, ამას ბევრი ლაპარაკი არ სჭირდება. მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირსა და ერთ-ერთ გმირს "ვერდერთან" ერთად წელს არაფერი გამოსდის - მირო მძიმე კრიზისშია. თავად განსაჯეთ, წინა სეზონის საუკეთესო გოლეადორმა წელს მხოლოდ 13 გოლის გატანა შეძლო და აქედან, მეორე წრეში, მხოლოდ 3. ანუ, თუკი პირველ წრეში ასე თუ ისე წარმატებული იყო, ზამთარს აქეთ თავის თავს აღარ ჰგავს. კლოზე მოედანზე თითქმის შეუმჩნეველი გახდა.

ჩვენი გერმანელი კოლეგები აქამდე ფიქრობდნენ, რომ კლოზეს კრიზისი სატრანსფერო სპეკულაციებისა და კონტრაქტის გარშემო ატეხილი დავიდარაბის ბრალი იყო. როგორც იცით, მირო საიდუმლოდ "ბაიერნის" ხელმძღვანელებსაც შეხვდა, რამაც სერიოზული სკანდალი გამოიწვია. ამ ყველაფერმა ფეხბურთელზე ძალიან ცუდად იმოქმედაო, წერდნენ მიმომხილველები. მაგრამ როგორც ირკვევა, დიდი შანსია, რომ მისი კრიზისის მიზეზი სულ სხვა რამ იყოს.

გამოცემა "კიკერი" წერდა, რომ მიროს პირად ცხოვრებაში აქვს პრობლემები, თუმცა ხსენებულ გაზეთს არაფერი დაუკონკრეტებია. "ველტი" იუწყებოდა, "ვერდერის" ოფიციალურ ფორუმზე დაიწერა, მიროს მეუღლე **სილვიასთან** აქვს პრობლემები ამიტომაც ვეღარ თამაშობს კარგადო. თვით ტელეკომპანია DSF-იც კი იტყობინებოდა, რომ კლოზეს ოჯახში საქმე ცუდად აქვს. რა მოხდა? ფეხბურთელის მრჩეველი **ბურკჰარდ ვესტერჰოფი** ინფორმირებულია იმ ჭორების შესახებ, რომლის მიხედვითაც სილვიამ მიროს უღალატა და ახლა ის ფეხმძიმეა - არა მიროსგან, არამედ "ვერდერის" სხვა ფეხბურთელისგან, კერძოდ, **პატრიკ ოვომოიელასგან**. ამას გარდა, ამბობენ, რომ კლოზემ მეუღლე უკვე მიატოვა და ახლა ცალკე ცხოვრობს. აქვე გეტყვით, რომ სილვია და მირო 2004 წლის 31 დეკემბერს დაქორწინდნენ და ტყუპები (**ლუანი** და **ნოა**) ჰყავთ.

თვითონ ოვომოიელა ამ ყველაფერს მონაჭორს უწოდებს. აი, რას ამბობს პატრიკი: *"ძალიან მაინტერესებს, ვინ გაავრცელა ასეთი საშინელი ჭორები. ცხადია, ეს ვიღაც ბოროტის მიერ მოგონილი ამბავია, მტკნარი სიცრუე. ძალიან ვწუხვარ, რომ ასეთი ჭორები გავრცელდა. არაადამიანია ის, ვინც კლოზეს ოჯახს ჩირქს სცხებს."* ანუ, თითქოს ყველაფერი გარკვეულია - ეს ჭორია და სიმართლეს არ შეესაბამება. მაგრამ თუნდაც ჭორი იყოს, ცხადია, რომ კლოზე ამ ამბავის მიმართ გულგრილი ვერ დარჩებოდა. ახლა ჩვენი გერმანელი კოლეგები ბუნდესბომბარდირის კრიზისს სწორედ ამ ჭორებს აბრალებენ და სავსებით სამართლიანადაც. აქვე ერთი დეტალიც: "ჰერტასთან" 4:1-ზე მოგებული თამაშის დროს, კლოზე და ოვომოიელა სათადარიგოთა სკამზე ნაკინკლავდნენ...

გოტფრიდ ლენცი



ინტერვიუ სერ ალექს ფერგიუსონთან

ჩვენი საუკეთესო ჩემპიონობა

"მანჩესტერ იუნაიტედის" გაჩემპიონების შემდეგ, ინგლისელი ჟურნალისტების სასურველი რესპონდენტი, პრემიერლიგის ცხრაგზის ჩემპიონის მთავარი მწვრთნელი - სერ ალექს ფერგიუსონი გახდა. ინგლისის ჩემპიონატის ბოლო ტურის შემდეგ, შოტლანდიელ სპეციალისტს "გარდიანის" ჟურნალისტი დანიელ ტეილორი ესაუბრა. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელშიც სერ ალექსი გასული სეზონის პერიპეტიებზე, საკუთარ განცდებსა და კლუბის მომავალზე საუბრობს.

- რას ნიშნავს თქვენთვის ეს ტიტული?

- ეს უდიდესი მიღწევაა. ბოლო ორისამი წელიწადია, მუდმივად ვეუბნებოდი საკუთარ თავს: "ეშმაკმა დალახვროს, ახლა ლიგის მოსაგებად 90-91 ქულაა საჭირო". ეს ძალიან ბევრია იმ 84-თან შედარებით, რომელიც 1993 წელს დაგვჭირდა ჩემპიონობის მოსაპოვებლად. იყო ერთი სეზონი, 2000 წელს, როცა სწორედ ამ ნიშნულს - 91 ქულას მივაღწიეთ, მაგრამ ამისთვის უდიდესი ენერგიის გაღება დაგვჭირდა (წლეულს, "მანჩესტერმა" პირველი ადგილი 89 ქულით გაინაღდა).

- ბუნებრივია, ბოლო სამი წლის განმავლობაში, ბევრჯერ შეგაწუხეს კითხვით - შესწევდა თუ არა სერ ალექსს, კიდევ ერთხელ პრემიერლიგის მოგების უნარი. როგორ რეაგირებდით ამ კითხვებზე?

- ფეხბურთში ახალი მოსული არ ვარ და შესანიშნავად მესმის, რომ ეს თამაშის ერთ-ერთი ნაწილია. თუ თავს ვერ ართმევ დაკისრებულ მოვალეობებს, კრიტიკის ობიექტი ხდები. დიახ, ჩვენ გვიწევდა კარდინალური გადაწყვეტილებების მიღება, შემადგენლობის შეცვლა და ეს არ იყო იოლი, რადგან მოთამაშეებთან პროფესიული ურთიერთობა მეგობრულში იყო გადასული, მაგალითად ფილ ნევილთან ან ნიკი ბატთან მიმართებაში. ძალიან რთული იყო ამ ბიჭებთან გამოთხოვება. არაერთხელ მიკითხავს საკუთარი თავისთვის: "იქნებ, კიდევ ერთი სეზონი ითამაშონ?" მაგრამ, გუნდი - ცოცხალი ორგანიზმია, რომელსაც განვითარება სჭირდება. და როცა რაიმე საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებას იღებ, პირველ რიგში, კლუბზე უნდა იფიქრო და არა პირად ინტერესებზე.

- ისევე, როგორც კინისა და ვან ნისტელროის შემთხვევაში?

- როის, რა თქმა უნდა, უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა გუნდში... (გრძელი პაუზა). აი, რაც შეეხება ვან ნისტელროის, არა მგონია, ამ შემთხვევაში, კლუბისთვის რაიმე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებასთან გვქონოდეს საქმე.

- თქვენი აზრით, დღეს გუნდში ატმოსფერო გაუმჯობესდა?

- არსებობს ასეთი ცნება - გუნდური სული. და ერთ მშვენიერ დღეს, მე ვიგრძენი, რომ ჩემი გუნდი ერთი მთლიანი ორგანიზმი გახდა. მთელი სეზონის განმავლობაში ვადევნებდი თვალს ბიჭებს და მიხაროდა, თუ რა შესანიშნავი ატმოსფერო სუფევდა ვარჯიშებზე და გასახდელში.

- არ გიჩნდებოდათ აზრი იმის შესახებ, რომ ფეხბურთელთა პირადი ურთიერთობები თქვენი პრობლემა არ იყო?

- არავითარ შემთხვევაში. ყველაფერი, რაც გუნდში ხდება, მეც მეხება. მესმოდა, რომ ეს დროის საკითხი იყო: ბიჭები, უბრალოდ, უნდა შეჩვეოდნენ ერთმანეთს, გუნდში ბევრი ახალგაზრდაა და შესაბამისად, ბევრი ამბიციაც. სერიოზული გართულებებიც იყო, მაგრამ პოლ სქოულზის დაბრუნებასთან ერთად, ბევრი პრობლემა თავისთავად მოგვარდა. როცა პოლი მხედველობასთან დაკავშირებული 5-თვიანი პაუზის შემდეგ დაგვიბრუნდა, ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, რომ ახალი მოთამაშე შევიძინეთ. ამასთან, სქოულზმა მოედანზე ძალიან მალე იპოვნა საერთო ენა მაიკლ ქერიქთან.

- როგორ ფიქრობთ, ვან ნისტელროის წასვლამ იმოქმედა გუნდურ სულზე?

- ამაზე არ მიფიქრია.

- სეზონის დასაწყისში ფიქრობდით, რომ წლეულს ყველაფერი გამოგივიდოდათ?

- თავიდანვე შევეცადე ბიჭებისთვის შთამეგონებინა, რომ მთავარი - კარგი სტარტი იყო. 2005 და 2006 წლებში, "ჩელსი" თავიდანვე "გაიქცა" და მოახერხა უპირატესობის ფინიშამდე შენარჩუნება. ჩვენ ვგრძნობდით, რომ ამჯერად შევძლებდით მის კვალში ჩადგომას. მაგრამ, ჩემმა გუნდმა უფრო მეტი მოახერხა - ჩვენ გავასწარით მთავარ კონკურენტს. ამ უპირატესობის შენარჩუნება არც ისე იოლი იყო, რადგან ზურგსუკან, "ჩელსის" სუნთქვას მუდმივად ვგრძნობდით.

- ასეთი გამოწვევა არაერთხელ გქონიათ - "ბლექბერნისგან", "ნიუკასლისგან," "არსენალისგან"... მაგრამ, "ჩელსი", ალბათ, ყველაზე რთული მეტოქე იყო.

- მე ვიტყოდი, ყველაზე ჯიუტი. ისინი არასოდეს ნებდებიან.

- რა ადგილს დაიკავებს ეს ტიტული, თქვენი გუნდის სხვა გამარჯვებების გვერდით?

- ვფიქრობ, ეს "მანჩესტერის" ყველაზე დიდი მიღწევაა. ეს გუნდი, თავისი ამჟამინდელი შემადგენლობით, ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა და მას პროგრესის ყველა წინაპირობა გააჩნია. ეს მისი პირველი სერიოზული გამარჯვებაა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, მომავალს ოპტიმიზმით ვუყურო. ალბათ, შეამჩნევდით, რა პროგრესი განიცადა ნემანია ვიდიჩმა. მე მას, ინგლისის ლიგის საუკეთესო ცენტრალურ მცველად მივიჩნევ. გარი პალისტერისა და სტივ ბრიუსის წასვლის შემდეგ, დაცვაში ასეთი ძლიერი დუეტი არ გვყოლია. ჩვენ გვქონდა რამდენიმე კარგი ვარიანტი, მაგრამ ვერცერთმა ვერ მიაღწია ვიდიჩი-ფერდინანდის დონეს.

- როცა ბოლო ორი სეზონი "ჩელსის" თამაშს უცქერდით, არ გქონდათ ისეთი შეგრძნება, რომ ამ გუნდის დამარცხება, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო?

- სიმართლე გითხრათ, მართლაც მიფიქრია ამაზე. იმ მილიონების გამო, რომელიც "ჩელსის" უკან დგას, ამოცანის შესრულება თითქმის შეუძლებელი ჩანდა. მაგრამ, გავიფიქრე, რომ ანდრეი შევჩენკოსა და მიხაელ ბალაკის ტრანსფერები, საერთო ჯამში, ჩემპიონთა ლიგაზე წარმატებულ გამოსვლას ემსახურებოდა. ამიტომაც, ძალიან არ მინერვიულია. საკუთარ თავს ვუთხარი: "იმედი ვიქონიოთ, რომ ისინი ევროთასებზე გადაერთვებიან, ჩვენ კი, პრემიერლიგას დაგვიტოვებენ". მაგრამ, ლონდონელებმა ბოლომდე გვდიეს კუდში. კარგი რბოლა გამოვიდა. იმედი მაქვს, მომდევნო სეზონიც ასეთი საინტერესო იქნება.

- რა ადგილი უკავიათ თქვენს საგაისო გეგმებში გიგზსა და სქოულზს? მათი იმედი კვლავ გაქვთ?

- როცა ამ ბიჭებს ვუყურებ, სულაც არ მრჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ მათ თავიანთ ზღვარს მიაღწიეს. "კიდევ რამდენ ხანს გაძლებენ?" - ვეკითხები ხოლმე ჩემს თავს. მაგრამ, მე ვხედავ, რომ 33 წლის გიგზი კვლავაც ბრწყინვალე ფიზიკურ ფორმაშია. პოლს სხვანაირი აღნაგობა აქვს, ცოტათი უფრო მძიმეა, მაგრამ ჯანსაღი ცხოვრების წესის წყალობით, მას თავის ფიგურასთან დაკავშირებით არასოდეს ექმნება პრობლემები.

- სხვა სიტყვებით, როგორია ალბათობა იმისა, რომ რაიანი მომდევნო სეზონშიც დარჩება გუნდში?

- ასპროცენტიანი. ის აუცილებლად ითამაშებს. ინგლისურ ფეხბურთში პრემიერლიგა ცხრაჯერ არავის მოუგია. ეს, უბრალოდ, ფანტასტიკური შედეგია. დღეს, გუნდში ყველა მისგან იღებს მაგალითს.

- გასულ სეზონში, მიუხედავად როი კინის წასვლისა, შემადგენლობაში კარდინალური ცვლილებები არ გაგიკეთებიათ. რატომ?

- ბოლო ორი წელიწადია, ჩვენ მუდმივად კინის შემცვლელს ვეძებდით, მაგრამ მხოლოდ ახლა მივხვდით, რომ მისი შეცვლა შეუძლებელია. როი კინი - ერთი და შეუცვლელი იყო. თავის დროზე გაგვიმართლა, როცა როიმ, თავისი უნიკალური ქარიზმით, ბრაიან რობსონის ადგილი დაიკავა. ჩვენ მივხვდით, რომ ამ მომენტისთვის, შემადგენლობის გასაძლიერებლად, უბრალოდ, საიმედო ფეხბურთელი გვჭირდებოდა. ასეთი აღმოჩნდა - ქერიქი. და მიუხედავად იმისა, რომ მაიკლმა არც ისე კარგად დაიწყო სეზონი, საბოლოო ჯამში, მან მთლიანად გაამართლა ჩვენი იმედები და ამ გამარჯვების სრულფასოვანი წევრი გახდა.

- სერ ალექს, მრავალი წლის წინათ, როცა "მანჩესტერი" ჩაიბარეთ, წარმოიდგენდით, რომ ტიტულების მოპოვებას 65 წლის ასაკშიც შეძლებდით?

- ამაზე არასოდეს მიფიქრია. წლებს თავისი მიაქვს და შენ ამას ვერ გრძნობ. მგონია, რომ 58 წლის ვარ. სერიოზულად! და უცებ, ერთ მშვენიერ დღეს გაზეთს გადაშლი და იგებ, რომ თურმე 65 წლის ყოფილხარ. ხანდახან დაფიქრდები, სად გაფრინდნენ ეს წლები. მაგრამ მეორეს მხრივ, დღეს, როცა ჩემს თავს 5-6 წლის წინანდელ ფერგიუსონს ვადარებ, დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ.

- სერ ბობი რობსონი, 70 წლის ასაკამდე ავარჯიშებდა გუნდებს. თქვენც ასეთი გეგმები გაქვთ?

- არა.

- დაიღალეთ?

- დაღლილობის ხარისხი საბოლოო შედეგზეა დამოკიდებული. აი, გასულ სეზონში მართლაც ძალიან დავიღალე. მხოლოდ ერთი რამ მინდოდა - მალე წავსულიყავი შვებულებაში და ფეხბურთზე მომავალი სეზონის დაწყებამდე არ მეფიქრა.

- ჟოზე მოურინიოს უკვე ესაუბრეთ?

- ჩემპიონები რომ გავხდით, ტელეფონი გამოვრთე. მეორე დილით, როცა გავიღვიძე, 75 ახალი შეტყობინება დამხვდა. შეიძლება, ერთ-ერთი მისგანაც ყოფილიყო.

პრემიერლიგა 2006-07

საერთო სტატისტიკა

მატჩი	380
მასპინძლების მოგება	182 (47.8 %)
ფრე	98 (25.9 %)
სტუმრების მოგება	100 (26.3 %)

გოლები

სულ	931 (2.45)
მასპინძლების გოლები	552 (1.45)
სტუმრების გოლები	379 (1.00)
გოლები I ტაიმში	419 (1.10)
გოლები II ტაიმში	510 (1.34)

დისციპლინა

ყვითელი ბარათი	1245 (3.30)
ორმაგი ყვითელი ბარათი	22 (0.06)
წითელი ბარათი	25 (0.07)

ბომბარდირები

	გ	პ
1. დროგბა (ჩელსი)	20	0
2. მაკარტი (ბლექბერნი)	18	4
3. რონალდო (მანჩესტერ იუნ)	17	3
4. ვიდუკა (მიდლსბრო)	14	0
5. რუნი (მანჩესტერ იუნ)	14	0
6. დოილი (რედინგი)	13	3
7. ბენტი (ჩარლტონი)	13	3
8. კუიტი (ლივერპული)	12	0
9. ბერბატოვი (ტოტენჰემი)	12	0
10. აიეგბენი (მიდლსბრო)	12	4

შინ

1. დროგბა (ჩელსი)	16	0
2. ვიდუკა (მიდლსბრო)	11	0
3. რონალდო (მანჩესტერ იუნ)	10	1
4. კუიტი (ლივერპული)	9	0
5. მაკარტი (ბლექბერნი)	9	1

სტუმრად

1. მაკარტი (ბლექბერნი)	9	3
2. ლემპარდი (ჩელსი)	8	3
3. დოილი (რედინგი)	7	2
4. რონალდო (მანჩესტერ იუნ)	7	2
5. რუნი (მანჩესტერ იუნ)	7	0

ასისტენტები

რონალდო (მანჩესტერ იუნ)	14
ფაბრეგასი (არსენალი)	13
არტეტა (ევერტონი)	11
რუნი (მანჩესტერ იუნ)	11
ბენტლი (ბლექბერნი)	10
ლემპარდი (ჩელსი)	10
ბერბატოვი (ტოტენჰემი)	9
გიგზი (მანჩესტერ იუნ)	9

უღისციპლინოები

	ყვ	წით
ბარტონი (მანჩესტერ სიტი)	11	1
ივან კამპო (ბოლტონი)	11	1
კევინ დევისი (ბოლტონი)	10	1
ჰელგუსონი (ფულჰემი)	10	1
ნილი (ვესტ ჰემი)	10	1
ნოლანი (ბოლტონი)	10	1
როე-ჯოკერი (ვესტ ჰემი)	12	0
კორადი (მანჩესტერ სიტი)	5	2
სქოულზი (მანჩესტერ იუნ)	8	1
პოგატეტცი (მიდლსბრო)	11	0
ბალაკი (ჩელსი)	7	1
ბერი (ასტონ ვილა)	7	1
დიუფი (ბოლტონი)	7	1
კონჩესკი (ვესტ ჰემი)	7	1
ტეტჩერი (ჩარლტონი)	7	1

მეკარეები

	მოგ	%
ჯანემანი (რედინგი)	161	78
ფრიდელი (ბლექბერნი)	149	73
ჯეიმსი (პორტსმუთი)	141	77
ჰოვარდი (ევერტონი)	134	82
კარსონი (ჩარლტონი)	123	69

პასები

	პას	%
ფაბრეგასი (არსენალი)	2585	81
სქოულზი (მანჩესტერ იუნ)	2070	91
ჩაბი ალონსო (ლივერპული)	2023	81
ჟილბერტო სილვა (არსენალი)	1907	82
ლემპარდი (ჩელსი)	1851	79

ინდივიდუალური სტატისტიკა

ყველაზე მეტი დარტყმა: კრისტიანო რონალდო (მანჩესტერ იუნ) - 145
ყველაზე მეტი გადაცემა: ფრანცესკ ფაბრეგასი (არსენალი) - 2585
ყველაზე მეტი დრიბლინგი: კრისტიანო რონალდო (მანჩესტერ იუნ) - 190
ყველაზე მეტი ჩაწოდება: სტიუარტ დაუნინგი (მიდლსბრო) - 379
ყველაზე მეტი თამაშგარე: ბენი მაკარტი (ბლექბერნი) - 79
ყველაზე მეტი ჯარიმა: მაიკლ ბრაუნი (ფულჰემი) - 91

ფეარ ფლეი

	ყვ	წთ
ბოლტონი	84	4
ბლექბერნი	77	5
ვესტ ჰემი	85	2
ვიგანი	76	3
ჩელსი	64	4
შეფილდი	68	2
ევერტონი	67	2
მანჩესტერ სიტი	59	4
ჩარლტონი	58	4
ნიუკასლი	67	1
მიდლსბრო	65	1
ფულჰემი	58	3
არსენალი	58	3
მანჩესტერ იუნ	58	1
ტოტენჰემი	47	3
უოტფორდი	47	3
პორტსმუთი	50	1
ასტონ ვილა	47	1
რედინგი	39	3
ლივერპული	43	0

დასწრება

	სულ	საშ
1. მანჩესტერ იუნ	1 440 694	75 826
2. არსენალი	1 140 863	60 045
3. ნიუკასლი	963 036	50 686
4. ლივერპული	827 660	43 561
5. ჩელსი	789 294	41 541
6. მანჩესტერ სიტი	759 946	39 997
7. ევერტონი	698 040	36 738
8. ასტონ ვილა	688 071	36 214
9. ტოტენჰემი	679 043	35 739
10. ვესტ ჰემი	659 726	34 722
11. შეფილდი	583 005	30 684
12. მიდლსბრო	526 866	27 729
13. ჩარლტონი	497 708	26 195
14. რედინგი	452 758	23 829
15. ბოლტონი	448 515	23,606
16. ფულჰემი	423 201	22 273
17. ბლექბერნი	404 233	21 275
18. პორტსმუთი	377 380	19 862
19. უოტფორდი	356 258	18 750
20. ვიგანი	345 019	18 158

გოლები. დარტყმები

	გ	დ	ზ-დ	დ-ს	პ
არსენალი	63	512	226	44%	14876
ასტონ ვილა	43	367	154	42%	9251
ბლექბერნი	52	373	155	42%	10051
ბოლტონი	47	296	120	41%	8094
ჩარლტონი	34	340	133	39%	8700
ჩელსი	64	496	216	44%	13338
ევერტონი	52	364	153	42%	8001
ფულჰემი	38	351	142	40%	7706
ლივერპული	57	540	214	40%	13068
მანჩესტერ ს	29	362	147	41%	8611
მანჩესტერ იუნ	83	552	256	46%	14958
მიდლსბრო	44	361	144	40%	8996
ნიუკასლი	38	348	140	40%	10483
პორტსმუთი	45	425	186	44%	8543
რედინგი	52	345	132	38%	7160
შეფილდი	32	377	147	39%	6946
ტოტენჰემი	57	415	184	44%	11028
უოტფორდი	29	336	135	40%	5762
ვესტ ჰემი	35	342	134	39%	9377
ვიგანი	37	363	148	41%	7052

გუნდური სტატისტიკა

ყველაზე მეტი გოლი მატჩში (ორივე გუნდისთვის) - 8
არსენალი-ბლექბერნი 6:2

ყველაზე მეტი გოლი მატჩში (ერთი გუნდისთვის) - 6
რედინგი-ვესტ ჰემი 6:0
არსენალი-ბლექბერნი 6:2

ყველაზე დიდი ანგარიშით მოგება (შინ) - 6
რედინგი-ვესტ ჰემი 6:0

ყველაზე დიდი ანგარიშით მოგება (სტუმრად) - 4
ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნ 0:4
ვიგანი-ლივერპული 0:4
ბოლტონი-მანჩესტერ იუნ 0:4
რედინგი-არსენალი 0:4
მიდლსბრო-პორტსმუთი 0:4

ლიდერები (საერთო)

ყველაზე მეტი მოგება	28	მანჩესტერ იუნ
ყველაზე ნაკლები წაგება	3	ჩელსი
ყველაზე მეტი ფრე	17	ასტონ ვილა
ყველაზე ნაკლები მოგება	5	უოტფორდი
ყველაზე მეტი წაგება	21	ვესტ ჰემი
ყველაზე ნაკლები ფრე	5	მანჩესტერ იუნ, ვესტ ჰემი
ყველაზე მეტი გოლი	83	მანჩესტერ იუნ
ყველაზე ნაკლები გაშვებული გოლი	24	ჩელსი
ყველაზე უკეთესი სხვაობა	56	მანჩესტერ იუნ
ყველაზე ნაკლები გოლი	29	უოტფორდი, მანჩესტერ სიტი
ყველაზე მეტი გაშვებული გოლი	60	ჩარლტონი, ფულჰემი
ყველაზე უარესი სხვაობა	-30	უოტფორდი
ყველაზე გრძელი მოგებათა სერია	9	ჩელსი
ყველაზე გრძელი წაუგებელი სერია	14	ჩელსი
ყველაზე გრძელი ფრეთა სერია	6	ფულჰემი
ყველაზე გრძელი წაგებათა სერია	8	ვიგანი
ყველაზე გრძელი მოუგებელი სერია	11	უოტფორდი, ვესტ ჰემი, ასტონ ვილა

მანჩესტერ იუნ

	თ	ნთ	გ	ყ	ნ
უეინ რუნი	33(2)	2926	14	6	0
რიო ფერდინანდი	33	2926	1	2	0
ედვინ ვან დერ სარი*	32	2880	0	1	0
კრისტიანუ რონალდუ	31(3)	2788	17	2	0
მაიკლ ძერიძი	29(4)	2511	3	2	0
პოლ სკოულზი	29(1)	2596	6	8	1
რაიან გიგზი	25(5)	2309	4	5	0
ნემანია ვიდიჩი	25	2142	3	7	0
გარი ნევილი	24	1980	0	2	0
პატრის ევრა	22(2)	1860	1	4	0
ლუის საა	18(6)	1631	8	1	0
გაბრიელ ჰინცე	17(5)	1506	0	5	0
უეს ბრაუნი	17(5)	1601	0	3	0
ჯონ ო'შეი	16(16)	1723	4	2	0
დარენ ფლეტჩერი	16(8)	1428	3	0	0
ოლე-გუნარ სოლსკიაერი	9(10)	918	7	1	0
კირან რიჩარდსონი	8(7)	780	1	4	0
ჟი-სუნ პარკი	8(6)	773	5	0	0
მიკაელ სილვესტრი	6(8)	606	1	0	0
ალან სმიტი	6(3)	480	0	2	0
ტომაშ კუჟჩაკი*	6	540	0	0	0
ჰენრიკ ლარსონი	5(2)	459	1	1	0
კრის იგლზი	1(1)	94	1	1	0
ფანჯუ დონგი	1	73	0	0	0
კირან ლი	1	90	0	0	0

ევერტონი

	თ	ნთ	გ	ყ	ნ
ჯოზეფ იობო	38	3420	2	3	0
ლი ჯარსი	38	3378	1	3	0
ჯოლეონ ლესკოტი	36(2)	3317	2	2	0
ტიმ ჰოვარდი*	36	3240	0	1	0
მიკელ არტეტა	35	3139	9	9	0
ფილ ნევილი	35	3113	1	7	0
ანდრიუ ჯონსონი	32	2717	11	4	0
ლეონ ოსმანი	31(3)	2810	3	5	0
ალან სტაბსი	23	1999	2	3	0
ტიმ კაჰილი	17(1)	1407	5	5	0
ჯეიმს ბიტი	15(18)	1463	2	4	0
საიმონ დევისი	13(2)	1108	0	1	0
ტონი ჰიბერტი	12(1)	1015	0	1	1
გარი �იმიტი	10(5)	945	1	0	0
ნუნუ ვალენტე	10(4)	898	0	1	0
მანუელ ფერნანდესი	8(1)	718	2	4	0
ჯეიმს ვონი	7(7)	652	4	5	0
ჯეიმს მაკფადენი	6(13)	786	2	1	0
ვიქტორ ანიჩებე	5(14)	616	3	6	0
ენდი ვან დერ მეიდე	5(3)	388	0	1	0
დევიდ უეირი	2(3)	151	0	0	0
კევინ კილბეინი	2	96	0	1	1
იან ტურნერი*	1	90	0	0	0
რიჩარდ რაიტი*	1	90	0	0	0
დე ფრენსა ანდერსონი	0(1)	2	0	0	0
მარკ ჰიუზი	0(1)	1	0	0	0

ასტონ ვილა

	თ	ნთ	გ	ყ	ნ
ოლაფ მელბერგი	38	3376	1	8	0
გაბრიელ აგბონლაჰორი	37(1)	3327	9	2	0
გარეტ ბერი	35	3121	8	7	1
სტილიან პეტროვი	30	2636	2	4	0
ტომას სიორენსენი*	29	2546	0	0	0
გავინ გაკანი	28(2)	2423	1	9	0
ვილფრედ ბუმა	23(2)	1977	0	0	0
ლაიამ რიდგეელი	19(2)	1765	1	1	0
გარი კეინლი	19(1)	1744	0	3	0
ხუან პაბლო ანხელი	18(5)	1498	4	2	0
სტივენ დევისი	17(11)	1649	0	1	0
აარონ ჰიუზი	15(4)	1291	0	0	0
ფილიპ ბერდსლი	13	1147	0	1	0
მარტინ ლაუარსენი	12(2)	1054	0	0	0
ეშლი იანგი	11(2)	981	2	1	0
კრეიგ გარდნერი	11(2)	971	2	1	0
ჯონ კარუ	11	906	3	2	0
მილან გარეში	10(7)	875	1	1	0
ლიუკ მური	7(6)	641	4	0	0
ისაია ოსბორნი	6(5)	644	0	1	0
კრის სატონი	6(2)	592	1	2	0
პატრიკ ბერგერი	5(8)	557	2	0	0
შონ მელონი	5(3)	451	1	0	0
გაგორ კირალე*	5	450	0	0	0
სტიუარტ ტეილორი*	4(2)	424	0	0	0
ჯლიფილ სამუელი	2(2)	204	0	1	0
პიტ უიტინგემი	2(1)	172	0	0	0
დიდიე აგატე	0(5)	166	0	0	0
ერიკ ჯეგბა-ჯეგბა	0(1)	1	0	0	0
ლი ჰენდრი	0(1)	7	0	1	0

ფულჰემი

	თ	ნთ	გ	ყ	ნ
ლაიამ როსენიორი	37	3308	0	2	0
ბრაიან მაკბრაიდი	34(3)	2876	9	0	0
მაიკლ ბრაუნი	33	2846	0	10	0
ანტი ნიემი*	31	2671	0	1	0
ფრანკ კეროლი	27(1)	2425	1	8	0
ტომაშ რაჰინსკი	25(9)	2210	2	3	0
კარლოს ბოკანეგრა	25(4)	2279	5	5	0
მორიციო ფოლეი	23(5)	1964	2	3	0
ზაკ ნაიფი	21(1)	1943	2	3	0
იან პირსი	21	1751	1	3	1
პაპა ბუბა დიოპი	19(3)	1617	0	4	1
ფილიპ კრისტანვალი	19(1)	1697	1	1	0
ჰეიდარ ჰელგუსონი	15(13)	1356	3	10	1
საიმონ დევისი	14	1238	2	1	0
უეინ რუტლეჯი	13(10)	1376	0	1	0
ლუიმ გრეი მორტე	12(3)	1102	0	2	0
კლაუს იენსენი	10(2)	913	2	0	0
ალენ ჰენრი	8(14)	851	1	0	0
იან ლაბატუკა*	7(1)	659	0	0	0
ალეძანი სეარტინი	6(1)	533	0	0	0
ჯიმი გალარდი	4	304	2	1	0
ვინენტი მონტელა	3(7)	312	2	0	0
კლინტონ დევისი	1(9)	252	1	0	0
მეტიუ ბრიგსი	0(1)	13	0	0	0
ბორნ რასნატრიფი	0(1)	8	0	0	0

ჩელსი

	თ	ნთ	გ	ყ	ნ
ფრანკ ლეგმარდი	36(1)	3245	11	3	0
მიკაელ ეშიენი	33	2970	2	5	0
დიდიე დროგბა	32(4)	2947	20	9	0
რიკარდუ კარვალიუ	31	2641	3	6	0
ჯონ ტერი	27(1)	2414	1	2	1
კლოდ მაკელელე	26(3)	2281	1	5	0
მიხაელ ბალაკი	23(3)	2017	4	7	1
ანდრეი შევჩენკო	22(8)	1808	4	1	0
ეშლი კოული	21(2)	1846	0	4	0
პეტრ ჩეხი*	20	1715	0	1	0
სალომონ კალუ	19(14)	1935	7	0	0
პაულუ ფერეირა	18(6)	1708	0	5	0
უეინ გრიფი	17(5)	1550	0	1	0
არიენ რობენი	16(5)	1349	2	1	0
ჰენრიმი ჭეიტაკი	15(4)	1160	1	0	0
შონ რაიტ-ფილიპსი	13(14)	1266	2	1	0
ენრიკე ილარიო*	11	990	0	0	0
ჯონ მიკელი	10(12)	947	0	5	1
ხალიდ ბულარუზი	10(3)	816	0	2	1
ლასანა დიარა	7(3)	557	0	3	0
კარლო კუდიჩინი*	7(1)	715	0	0	0
ჯონ კოული	3(10)	471	0	3	0
სკოტ სინკლერი	1(1)	64	0	0	0
ბენ საარი	0(3)	64	0	0	0
ნუნუ მორაიში	0(2)	18	0	0	0
სემ პაუჩინსონი	0(1)	1	0	0	0

პოლტონი

	თ	ნთ	გ	ყ	ნ
იუსი იაასკელაინენი*	38	3420	0	3	0
გარი სპიდი	38	3264	8	4	0
აგდულაიე მეიტე	35	3127	0	3	0
ნიკოლა ანელკა	35	3017	11	0	0
ელ-ჰაჯი დიუფი	32(1)	2682	5	7	1
ნიკი ჰენტი	32(1)	2633	0	2	0
ივან კობეო	31(3)	2838	4	11	1
კევინ ნოლანი	31	2694	3	10	1
ტალ ბენ ჰაიმი	30(2)	2686	0	7	0
კევინ დევისი	30	2531	8	10	1
აგდულაიე ფეიე	29(3)	2521	2	9	0
რიკარდო გარდნერი	13(4)	1199	0	6	0
ს. იონაკოპულოსი	11(12)	932	0	1	0
ჰენრიკ კეფერსენი	10(8)	923	1	1	0
ანდრანიკ თეიმურიანი	6(11)	825	2	1	0
კუნინტონ ფორჩუნი	5(1)	423	0	3	0
ილან ტალი	4(12)	515	0	1	0
დევიდ ტომასონი	3(5)	286	0	3	0
ლუბომირ მიხალიკი	3(1)	339	1	1	0
რიკარდო ვაზ ტე	2(23)	640	0	0	0
ჯეიმს სინკლერი	0(2)	45	0	0	0
სასარ მარტინი	0(1)	1	0	0	0
იოჰან სმიტი	0(1)	5	0	0	0

ქიდლსბრო

	თ	ნთ	გ	ყ	ნ
იაკუბუ აიეგბენი	36(1)	3082	12	2	0
მარკ ვ

ინტერვიუ რაფა ბენიტესთან

ანჩელოტისთან ერთად სიამოვნებით დავლევდი ღვინოს

ესპანელი სპეციალისტი დარწმუნებულია, რომ ათენში ის გუნდი გაიმარჯვებს, რომელსაც უფრო მტკიცე ნервები აღმოაჩნდება...

ზუსტად ერთ კვირაში, ათენი მიმდინარე წლის უმთავრეს შეხვედრას უმასპინძლებს. ორი წლის შემდეგ ისტორია განმეორდა. ფინალში კვლავ „ლივერპული“ და „მილანი“ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. იტალიურკლუბს რევანში აქვს ასაღები. გახსოვთ, მათი წინა დაპირისპირება დრამატული სცენარით წარიმართა, შედეგად, „როსონერის“ პრაქტიკულად განაღდებული გამარჯვება ჯიბიდან ამოუღეს. ბუნებრივია, მილანური გრანდი ყველაფერს იღონებს იმისთვის, რომ ამ შეურაცხყოფისთვის ინგლისელებს პასუხი გასცეს. კარლო ანჩელოტის გამწარებულ ბიჭებს მოწინააღმდეგისთვის სერიოზული პრობლემების შექმნა შეუძლიათ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ „ლივერპულს“ აბსოლუტურად არაფრის ეშინია. ერთი სიტყვით, წინ კიდევ უფრო საინტერესო ფეხბურთი გველის. ფინალამდე ერთი კვირით ადრე ინგლისელთა მთავარ მწვრთნელს „დიარიო ასის“ კორესპონდენტი ესტუმრა. რაფა ბენიტესმა ყველა კითხვას ამომწურავად უპასუხა.

- თქვენმა „ლივერპულმა“ ჩემპიონთა ლიგის მეორე ფინალში გააღწია. ამ დიდი წარმატების მიუხედავად, ესპანეთში რაფა ბენიტესის სტილს ეჭვის თვალით უყურებენ. პირდაპირ გეტყვით, ხალხს თქვენი ფეხბურთი არ მოსწონს. რას იტყვით ამის შესახებ?

- იცით, რას გეტყვით, თუ ეს გუნდი რაიმეს იმსახურებს, პირველ რიგში უდიდეს პატივისცემას. ჩვენ ყველამ ერთად ფენომენალური სამუშაო შევასრულეთ. ოდნავ გაუგებარი და გასაკვირია, რომ ამდენი ძალისხმევისა და შრომის შემდეგ „ლივერპულზე“ ადეკვატურად არ საუბრობენ. არადა, ის პატივისცემას აშკარად იმსახურებს. პირადად ჩემთვის ყველაფერზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ენფილდელი გულშემატკივრები კმაყოფილები არიან. მათ მოსწონთ ის ფეხბურთი, რომელსაც გუნდი თამაშობს. სხვა ყველაფერი კი ფეხბეზე მკიდია. თუნდაც ის განავალი, რომელსაც ესპანეთიდან მესვრიან. უსამართლო ბრალდებებითა და შეფასებებით ის ხალხი გამოდის, რომელთაც წარმოდგენა არ აქვს, თუ რა სამუშაო შესრულდა, როგორი გუნდია „ლივერპული“ და რის ფასად ვაღწევთ წარმატებას. დაახლოებით ერთი თვის წინ დონ ხორხე ვალდანოს ინტერვიუ წავიკითხე. ამ კაცს ოცი წელია ვიცნობ. მადრიდის „რეალის“ საყმაწვილო გუნდებში ერთად გვიმუშავია. ახლა კი ვალდანო თავს მესხმის. სამწუხაროდ, საშუალება არ მაქვს, რომ ესპანეთში ჩავიდე, მას შევხვდე და დავუმტკიცო, რომ აბსურდულ არგუმენტებს მიპირისპირებს. დროის დეფიციტის გამო უბრალო გულშემატკივრებსაც ვერ ვესაუბრები. არადა, შესანიშნავი იქნებოდა, ესპანეთში ჩავსულიყავი, რომელიმე არხის ეთერით გამოვსულიყავი და ყველაფერზე ღიად მესაუბრა. უბრალოდ, ადამიანმა რეალობის შეგრძნება არ უნდა დაკარგოს. ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩემპიონთა ლიგის ფინალში ორჯერ გავედით. განა ეს ცოტაა? დარმუნებული ვარ, თასიც რომ მოვიგოთ, მაინც კრიტიკის ქარცეცხლს დამატეხენ. საუბედუროდ, ესპანელებს ერთი ცუდი თვისება გვაქვს. იმ ადამიანებს, რომლებიც ქვეყნის ფარგლებს გარეთ წარმატებებს აღწევენ, ფაქტობრივად, უმიზეზოდ ვუპირისპირდებით. ეს შურისა და უნდობლობის გამო ხდება. რატომღაც ჰგონიათ, რომ საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვა სამშობლოს ღალატია.

- როგორც ჩანს, ვალდანოსთან არ გაქვთ კარგი დამოკიდებულება...

- ვალდანომ პირველ რიგში ისეთ ადამიანებს უნდა გადაუხადოს მადლობა, როგორებიც რამონ მარტინესი, კაპა და გუტიერესი არიან. მთავარი მწვრთნელისა და გენერალური დირექტორის თანამდებობებზე მუშაობისას მათგან არგენტინელმა უამრავი რამ ისწავლა. პროექტებს პრაქტიკულად მხოლოდ ისინი მართავდნენ. სენიორ ხორხე კი მისი მისამართით დაწერილ საქებარ სტატიებს ინახავდა და საკუთარი პერსონით ტკბებოდა. ვალდანო პრესკონფერენციებზე ყოველთვის გახარებული მიდიოდა და მზად იყო ჟურნალისტებთან საკეკლუცოდ საათები დაეხარჯა. ის ღირებულებები, რომლითაც სამხრეთამერიკელი თავს ინონებს, სულაც არ არის მისი.

- იქნებ დააკონკრეტოთ, რას გულისხმობთ?

- კეთილი, გარკვევით მოგახსენებთ. ვალდანო ყელმოღერებულად საუბრობს ფეხბურთის სილამაზესა და ლამაზი თამაშისთვის აუცილებელ მეთოდებზე. ზოგადად, დასაფასებელია, როცა ადამიანს ფიქრისა და განსჯის შედეგად ჩამოყალიბებული ღირებულებები აქვს, მაგრამ ვალდანოს უბედურება იმაშია, რომ ეს ღირებულებები მან ჩემმიერ ხსენებული ადამიანებისგან სრულიად გაუაზრებლად გადაიღო. არის ერთი არგენტინელი ჟურნალისტი დანტე პანსერი. მას შესანიშნავი წიგნი აქვს გამოცემული – „მოუფიქრებლობის დინამიკა.“ წაიკითხეთ ეს წიგნი და ვალდანოზე ძალიან ბევრ საინტერესოს გაიგებთ. მოკლედ, სენიორ ხორხეს პროფესიონალიზმში სერიოზული ეჭვი შემაქვს. ის პლაგიატს ეწევა და არანაირი მორალური უფლება არ აქვს, სხვას ჭკუა დაარიგოს. პიროვნულ საკითხებს რაც შეეხება, მომიტევეთ, მაგრამ არანაირი სურვილი არ გამაჩნია ამ თემაზე ვისაუბრო. ჰო, მართლა, ახლაღა გამახსენდა. ვალდანომ მხოლოდ ჩემი გალანძღვა არ იკმარა და ჟოზე მოურინიოსაც გადაწვდა. წარმოიდგინეთ, კაცს, რომელმაც თანამედროვე ფეხბურთში ახალი სიტყვა თქვა. მოურინიო თურმე ღირსი ყოფილა იმისთვის, რომ ვალდანომ ლაფი შეასხას. კარგით, რა...

- ძალიან გაცხარდით. არადა, არანაირი სურვილი არ მქონდა, გამენერვიულებინეთ...

- იცით რაშია საქმე? ვერ ვიტან, როცა ღირსებადაკარგული ადამიანები სხვისთვის ჩირქის მოცხებას ცდილობს. მით უმეტეს, მაშინ, როცა დასაგესლად პრესას იყენებენ. ღრმადპატივცემულ სენიორ ხორხეს იმის კაცობაც არ აქვს, რომ პირადად შეგვხვდეს და ისე დაგველაპარაკოს. არ ვიცი, შეიძლება, მოურინიოს არ იცნობს, მაგრამ მე ხომ ოცი წელია მიცნობს? დაერეკა, ან ჩამოსულიყო და ეთქვა რისი თქმაც სურდა. მან ყველაზე უღირსი გზა აირჩია და ინტერვიუებში დაიწყო ჩემი გინება. ამ ხერხს არასოდეს მივმართავ. ახლა გამონაკლისს მხოლოდ იმის გამო ვუშვებ, რომ ეს ბრძოლა თავად ვალდანომ წამოიწყო.

- ეს დებატი საკმაოდ ძველი და კარგად ნაცნობია. ლამაზ ფეხბურთს, ტექნიკურ თამაშს უწოდებენ, უშნო ფეხბურთად კი ზედმეტად ტაქტიკურ თამაშს ასახელებენ. როგორ ფიქრობთ, ეს უფრო თემატური დებატია, თუ საქმე პირად დაპირისპირებებთანაც გვაქვს?

- ცოტა ხნის წინ მანუელ გონსალოს ფანტასტიკური სტატია წავიკითხე. თქვენი კოლეგა წერდა, რა უმჯობესია, ბურთი პირდაპირ თავით გაგზავნო კარისკენ, თუ ის მიწაზე დაუშვა და ტექნიკური ილეთებით სცადო გოლის გატანა. სერიოზული განსჯის შემდეგ სენიორ გონსალო იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ლამაზი გოლი თავითაც შეგიძლია გაიტანო და ფეხითაც. თეორია თეორიად, მაგრამ პრაქტიკა სულ სხვა საქმეა. თუ სასწორზე მთელი სიცოცხლე დევს, ვერ დაიწყებ ესთეტიკაზე ბევრ ფიქრს და ყველაფერს გააკეთებ იმისთვის, რომ მოიგო. თუნდაც ამას საკუთარ ღირებულებებზე ზურგის შექცევაც მოგიხდეს.

- კარგით, მოდით, უფრო აქტუალურ თემებს შევეხოთ. როგორ ფიქრობთ, „ლივერპულმა“ კამპ ნოუზე“ ამ სეზონის ერთადერთი ლამაზი შეხვედრა ჩაატარა?

- რატომ ამბობთ ასე?! გული მტკივა. ჩემი აზრით, მთლიანად ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპისა და ფლეი ოფების განმავლობაში მრავალი ლამაზი მატჩი ჩავატარეთ. თუნდაც, პსვ-სთან შეხვედრა რად ღირდა. ეინდჰოვენში დიდი ანგარიშით გავიმარჯვეთ. ბოლოს და ბოლოს, „ენფილდზე“ „ბარსელონასთან“ ფანტასტიკური პირველი ტაიმი ჩავატარეთ. განა ხშირად გაქვთ ასეთი ლამაზი ფეხბურთის ნახვის შესაძლებლობა? ან „გალათასარაისთან“ თამაში გავიხსენოთ. ჰო, არც „ჩელსისთან“ შეგვირცხვენია თავი. მოკლედ, იმის თქმა მსურს, რომ „ლივერპული“ ძალიან ლამაზ ფეხბურთს თამაშობს. ვალდანოსა და მის მიმდევრებს კი რამდენიც უნდათ იმდენი ილაპარაკონ.

- ხომ არ ფიქრობთ, რომ ინგლისში უფრო მეტად დაგაფასეს, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში?

- გულწრფელად რომ ვისაუბროთ, ინგლისში პროფესიონალებს უფრო მეტად აფასებენ. შესაძლოა, მკაცრად გაგაკრიტიკონ, მაგრამ შენს შესაძლებლობებსა და პროფესიონალიზმს ეჭვქვეშ არასოდეს დააყენებენ. თუ რაიმე წარმატებას მიაღწევ, ყოველთვის დაგიფასებენ და მადლობასაც გადაგიხდიან.

- ათენში ლამაზი ფეხბურთის მოყვარული გუნდი, კონტრშეტევებსა და ტაქტიკაზე ორიენტირებულ მოწინააღმდეგეს დაუპირისპირდება?

- არ ვიცი, რას გულისხმობთ და რომელ გუნდს მიიჩნევთ ლამაზი ფეხბურთის მიმდევრად. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ „მილანს“ პატივს ვცემ. მას უდიდესი მწვრთნელი ავარჯიშებს. ფეხბურთელებზე კი რა უნდა გითხრათ? ისინი ერთ-ერთი საუკეთესოები არიან მთელ მსოფლიოში. „როსონერიმ“ „მანჩესტერთან“ წარმოუდგენლად კარგად იასპარეზა. დარწმუნებული ვარ, ანჩელოტიც ჯეროვნად გვაფასებს. მანაც იცის, რომ „ლივერპული“ დიდი გუნდია. ასე რომ, წინ ფანტასტიკური ფინალი გველის.

- თამაშის შემდეგ ანჩელოტისთან ერთად ბოთლ ღვინოს ხომ არ დალევდით?

- როგორც გითხარით, სენიორ ანჩელოტის უდიდეს პატივს ვცემ. ორი წლისწინანდელ ფინალში მან ყველაფერი გააკეთა რისი გაკეთებაც მწვრთნელს შეეძლო. „მილანი“ ხომ 3:0 იგებდა. შემდეგ „ლივერპულმა“ ძალები მოიკრიბა და ისტორიული გამარჯვება იზეიმა. წარმოუდგენელი იმედგაცრუებისა და ტკივილის მიუხედავად, ანჩელოტის ჩემი მისამართით ერთი აუგი სიტყვაც არ უთქვამს. თუ სურვილი ექნება, ანჩელოტისთან ერთად ღვინოს სიამოვნებით დავლევდი. თანაც არა ერთ, არამედ რამდენიმე ბოთლს. წინასწარვე შეიძლება ითქვას, რომ ფინალს ყველაზე ღირსეული გუნდი მოიგებს.

- გატუზოს გამომეტყველებითა და მისის ხმაურიანი განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, „მილანი“ შურისძიების სურვილით ივნის. როგორ ფიქრობთ, ეს გარემოება „ლივერპულის“ წისქვილზე ასხამს წყალს, თუ პირიქით, პრობლემებს ელით?

- ჩემი აზრით, შურისძიებაზე საუბარი პირველად პრესამ წამოიწყო. ეს უფრო მათი სურვილია, ვიდრე მილანელთა განწყობა. რა თქმა უნდა, ისინი გამარჯვებაზე ოცნებობენ, მაგრამ რევანში და შურისძიება აქ არაფერ შუაშია. გატუზო, შესაძლოა, ერთადერთი გამონაკლისი იყოს. ის დიდი პროფესიონალია, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე ემოციური მოთამაშეცაა. ჩემი აზრით, „როსონერის“ სხვა ფეხბურთელები არა რევანშზე, არამედ ახალი ფინალის მოგებაზე ფიქრობენ. ისინი აცნობიერებენ, რომ ათენში ყველაფერი თავიდან დაიწყება და წინა ფინალზე ფიქრი სასიკეთოს არაფერს მოუტანს.

- გულწრფელად მითხარით, გეშინიათ „მილანის“?

- ვის, მე? რა სისულელეა. ჩვენ „ლივერპულს“ წარმოვადგენთ. ამ გუნდს კი შიშის გრძნობა ატროფირებული აქვს. „მილანს“ აქეთ უნდა ეშინოდეს (იცინის). რა თქმა უნდა, მათ შიშზე საუბრისას ვხუმრობ. ისინიც გმირები არიან. ათენში არავის არავისი შეეშინდება. მოიგებს ის, ვინც უკეთეს ფორმაში იქნება და ვისაც უფრო მტკიცე ნервები აღმოაჩნდება.

- ჩვენთან დაბრუნებას არ აპირებთ?

- „რეალი“ უარით გავისტუმრე, მაგრამ სამეფო კლუბის ხელმძღვანელობამ ჩემთან ურთიერთობის ფაქტი რატომღაც უარყო. ესპანეთში დაბრუნებას ჯერჯერობით არ ვაპირებ. კარგად იცით, „ენფილდზე“ ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს. ყველა მაფასებს. ხალხი მეხუტება და მადლობას მიხდის. არ ვიცი, როგორ გამიგებთ, მაგრამ ესპანეთში ასეთი სითბო არასოდეს მინახავს. „ვალენსიასთან“ ერთად ესპანეთის ჩემპიონის ტიტული მოვიპოვე, მაგრამ მადლობის ნაცვლად კლუბის ხელმძღვანელობისგან ლანძღვა მივიღე.

ილია ნიკოლაიშვილი

შუსტერი კომპენსაციის მოლოდინში

"დიარიო სპორტი" იუწყება, რომ თუ **ფაბიო კაპელო** "რეალში" დარჩება, სამეფო კლუბს **ბერნდ შუსტერისათვის** კომპენსაციის გადახდა მოუწევს. მხარეებს წინასწარი კონტრაქტი აქვთ გაფორმებული. მის თანახმად, შუსტერი "რეალის" განვრთნას 1 ივლისს უნდა შეუდგეს. მაგრამ კონტრაქტში ჩადებულია სხვა პუნქტებიც. კერძოდ, თანამშრომლობის ჩაშლის შემთხვევაში, ის მხარე, ვისი მიზეზითაც ხელშეკრულება ვერ სრულდება, მეორე მხარეს 800 ათას ევროს გადაუხდის. შუსტერი მადრიდში წასასვლელად მზადაა, მაგრამ თუ "რეალი" ჩემპიონი გახდება, რაღატომ დაითხოვენ კაპელოს? გერმანელი სპეციალისტი ორივე შემთხვევაში მოგებული რჩება. ის ან ოცნებას აიხდენს და ესპანურ გრანდს ჩაიბარეს, ან საბანკო ანგარიშს სოლიდური თანხით შეავსებს.

გუდიონსენი ტოტენჰემში?

"ტოტენჰემი" **ეიდურ გუდიონსენს** ეპატიჟება. "დეილი მეილის" ცნობით, ისლანდიელი თავდამსხმელი ლონდონში ბრუნდება. ის გასულ ზაფხულს, "ბარსელონაში" გადავიდა, მაგრამ ძირითადში დამკვიდრება ვერ შეძლო. სპეკულაციების თანახმად, გუდიონსენის დამატება "არსენალსა" და "მანჩესტერ იუნაიტედსაც" სურდათ. ინგლისურ გრანდებს ინფორმაცია არ დაუდასტურებიათ. "მამლები" კი ადასტურებენ, რომ გუდიონსენის იმედი აქვთ. "ტოტენჰემმა" უეფას თასის საგზური მოიპოვა. წამყვან ფორვარდ **დიმიტარ ბერბატოს** ევროპულ გრანდში გადასვლას უწინასწარმეტყველებენ. ლონდონელები მის შემცვლელად გუდიონსენს განიხილავენ.

ტიგანა ბეშიქთაშს გამოეთხოვა

ჟან ტიგანა "ბეშიქთაშს" გამოეთხოვა. მხარეებმა კონტრაქტი ორმხრივი შეთანხმების შედეგად განყვიტეს. ფრანგი სპეციალისტის სტამბოლში 2005 წლის ოქტომბერში ჩავიდა. იქამდე ის ყოფილ კლუბ "ფულჰემთან" სასამართლო დავით იყო დაკავებული. თურქეთის ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე "ბეშიქთაშს" თანაქალაქელი "ფენერბაჰჩესაგან" ექვსი ქულა ჰყოფს. გასულ უქმეებზე "ფენერმა" ორი ქულა დაკარგა, მაგრამ ტიგანას შეგირდებმა ამით ვერ ისარგებლეს და "ბურსასფორთან" 0:3 დამარცხდნენ. კიდევ ერთი სტამბოლური გრანდი "გალათასარაი" მესამე ადგილზეა და "ლომთალომებს" ორი ქულით ჩამორჩება, იმასაც შეგახსენებთ, რომ ერთი კვირის წინ მოსიე ჟანმა თურქეთის თასი მოიპოვა. ასე რომ, ფრანგი სახლში ხელცარიელი არ ბრუნდება.

ფრაი 4 თვეს დაისვენებს

"შალკეს" კარში გატანილი ოქროს გოლის შემდეგ, დორტმუნდის "ბორუსიის" შვეიცარიელმა თავდამსხმელმა **ალექსანდერ ფრაიმ** მუხლის ოპერაცია გაიკეთა. 29 წლის ფორვარდს ოპერაცია რომ სჭირდებოდა, ეს ჯერ კიდევ ორი კვირის წინ გახდა ცნობილი, მაგრამ თავდამსხმელმა "შალკესთან" მატჩის გამოტოვებაზე უარი არ თქვა და რურის დიდ დერბიში ტკივილგამაყუჩებლებით ითამაშა. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ფრაიმ "შალკეს" გოლი გაუტანა და უკვე ცხადია, რატომაც შერაცხეს დორტმუნდის ფანებმა ღმერთად. ფრაის მიმდინარე სეზონში 16 გოლი აქვს გატანილი და ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზეა. ის მოედანს 4 თვის შემდეგ დაუბრუნდება.

ჰასელბაინკი სახლში წავიდა

პრემიერლიგიდან გავარდნილი "ჩარლტონი" **ჯიმი ჰასელბეინკს** გამოეთხოვა. ის ლონდონური კლუბის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი იყო. ქვედა დივიზიონში გადასვლის შემდეგ ჩარლტონელებს ბიუჯეტის შეკვეცა მოუხდებათ. ჰასელბეინკის გარდა, სხვა ლიდერებსაც ტრანსფერზე დააყენებენ, ან თავისუფალი აგენტის სტატუსს მიანიჭებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს XVI ჩემპიონატი

მშვიდად მოგებული

ფინალი, 3 მოგებამდე

15 მაისი. რუსთავი

აზოტი-ავიამშენი 85:75

31:27, 22:21, 19:13, 13:14

აზოტი	ქ	მ	პ	ჩ	დ	შ
გამყრელიძე	11	4	5	0	0	2
გეჭანიშვილი	12	4	1	1	1	0
ბოისა	9	4	3	0	0	3
ტულუში	6	4	4	1	0	3
უგრეხელიძე	19	9	0	0	0	1
დიდია	5	3	0	0	0	0
მარკოიშვილი	16	4	0	1	0	0
გოგობერიშვილი	2	3	1	0	0	0
ტუჯანი	2	6	1	0	0	1
მალეშევიჩი	3	1	5	1	0	3

ავიამშენი	ქ	მ	პ	ჩ	დ	შ
ნიკოლაძე	5	3	5	0	0	2
ი. ბერიშვილი	17	5	5	3	0	2
ბარბაძაძე	9	3	2	3	1	3
ბაბიაშვილი	24	13	1	2	1	3
როლუმტა	5	1	1	0	0	1
დ. ბერიშვილი	4	0	6	1	1	0
მესხიშვილი	0	1	0	0	0	0
ხოშტარია	0	1	0	0	0	1
კვილიდა	7	1	0	0	0	2
სუხიშვილი	4	2	0	0	1	0
კვიმსაძე	0	1	1	1	0	1

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი

სერიას იგებს აზოტი - 1:0

ორთაბრძოლა: ბარბაქაძე-ტუჯანი

ნუგზარ სუარიძის ფოტო

გუშინ რუსთავმა ფინალური სერიის პირველ მატჩს უმასპინძლა. ყველა ელოდა, რომ დარბაზში მისული ქომაგიცა და შეხვედრაც მეტისმეტად ხმაურიანი იქნებოდა. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა - რუსთაველი გულშემატკივარი მისთვის უჩვეულოდ მშვიდად ადევნებდა თვალს მოედანზე მიმდინარე მოვლენებს და არც თამაშისას მომხდარა რამე ინციდენტი. ეს კარგია, თუმცა მაინც ისმის კითხვა - საიდან ასეთი სიმშვიდე?

პასუხი მარტივია - გუნდიდან. მთელს რუსთავს სჯერა როგორც კალათბურთელების, ასევე მწვრთნელის და როცა ხედავს, მოედანზე ყველა თავის საქმეს მშვიდად (და რაც მთავარია, წარმატებით) ასრულებს, ძალაუნებურად, თავადაც მშვიდდება. არადა, შარშანდელი ფინალებისას, მოთამაშეთა მღელვარება გულშემატკივარზეც გადადიოდა და მოედანზე დამსხვრეული ბოთლიც ვიხილეთ და ქომაგთა შორის ხელჩართული ჩხუბიც, რაც ნამდვილად არ არის მოსაწონი.

"აზოტის" კალათბურთელებმა საერთო ჯამში დამაჯერებლად ითამაშეს, თუმცა პირველ ტაიმში მცირე ნერვიულობა მაინც ეტყობოდათ - მათ ხომ კარგად იცოდნენ, რომ შინ ერთი მატჩის წაგებაც ჩემპიონობის გზაზე დიდი უფსკრულის გაჩენის ტოლფასი იყო. მღელვარებამ რიგ ეპიზოდებში შეტევაში ნაჩქარევი მოქმედება და დაცვაში ხვრელების გაჩენა გამოიწვია. სწორედ ამიტომ, პირველ მეოთხედში თითქმის იმდენი ქულა ჩავარდა, რამდენიც მთლიანად მეორე ტაიმში (საწყის ათწუთეულში - 58, მეორე ნახევარში - 59). უხვქულიანობას კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა - მეტოქის ფარქვეშ სივრცეებს კარგად პოულობდნენ "აზოტის" მხრიდან **დავით უგრეხელიძე** და "ავიადან" **ზვიად ბაბიაშვილი**.

დათომ საწყის 20 წუთში რამდენჯერაც ისროლა, იმდენჯერ მიზანში მოარტყა (6 ორქულიანი და 4 საჯარიმო ჩააგდო) და 16 ქულას მოუყარა თავი, ხოლო ზვიადმა სამით მეტი - 19 ჩააგდო. აქვე არ უნდა დავივიწყოთ **გიორგი მარკოიშვილის** დახმარება პერიმეტრიდან - 4 სამქულიანი გამოიყენა (14 ქულა 9 წუთში).

დიდი შესვენების წინ **ვაკო ბეჟანიშვილმა** სამქულიანით ლოგიკური ანგარიში დააფიქსირა - 53:48.

მეორე ტაიმში სულ სხვა თამაში ვიხილეთ. ჯერ დავით უგრეხელიძემ ფარქვეშიდან ბურთი სამჯერ მოხსნა და სამჯერვე ააცილა, რასაც ორი ჯარიმის გაფუჭება მიაყოლა. შემდეგ ზვიად ბაბიაშვილმა თითქმის იგივე გაიმეორა, რაც უგრემ. ძნელი სათქმელია, ეს მათ დაღლის გამო მოუვიდათ, თუ სხვა მიზეზი იყო, თუმცა ფაქტს ვერსად გავექცევით. ამის შემდეგ ინდივიდუალური თამაში გუნდურმა შეცვალა. პირველი ტაიმის გმირებმა ბაბიაშვილმა, მარკოიშვილმა და უგრეხელიძემ მეორეში საკუთარ აქტივს თითო-ოროლა ქულა შემატეს.

ისევე, როგორც შეტევაში, დაცვაშიც ფუნქციები თანაბრად ნაწილდებოდა და კალათისკენ მიმავალი გზა უფრო და უფრო მიუვალი ხდებოდა. ამიტომ გუნდებმა პერიმეტრიდან ტყორცნებს მოუხშირეს, რაც მეტოქეზე უკეთ "აზოტს" გამოსდიოდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მატჩის ბედი სწორედ ორმა სამქულიანმა გადაწყვიტა.

მესამე პერიოდის დასრულებას 25 წამი უკლდა, როცა სერბი **ბოიან მალეშევიჩი** "ავიატორებმა" პერიმეტრზე უმეთვალყურეოდ დატოვეს - პასებს კი ასრულებს, მაგრამ შორიდან ტყორცნა არ ეხერხებაო. ეს აზრი ბოიანის ზუსტმა სამქულიანმა გააქარწყლა. "აზოტმა" ესეც არ იკმარა და **კოტე ტულუშმა** სირენამდე წამით ადრე მეორე სამქულიანი ჩააგდო. ასე რომ, ბოლო 25 წამში ანაგრიშში სხვაობა 11 ქულამდე გაზარდა.

ბოლო რაუნდში "ავია" მოქანცული ჩანდა. მოედანზე კაპიტანი **ირაკლი ხოშტარიაც** გამოვიდა, მაგრამ ჩვეული დრიბლინგი ერთხელაც არ განუხორციელებია. სამაგიეროდ, აღმაფრენით თამაშობდნენ მასპინძლები და საბოლოოდ მშვიდ გამარჯვებას მიაღწიეს - 85:75.

ახლა ოქმში ჩავიხედოთ და თვალშისაცემი ციფრები ამოვწეროთ. 43:32 - ასეთი სხვაობა დაფიქსირდა მოხსნებში. ცხადია, "აზოტის" სასარგებლოდ (მეტოქის ფარზე 18:5).

მასპინძლებმა 36-დან 13 სამქულიანი გამოიყენეს, ხოლო სტუმრებმა პერიმეტრიდან 14-დან 5 ნატყორცნი ჩააგდეს (ვერც ერთი მეორე ტაიმში). 24 ქულით მატჩის სნაიპერი ზვიად ბაბიაშვილი გახდა. იგი მოხსნებშიც საუკეთესო იყო - 13. აზოტელმა ვაკო ბეჟანიშვილმა შეტევაში ასპროცენტიანი შედეგი უჩვენა - 2-2 ორქულიანი, სამქულიანი და საჯარიმო გამოიყენა (12 ქულა).

შეხვედრის დასრულების შემდეგ ორივე გუნდის მწვრთნელი საუბარს ერთი და იგივე თემით იწყებდა - ახლა მხოლოდ ხვალინდელ მატჩზე ვფიქრობთო.

დავით უსტიაშვილი ("ზაოტის" თავკაცი): "რთული მატჩი იყო. "ავიამშენმა" კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ძლიერი გუნდია. ამიტომ დღევანდელ შეხვედრას ახლავე ვივიწყებთ და ხვალინდელზე ვფიქრობთ".

ლევან მოსეშვილი ("ავიამშენის" მწვრთნელი): "მეორე ტაიმში მეტოქე უკეთესად გაისარჯა და დამსახურებულად მოიგო. გპირდებით, ხვალ სულ სხვა თამაშს იხილავთ".

დღეს რუსთავში 17 საათზე სერიის მეორე შეხვედრაა. დაველოდოთ მშვიდად...

ვაჟა სიმონიშვილი

III ადგილისთვის (2 მოგებამდე)

15 მაისი. თბილისი

თსუ-დინამო 112:90

30:23, 29:23, 26:25, 27:19

თსუ	ქ	მ	პ	ჩ	დ	შ
არწივიძე	3	1	3	0	0	1
ბ. ბერიშვილი	9	6	7	4	0	5
ფანჩულიძე	29	4	1	0	0	2
ლეჟავა	11	1	6	0	1	2
მარხვაშვილი	6	1	1	2	0	2
ვეფხვაძე	2	4	3	0	0	2
შანიძე	6	3	1	1	0	1
მათიაშვილი	4	6	0	0	0	0
ხიცურიანი	7	3	3	1	0	2
ივნაძე	24	6	2	0	0	0
მ. ბერიშვილი	11	4	2	0	0	2

დინამო	ქ	მ	პ	ჩ	დ	შ
გულისაბედაშვილი	6	5	3	2	0	0
ბადრიძე	22	2	5	2	0	2
ლაფანაშვილი	10	2	5	1	0	4
სიბუა	2	5	5	0	0	2
წერეთელი	4	0	0	0	0	0
ბოლქვაძე	4	1	0	0	0	0
გვიმრაძე	17	3	3	3	1	1
ფაიქრიძე	0	3	1	0	0	0
ნ. ნოზაძე	10	1	4	3	0	0
ჟოლუაშვილი	15	6	0	0	0	0

მსაჯები: დ. არეშიძე, მ. ანდღულაძე

სერიას იგებს თსუ - 1:0

უჭევს თსუ

თსუ-მ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ საქართველოს ჩემპიონატში საუკეთესო შემტევი გუნდია. სტუდენტებმა ნახევარფინალებშიც 100 ქულის ფარგლებში იტრიალეს და გუშინ მესამე ადგილისთვის მატჩში "დინამო" 112:90 დაამარცხეს სხვათა შორის, პირველობის რეკორდიც თსუ-ს ეკუთვნის - "მაკაბის" კალათი 137 ქულით გაავსეს.

როგორც წესი, სტუდენტთა რიგებში **ბუბა ბერიშვილი, ბესიკ ლეჟავა, შიო ხეცურიანი** და **რიჩარდ მათიაშვილი** გამოირჩევიან. თუმცა "დინამოსთან" გუნდს სხვა ლიდერები ჰყავდა - **მიხეილ ფანჩულიძე** და **დავით იმნაძე**. პირველმა 29 ქულა ჩააგდო, მეორემ - 24.

შეგახსენებთ, რომ სერია ორ მოგებამდეა და მეორე შეხვედრა დღეს 13 საათზე ვერის პარკის დარბაზში დაიწყება. იმასაც დავძენთ, რომ შარშან ბრინჯაოს მედალს სწორედ თსუ დაეუფლა.

ვაჟა სიმონიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდრაჭვი

ინტერვიუ ხვიჩა სუპატაშვილთან

მაია გუნდშია, იმედიანად ვარ!



ხვიჩა სუპატაშვილი

ხვიჩა სუპატაშვილი, ახალგაზრდული ასაკის (38 წლისაა) მიუხედავად, გამობრძმედილი საჭარაკო მწვრთნელია, თანაც უმაღლესი დონისა. წელი არ გავა, საქართველოს ნაკრები არ ჩაბარონ - ხან ქალების, ხანაც - ვაჟთა. ბოლო დროს ქალთა ნაკრებს ხელმძღვანელობდა და შარშანდელ ტურნირს საჭადრაკო ოლიმპიადაზე მაია ჩიბურდანიძის გარეშე დარჩენილი ნაკრები მეოთხე-მეექვსე ადგილებამდე მიიყვანა. ჩიბურდანიძე დღესაც უდიდესი ძალაა ჩვენი ნაკრებისთვის, ამიტომ ტურინული შედეგი სუპატაშვილს წარმატებად ჩაუთვალეს. მიუხედავად ამისა, წლეულს ქალთან ნაკრებს სხვა მწვრთნელი ჰყავს - დიდოსტატი ზურაბ სტურუა, სუპატაშვილი კი ვაჟთა ნაკრებში დანიშნეს. სიმართლე ითქვას, ასეთი გადაადგილება "გაუმცროსმეცნიერთანამშრომლებად" უფრო მოჩანს, ვიდრე "ჩამოლაბორანტებად". - რაც არ უნდა ვამტკიცოთ ჩვენს ქალბატონთა საჭადრაკო ძლიერება, მამაკაცები ამ ბრძნულ თამაშს მაინც უკეთ თამაშობენ! თუმცაღა, გადაადგილების მიზეზებზე მაინც დავეკითხეთ ბატონ ხვიჩას და სხვა საჭადრაკო საკითხებსაც შევეხეთ.

- სამუშაო ადგილი რამდენჯერმე შემეცვალა - ხან ვაჟთა ნაკრებს ვწვრთნიდი და ხანაც - ქალთას, ამიტომ უცნობ ვითარებაში ნამდვილად არ გახლავართ. კაცთა ნაკრებში ჩემი მოსწავლეები არიან და ეს კარგია - ასეთ დროს მწვრთნელს შედარებით უადვილდება მუშაობა. ცხადია, ქალთა შორისაც არიან ჩემი მოწაფეები, მაგრამ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ახალმა ხელმძღვანელობამ ამჯერად ასე ინება და კაცებს ვუთავკაცებ. სხვათა შორის, აღვნიშნავ, რომ ქალბატონებს მშვენიერი მწვრთნელი და კაპიტანი ჰყავთ - დიდოსტატი ზურაბ სტურუა, ქალბატონი ნინო გურიელი კი შესანიშნავი კაპიტანია - კარგად ერკვევა სატურნირო სტრატეგიაში და გუნდის დაკომპლექტების დროსაც არ უშვებს შეცდომებს. ასე რომ, მათი ნდობა შეიძლება.

სხვათა შორის, ქალთა გუნდს მაინც ვეხმარები, რაც მაია ჩიბურდანიძესთან მუშაობითა და კონსულტაციებით გამოიხატება. ჩიბურდანიძე, უკვე ათი წელიწადია, მხოლოდ ჩემთან თანამშრომლობს და ამჯერადაც რამდენიმე დღის განმავლობაში გავუწიე დახმარება. ვფიქრობ, ჩემი თანადგომა მაიას თვითდაჯერებას შემატებს და ეკატერინბურგში სათანადოდ ითამაშებს.

- რახან ეკატერინბურგი ახსენეთ, მკითხველს შევახსენებ, რომ 19 მაისს ამ ქალაქში სტარტს აიღებს მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი, რომელიც პირველად იმართება. თქმა არ უნდა, ღირსეული გამოსვლა გვსურს ყველას და ქართულ ტრადიციასაც სწორედ რომ ასე ეკადრება, მაგრამ წლეულს ჩვენი გუნდი მნიშვნელოვნად გადახალისებული შემადგენლობით ითამაშებს. თქვენ როგორ ფიქრობთ, წარმატების შანსი არის?

- რახან მაია ჩიბურდანიძე გუნდშია, მე შედარებით მშვიდად ვარ და პროგნოზშიც უფრო თამამი ვიქნები, თუმცა კონკრეტულს მაინც ვერ მოგახსენებთ, - სამეულისთვის კი უნდა ვიბრძოლოთ.

- სამეულისთვის ბრძოლა გასაგებია, მაგრამ სამეულში სამი ადგილია და უფრო რომელს გულისხმობთ?

- ვერ დავაკონკრეტებ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს და ამიტომ რომელიმე ერთზე ვერ შევჩერდები.

- მაინტერესებს, ჩემპიონობას გამორიცხავთ? - კი ბრძანეთ, ყველაფერი შეიძლება მოხდესო, მაგრამ ვგონებ, ჩვენების პირველობის არ გჯერათ, წინააღმდეგ შემთხვევაში სამეულისთვის კი არა, ჩემპიონობისთვის იბრძოლებენო, იტყოდით.

- ჩემპიონობა რომ ურთულესი მოსაპოვებელი იქნება, ეს ყველასთვის ცხადია - ძალიან ძლიერი გუნდები თამაშობენ მსოფლიო ჩემპიონატზე. წინასწარ არავისი ჩემპიონობის არ მჯერა, ამიტომ არასდროს ვაკეთებ მსგავს პროგნოზს.

- დამეთანხმებით, იმის საშიშროებაც არის, რომ სამეულსაც ვერ შევწვდეთ და კარგადაც ჩამოვრჩეთ...

- ამისგან ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ ცხადია, სპორტში არავინ არაფრისგან არის დაზღვეული. მე მაინც წარმატების მჯერა.

- გუნდში ორი დებიუტანტია და ასეთი რანგის ტურნირებზე გამოუცდელობა შესაძლოა, სუსტ ადგილად გვექცეს...

- მართალია სოფიო გვეტაძეც და სოფიკო ხუხაშვილიც პირველად თამაშობენ ნაკრებში, მაგრამ მათი კვალიფიკაცია ნდობას იმსახურებს - გვეტაძემ ბოლო წლებში საგრძნობი პროგრესი განიცადა და თანაც საკლუბო დონეზე, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის მსგავსი სისტემით იმართება, დიდი გამოცდილება აქვს. როგორც წესი შედეგიანადაც თამაშობს.

სოფიკო ხუხაშვილს 2001-02 წლებში ვამეცადინებდი და მისი შესაძლებლობები ძალიან კარგად ვიცი - მისი ნიჭიერებისა მწამს და დიდი იმედი მაქვს. მან დაამტკიცა, რომ შეუძლია უმაღლეს დონეზე თამაში - ჯერ იყო და საქართველოს ჩემპიონატში ვერცხლს დაეუფლა, ხოლო შემდეგ ევროპის ჩემპიონატზეც შესანიშნავად იასპარეზა და მსოფლიო ჩემპიონატის საგზურიც მოიპოვა.

- თქვენ, ალბათ, მსოფლიოში კარო-კანის სისტემის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე ხართ - ყოველ შემთხვევაში, ქართველ მოჭადრაკეთა აბსოლუტური უმრავლესობა ამ სისტემას იყენებს და წარმატებითაც. თუ შეგიძლიათ გვითხრათ, რატომ აირჩიეთ ეს დებიუტი? რა პლუსები აქვს მას სხვებთან შედარებით?

- უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი შეფასება გადაჭარბებული ნამდვილად არ არის - გარკვეული წლების განმავლობაში ამ დებიუტის მსოფლიო მოდის მკარნახველები ჩვენ ვიყავით. ამას კი, პირველ რიგში, მაია ჩიბურდანიძეს უნდა ვუმადლობდეთ - ის კარო-კანის საუკეთესო მცოდნეა. კარო-კანის სისტემა საიმედოობით გამოირჩევა. ამ ვარიანტში შავები თეთრებს მაქსიმალურად ზღუდავენ - ანუ საწყისი უპირატესობის განვითარებაში უშლიან ხელს. მერე, ცხადია, ისეთ გზებსაც მიმართავენ, სადაც კონტრშეტევაც შეიძლება, თუმცა მთავარი დანიშნულება თეთრების ინიციატივის უვნებელყოფაა. ქართველთა დიდი ნაწილიც იმიტომ თამაშობს კარო-კანს, რომ თითქმის ყველა მათგანთან მაქვს ნამუშევარი.

- ცხადია, კარგია, როცა ასე ღრმად გაქვთ შესწავლილი ესა თუ ის დებიუტი, მაგრამ აქ მეორე მხარეც არის - მეტოქეთათვის იოლი გასაშიფრი ხდება მოჭადრაკე და მოსამზადებლად დიდი თავის მტვრევა არ უწევს... ცალმხრივი განვითარების საშიშროებაც იქმნება...

- რა თქმა უნდა, შესაძლებლობების ფარგლებში ვცდილობ ყველა დებიუტს მივხედო, - მართალი ბრძანდებით - ერთი მიმართულებით სიარული უვარგისია. მე ძალ-ღონეს არ ვიშურებ და სხვათა შორის, ამ ძიებაში მონაფეებიც მნიშვნელოვან დახმარებას მიწევენ.

- საქართველოში უმაღლესი კატეგორიის მწვრთნელთა დეფიციტია, რამაც არ შეიძლება ცუდად არ იმოქმედოს შედეგებზე. ქართველთა ბოლოდროინდელი ჩავარდნა ამის ბრალი ხომ არ არის?

- ერთი და ორი კაცი რომ მთელ სამუშაოს ვერ განვდება, ცხადია. საქართველოში მწვრთნელთა დეფიციტი მართლაც არსებობს, თუმცა პრობლემა აქაც რამდენიმენაირია: მე და ლაშა ჯანჯღავა დებიუტებზე ვმუშაობთ და ასე ვთქვათ, სადებიუტო მწვრთნელებად ვითვლებით, მაგრამ ჭადრაკში არანაკლებ მნიშვნელოვანია სტრატეგია, ტაქტიკა, პოზიციის "წაკითხვისა" და შეფასების უნარი, ამიტომ ამ კუთხით ძლიერ სპეციალისტებთან მუშაობაც აუცილებელია. სამწუხაროდ, ჩვენში ესეც დეფიციტია.

- ახლა ვაჟთა ნაკრებზე გკითხავთ. მართალია, ჯერ საბოლოოდ არ არის ჩამოყალიბებული შემადგენლობა, მაგრამ ალბათ, რაღაც გეგმა მაინც გაქვთ შემუშავებული...

- ჯერ მხოლოდ ორი წევრია ცნობილი - საქართველოს ჩემპიონატში პირველ და მეორე ადგილზე გასულები - ბაადურ ჯობავა და დავით არუთინიანი. დანარჩენი სამი რეიტინგით უნდა შეირჩეს, თუმცა ჯერ ამის გაკეთება ნაადრევია, დაველოდებით 1 ივლისს, როცა ახალი რეიტინგები გამოქვეყნდება და ვისაც ექნება საუკეთესო მაჩვენებელი, ნაკრებშიც ის მოხვდება.

მზადებაც ამ მიზეზით არ დაგვიწყია - წლის მთავარ შეჯიბრებამდე, ევროპის გუნდურ ჩემპიონატამდე დიდი დროა - ის ოქტომბრის ბოლოს გაიმართება საბერძნეთში.

- კი, მაგრამ ოქტომბრამდე ხომ ივლისის რეიტინგები კიდევ ერთხელ შეიცვლება - 1 ოქტომბერს.

- ასეა, მაგრამ მოსამზადებლად დრო აღარ დაგვრჩება და ამიტომ ზაფხულის მონაცემებით უნდა ვიხელმძღვანელოთ. ფედერაცია ალბათ, შეგვიქმნის მზადებისთვის საჭირო პირობებს და ევროპის ჩემპიონატზე მაღალი შედეგისთვის ბრძოლას შევძლებთ.

ზვიად შათირიშვილი

სამგზო

ოლეგ იაძე და ბადრი ჯანიაშვილი — ალერქსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ველით მედლებს!

18-20 მაისს ლიტვურ ლიეპაიაში იმართება ჭაბუკ და ახალგაზრდა სამბისტთა ევროპის ჩამპიონატი, რომელშიც ჩვენი გუნდები თითქმის სრული შემადგენლობებით გამოვლენ. ერთადერთი დანაკლისი ახალგაზრდულ ნაკრებშია, სადაც 52 კილოგრამ წონით კატეგორიაში მონაწილე არ გვეყოლება, სხვა წონებში კი იჭიდავებენ: **გიორგი გეჯაძე** (48), **ლევან ჩუბინიძე** (57), **ზურაბ შერვაშიძე** (62), **გოდერძი ქინქლაძე** (68), **გიორგი იაძე** (74), **დავით კარბელაშვილი** (82), **ვალერი ცოციაშვილი** (90), **ნუგზარ ბადაშვილი** (100) და **ვახტანგ ზოიძე** (მძიმე).

ჭაბუკთა ნაკრების შემადგენლობა ასეთია: **მიხეილ მხეიძე** (48), **ილია ტყეშელაშვილი** (52), **რობერტ მშვიდობაძე** (56), **გიორგი ჩიტაშვილი** (60), **ლევან ნახუცრიშვილი** (65), **მერაბ სარაული** (70), **ზურაბ დიდებაშვილი** (75), **ირაკლი მერკვილაძე** (81), **გოდერძი ჯავახაძე** (87), **გიორგი გონჯილაშვილი** (+87).

ამ ტურნირთან დაკავშირებით სამბისტებმა გუშინ გამართეს პრესკონფერენცია, რომელმაც დიდად ვერც მედია დააინტერესა და ხანმოკლეც გამოდგა.

საევროპო ნაკრებთა თავკაცმა **ბადრი ჯანიაშვილმა** გუნდების შემადგენლობების გაცნობამდე მძიმე მოსამზადებელ პირობებზე ისაუბრა - ბიჭები ლიტვაში შეკრების გარეშე გაემგზავრნენ. ეროვნულის თავკაცმა **ოლეგ იაძემ** აღნიშნა, რომ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ფედერაციის ახალი პრეზიდენტი - **გიორგი გოგუაძე** არ ეხმარება, იაძის თქმით, ახალი პრეზიდენტი მათ ყველანაირად მხარში უდგას. არასათანადო მოსამზადებელი პერიოდის მიუხედავად, ჯანიაშვილი ლიტვაში მაინც ოპტიმისტურად და დიდი მიზნებით მიდის. მისი თქმით, ორივე გუნდიდან 4-5 ოქროს ელოდება, მთლიანობაში კი 10-13 მედლის მოპოვებას გეგმავს.

პრესკონფერენციაზე ისიც სიამოვნებით აღნიშნეს, რომ ლამის ათწლიანი შესვენების შემდეგ ნაკრებში ისევ გამოჩნდა აჭარის წარმომადგენელი - ზოიძე. მასპინძლებმა ეს ბათუმში მოსაქმე ძიუდოს მწვრთნელ **სოლომონ ფეიქრიშვილის** დამსახურებად მიიჩნიეს. ეს კაცი ძიუდოსთან ერთად იქაურებს სამბოშიც ავარჯიშებს.

ირაკლი თავაძე

ჭიდაობა

წარმატება თურქეთში

ამ დღეებში ანთალიამ ჭაბუკთა დიდ საერთაშორისო ტრადიციულ ტურნირს უმასპინძლა ჭიდაობის ორივე სახეობაში. ტურნირში 14 ნაკრები გამოდიოდა და მისასალმებელია ჩვენებურთა წარმატებული ჭიდაობა. განსაკუთრებით „თავისუფლებისა", რომლებმაც 4 ოქროს, 2 ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. „ანტიკოსებმა" 1 ოქრო და 2 ბრინჯაო ირგუნეს. საერთო ჯამში, ჩვენი გუნდების ანგარიშზე 11 მედალია.

„თავისუფალში" ჩემპიონები **ლაშა მელქაძე** (42), **ავთანდილ ჯიოევი** (46), **ოთარ უროტაძე** (76) და **თორნიკე ხიდეშელი** (100) გახდნენ, **ვლადიმერ ხინჩაგაშვილმა** (50) და **ვასილ მამულაშვილმა** (54) მხოლოდ ფინალური შეხვედრები წააგეს, **დავით ხუციშვილი** (58) და **გიორგი მარსაგიშვილი** (76) კი მესამეზე გავიდნენ.

„ანტიკოსთაგან" ჩემპიონი **საჩინო დავითაია** (54) გახდა, ბრინჯაოები კი **შალვა თოდრაძემ** (85) და **ვასილ იმერლიშვილმა** (100) მოიპოვეს.

თავისუფალი ჭიდაობა

ხსოვნის ტურნირი

აფხაზეთის მოვლენების დროს ბევრი ვერ დაბრუნდა ბრძოლის ველიდან. ერთი მათგანი იყო სპორტსაზოგადოება "შევარდენის" აღზრდილი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის ოსტატი გოჩა **ჩირაღიშვილი**. მის ხსოვნას მიეძღვნა ჭაბუკთა ტრადიციული ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც "შევარდენის" ჭიდაობის ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლის (დირექტორი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი **როინ დობორჯგინიძე**) დარბაზში გაიმართა. ასპარეზობაში 200-მდე ჭაბუკი ფალავანი მონაწილეობდა.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს: 23 კგ - **ხვიჩა დეკანაძე** (ხულო), 26 კგ - **ნიკა თუშიშვილი** (საგარეჯო), 29 კგ - **რამაზ ზოიძე** (ხელვაჩაური); 32 კგ - ("მართვე"), 35 კგ - **თორნიკე ასრათაშვილი** (საგარეჯო), 38 კგ - **ლაშა მიხელიძე** ("მართვე"), 42 კგ - **ლაშა ბიტარიშვილი** (გლდანის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელი), 46 კგ - **დათო გოგრიჭიანი** ("მართვე"), 50 კგ - **ლაშა გიგაშვილი** (გ. კარტოზიას სახელობის სპორტული სკოლა), 54 კგ - **არჩილ აბულაძე** (ხულო), 58 კგ - **ნუკრი მუთიძე** (ხელვაჩაური), 63 კგ - **გიორგი ქვლივიძე**, 69 კგ - **ბექა რაჭიკაშვილი** (ორივე - საგარეჯო), +69 კგ - ხვიჩა **ჭინჭარაული** (სოფ. გამარჯვება).

შალვა ძირია

მილოცვა

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია დაბადებიდან საიუბილეო 75 წლისთავს ულოცავს ამავე აკადემიის ფიზიკური აღზრდისა და მეთოდიკის კათედრის ასოცირებულ პროფესორს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს სპორტულ ტანვარჯიშში, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს ავთანდილ ცომაიას.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ჩოგბურთი

დევიძე ყოფილი ელიტელის წინააღმდეგ

ფლორიდაში, პალმ ბიჩ გარდენის საერთაშორისო ტურნირი (25 ათასი დოლარი) მიმდინარეობს. ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში **სალომე დევიძე** მე-4 ნომრად განთესეს, მეორე წრე სალომემ უბრძოლველად გაიარა, მას ამერიკელი **კელი კამბურელისი** არ გამოუცხადდა (ტრავმა). მეხუთე ნომრად განთესილმა **სოფიო მელიქიშვილმა** ამერიკელ **ლორენ ჰენრის** აჯობა - 6:2, 6:0. სალომემ მე-13 ნომრად განთესილ ამერიკელ **ალექსანდრა მიულერს** (726) მოუგო და ძირითად ბადეში გავიდა - 7:5, 4:6, 6:2. მელიქიშვილს კი პრობლემა არ ჰქონია ამერიკელ **მარინა ნიზრისთან** მატჩში - 6:1, 6:0.



სალომე დევიძე

ძირითადი ბადის პირველ წრეში სალომე დევიძე შეხვდება, ჰოლანდიელ ბრენდა **შულც-მაკარტნის** (222), რომელიც ტურნირზე მეექვსე ნომრადაა განთესილი. 36 წლის შულც-მაკარტნი ერთ დროს მოწინავე ათეულის ჩოგბურთელი იყო, ახლა კი მხოლოდ 222-ე ჩოგანია. სოფიო მელიქიშვილი ურუგვაელ **ესტეფანია კრაციუნს** (265) შეხვდება.

ანთალიაში (25 ათასი დოლარი) ხუთი ქართველიდან ორი გავიდა ძირითად ბადეში, თუმცა იქ ორივე პირველ წრეში დამარცხდა. **სოფიო ქვაცაბაია** ტურნირის პირველ ნომერ კატრინ ფიორლეს (გერმანია, 220) ხვდებოდა და სამ სეტში წააგო - 6:4, 2:6, 3:6. **სოფიო შაფათავა** ბრაზილიელ **როქსანა ვაისემბერგთან** (414) დამარცხდა - 2:6, 3:6.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჩოგბური

ლევან დათუნაშვილის (მარჯვნივ) მონლუსონი დაქვეითდა

ლეგიონერები

ექსი და პერიგო

საფრანგეთის ჩემპიონატის ფედერალ1 დივიზიონში მეოთხედფინალის მოთამაშე გუნდების ვინაობა გაირკვა. მეორე, პროფესიონალურ დივიზიონში გადასვლისთვის მებრძოლთა შორის ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი დარჩა:"ექსი" და "პერიგო".

თედო ზიბზიბაძისა და **ვანო ნადირაძის** "პერიგოსგან" განსხვავებით, რომელიც მეოთხედფინალში პირდაპირ იყო გასული **დავით გასვიანის** "ექსს" დიდი ბრძოლა გადახდა **ელიზბარ ყუფარაძის** "ობენასთან", თუმცა პროვანსელებმა შეხვედრა მაინც მოიგეს 26:20 და ახლა მათი მეტოქე "ნიმი" იქნება.

გათამაშებას გამოეთიშა **დავით დადუნაშვილის, ვიქტორ დიდებულიძისა** და **გიორგი ჩხაიძის** "მასი". პარიზელების შეხვედრის ძირითადი დრო "ლანამეზანთან" ფრედ, 23:23 დასრულდა. დამატებით დროში კი ლანამეზანელებმა ერთი საჯარიმოს გატანა მოახერხეს და 26:23 მოიგეს. "პერიგოს" მეოთხედფინალში სწორედ "ლანამეზანი" დაუპირისპირდება. ნახევარფინალისტი ორი მატჩის ჯამში გამოვლინდება. "ექსი" პირველ შეხვედრას შინ გამართავს, "პერიგო" კი სტუმრად.

დასრულდა ამავე დივიზიონის ფლეი დაუნიც. ფედერალ 2-ში ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი დაქვეითდა. **ლევან დათუნაშვილისა** და **რევაზ გიგიურის** "მონლუსონი" და **ირაკლი ნინიძის** " მარსელი.

ფედერალ 1-ში ადგილები შეინარჩუნეს **გიორგი კაჭარავას** "ვანმა", **სანდრო ესაკიას** "სენ ნაზერმა", **სოსო ნიკოლაენკოს, გიორგი წიკლაურისა** და **ირაკლი გუნდიშვილის** "მიომ".

ფედერალ 2-ის ფლეი ოფში ერთი ნაბიჯის გადადგმა სჭირდება **თემურ სოხაძის** "ბასტიას". კორსიკელებმა მერვედფინალში "ვილერბანი" დაამარცხეს 16:11. ნახევარფინალში კი მათი მეტოქე "ვანდრე" იქნება. გამარჯვების შემთხვევაში "ბასტია" ნახევარფინალში გავა და ფედერალ 1-ის საგზურს მოიპოვებს.

უკვე ფედერალ 1-ის ბინადარია **დიმიტრი ხოჭოლავას** "სერჟი პონტუაზი". რადგან ამ გუნდმა რეგულარულ გათამაშებაში, ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და მიზანს მიაღწია. მიუხედავად ამისა, პონტუაზელები ფლეი ოფშიც წინ მიიწევენ. ხოჭოლავას გუნდს ამჯერად **დავით ბოლღაშვილის** "ლილი" ემსხვერპლა 22:8. "სერჟი პონტუაზის" მეტოქე მეოთხედფინალში "ტური" იქნება.

ბესიკ ჯანგავაძე

შვიდკაცა. ევროპის სერია

სოპოტი-თვიქნემი

საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრები, მწვრთნელების **მამუკა ტყეშელაშვილისა** და **კახა ალანიას** ხელმძღვანელობით, ხვალ პოლონეთის ქალაქ სოპოტში მიემგზავრება, სადაც 19-20 მაისს ევროპული სერიის პირველ ეტაპზე იასპარეზებს.

პოლონეთის ტურნირზე, B ჯგუფში, ჩვენი გუნდის მეტოქეები იქნებიან საფრანგეთი, ლატვია, ისრაელი და შვედეთი. A ჯგუფში კი რუსეთი, პოლონეთი, შვეიცარია, მონაკო და აზერბაიჯანი ითამაშებენ. სოპოტიდან ქართველი მეშვიდკაცეები გეზს ინგლისისკენ აიღებენ. სადაც "თვიქნემზე" მსოფლიოს სერიის ლონდონურ ეტაპზე მიიღებენ მონაწილეობას.

საქართველოს ნაკრებს შემადგენლობაში დანაკლისი აქვს. **თედო ზიბზიბაძე** ამ ტურნირებზე მონაწილეობას ვერ მიიღებს, რადგან მისი გუნდი, "პერიგო", საფრანგეთის ჩემპიონატის მეორე დივიზიონში გადასვლისთვის ბრძოლას განაგრძობს. შვიდკაცა გუნდშია ყოფილი ბორჯღალოსანი **ვასილ კაცაძე**, რომელიც ამჟამად საფრანგეთში, ცამეტკაცა რაგბის თამაშობს.

საქართველოს შვიდკაცა

ვასილ კაცაძე (ვილფრანში, XIII), ბესიკ ხამაშურიძე, ირაკლი ჩხიკვაძე (ორივე აია), ბექა სარდანაშვილი, ლაშა ფირფილაშვილი, ალექსანდრე თოდუა (ყველა ლელო), სანდრო ნიჟარაძე, ირაკლი გეგენავა, ვახტანგ ახვლედიანი, დავით ჟამუტაშვილი (ყველა ყოჩები), გიორგი კაჭარავა (ვანი).

ბესიკ ჯანგავაძე

ვასილ კაცაძე ნაკრებს დაუბრუნდა

სუმო



ტოჩინოშინი ტაკუნიშიკის ამარცხებს

ცუდი და კარგი სტარტი

აღმოსავლეთის მეორე მაეგაშირა კოკაის (დოჰიოს მიღმა - **ლევან ცაგურია**) მაისის ბაშოზე ცუდი სტარტი გამოუვიდა - მან სამი საწყისი ორთაბრძოლა დათმო და ახლა 0-3 ბალანსის გამოსწორება მოუწევს. გუშინ კოკაის მეტოქე იყო პირველი მაეგაშირა **ჰომაშო**, რომელმაც ქართველს ოშიდაშით აჯობა. დღეს კოკაი ამ ბაშოზე მესამედ შეხვდება ოძეკის ტიტულის მქონე ფალავანს, ამჯერად იმპერატორის თასის ხუთგზის მფლობელ **კაიოს**, რომელსაც 11 შეხვედრიდან აქამდე 7 მოუგო.

ამ საუკუნეში პირველად მოხდა, რომ სამი უმაღლესი ტიტულის მქონე ფალავნებმა (**იოკოძუნამ**, ოთხმა ოძეკიმ და ორმა სეკივაკემ) ბაშო 3-0 ბალანსით დაიწყეს. დღეს ბაშოზე ყველაზე საინტერესო მონღოლი სეკივაკე **ამასა** და ოძეკი **ჩიოტაიკაის** ბრძოლაა, ასე რომ, ერთი ტიტულოვანი შესანიშნავი შვიდეულიდან ყველა ვარიანტში დამარცხდება.

საოცრად კარგი სტარტი გამოუვიდა 19 წლის **ლევან გორგაძეს** (ტოჩინოშინი), რომელიც რანგით მესამე მაკუშიტას დივიზიონში გამოდის. ტოჩინოშინი აღმოსავლეთის 28-ე მაკუშიტაა. გუშინ მან თავისი მეორე ბრძოლაც მოიგო, 27-ე ნომერი ტაკუნიშიკი იორიკირის ილეთით დაამარცხა. ტოჩინოშინს 2-0 ბალანსი აქვს, ამავე დივიზიონში **თეიმურაზ ჯუღელი** (გაგამარუ) ჭიდაობს, რომელსაც 0-1 ბალანსი აქვს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ნაცუ ბაშო (მაისის სუპერგზურნირი)

13-27 მაისი, ტოკიო (იაპონია)

III დღე: კოკაი-ჰომაშო 0:1 (ოშიდაში), ასაშორიუ-კისენოსატო 1:0, კაიო-კაკიძოე 1:0, ჩიოტაიკაი-კოტოშოგიკუ 1:0, ჰაკუჰო-ტამანოშიმა 1:0, კოტოოშუ-ტოჩიოძანი 1:0, კოტომიცუკი-ამინიშიკი 1:0, ამა-ტოიონოშიმა 1:0, ტოკიტენკუ-ტაკეკაძე 1:0, კაკურიუ-ვაკანოსატო 1:0, ასასეკირიუ-ტოკიცუუმი 1:0, კასუგაო-მიაბიამა 1:0, როპო-ტაკამისაკარი 1:0.

სატურნირო მდგომარეობა. 3-0: ასაშორიუ (იოკოძუნა), კაიო (ოძეკი), ჩიოტაიკაი (ოძეკი), ჰაკუჰო (ოძეკი), კოტოოშუ (ოძეკი), კოტომიცუკი (სეკივაკე), ამა (სეკივაკე), ასასეკირიუ (მაეგაშირა 8), დეჯიმა (მ 10), ფუტენო (მ 13), რიუო (მ 14), ჰოკუტორიკი (მ 16).. 0-3: კოკაი (მ 2).

IV დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი-კაიო, ასაშორიუ-ტოკიტენკუ, ჩიოტაიკაი-ამა, ჰაკუჰო-კაკიძოე, კოტოოშუ-ტამანოშიმა, კოტომიცუკი-ტოიონოშიმა, ჰომაშო-კოტოშოგიკუ, კისენოსატო-კაკურიუ, ტოჩიოძანი-ტოკიცუუმი, ამინიშიკი-კასუგაო, ვაკანოსატო-ტაკეკაძე, მიაბიამა-ტაკამისაკარი, როპო-სატოიამა.

მთამსვლელობა

თორთლაძემ ანაპურნა ვერ დალაშქრა

ქართველი მთამსვლელი **გია თორთლაძე** ჰიმალაის მთებში მწვერვალ ანაპურნას (8091 მ.) დაპყრობას ჩრდილოეთის მხრიდან ცდილობდა. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ქართველის ძველი მეგობარი, სარატოველი **სერგეი ბოგომოლოვი**, რომელსაც 14-ივე რვაათასიანი მწვერვალის დალაშქვრა სურს. ბოგომოლოვი 14-დან 12 რვაათასიანზეა ასული, დარჩა მხოლოდ ანაპურნა და კ-2. შეგახსენებთ, რომ შარშან ბოგომოლოვმა და თორთლაძემ კ-2-ის დაპყრობა უშედეგოდ სცადეს, სწორედ მაშინ დაიღუპა მწვერვალიდან 600 მეტრში ოთხი ალპინისტი. წლეულს ბოგომოლოვთან და თორთლაძესთან ერთად ექსპედიციაში იყვნენ მოსკოველი **ემილ მამედოვი**, კოლუმბიელი, ესპანელი (**ედურნე პასაბარნი**), ეკვადორელი (**ივან ვალიეხო**) და რუმინელი მთამსვლელები.

გია თორთლაძე კატმანდუში პირველ აპრილს ჩავიდა და სერგეი ბოგომოლოვს შეუერთდა. 19 აპრილს ექსპედიციამ საბაზო კარავი დასცა. მთამსვლელებმა მყინვარს გვერდი უქციეს და 5 100 მეტრზე პირველი კარავი დაამაგრეს. 25 აპრილს მეორე ბანაკი 5 500 მეტრზე გაამაგრეს და ბარგიც აიტანეს, ალპინისტებს დიდთოვლობა უშლიდათ ხელს. ექსპედიცია აგრძელებდა მუშაობას, როცა გუნდი მოულოდნელად გია თორთლაძემ დატოვა. აი, რას წერს მისი მეგობარი ბოგომოლოვი 3 მაისის დღიურში - *"გია თორთლაძე უკვე გაფრინდა, პირადი მიზეზების გამო, რას ვიზამთ - ის ცოტა რთული ადამიანია"*. ბოგომოლოვის ექსპედიცია მწვერვალს კვლავ უტევს, თუმცა ალპინისტებს დიდთოვლობა წინსვლის საშუალებას არ აძლევს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

NBA. ᲤᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ. II ᲬᲠᲔ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ, 1992 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲔ

ᲮᲕᲐᲚ, რეგულარულის უძვირფასესი მოთამაშის პრიზს "დალას მავერიქსის" ფორვარდს, **დირკ ნოვიცკის** გადასცემენ. სეზონის 67 მოგებით დასრულებამ, დირკის გაპირველკაცებაში უდიდესი როლი ითამაშა, თუმცა, ჩვენი აზრით, ამ პრიზის მოპოვების ყველაზე დამსახურებული კანდიდატები გუშინ, სან ანტონიოში შეხვდნენ ერთმანეთს და მოიგო იმან, ვინც დღესდღეობით (ნოვიცკისთვის ჯილდოს ოფიციალურად გადაცემამდე) მოქმედი MVP გახლავთ.

სტივ ნეშმა "სპურსთან" მეოთხე მატჩში ბევრი (სულ - 8) შეცდომა კი დაუშვა, მაგრამ კანადელმა ფლეიმეიქერმა სწორედ მაშინ ითამაშა უშეცდომოდ, როდესაც მის გუნდს ყველაზე მაგრად გაუჭირდა.

ისე, თუ დაპკვირდებით, ნოვიცკიცა და ნეშიც, ამ უმაღლესი ინდივიდუალური პრიზის ფავორიტებში მხოლოდ მას შემდეგ აღმოჩნდნენ, რაც "მავერიქსის" ბოსმა - **მარკ კიუბანმა** ნეშს ხელშეკრულება არ გაუხანგრძლივა და სუპერტანდემიც დაიშალა. ცალ-ცალკე დარჩენილებმა, ნეშმაც უდიდესი პროგრესი განიცადა და ნოვიცკისაც მეტი როლის საშუალება მიეცა.

სამი მეოთხედის მერე მასპინძლები კომფორტულ უპირატესობას ფლობდნენ, თუმცა ნეშმა, **ამარე სტაუდმაიერმა** და **შონ მერიონმა ტიმ დანკანს** სივრცე გადაუკეტეს (21 ქულით, "სპურსის" კაპიტანმა ამ სერიის პირადი ანტირეკორდი დაამყარა) და ტიმმაც ბოლო 6 წუთში მეოთხე და მეხუთე ფოლები რომ მიიღო, ბოლო 4 წუთში თამაშიდან ერთადერთი სროლა გამოიყენა.



სტივ ნეში

სერიაში უკვე ოთხი მატჩი შედგა, **მანუ ჯინობილის** კი მაღალ დონეზე მხოლოდ 1 მეოთხედი აქვს ჩატარებული. არგენტინელმა ვარსკვლავმა **რაჯა ბელის** ხაფანგებსა და მის წინააღმდეგ თითქმის იდეალურად დაყენებულ დაცვას, ვერც ამჯერად მოუხერხა რამე და შეხვედრა 11 არაზუსტი სროლით დაასრულა, ხოლო ბოლო ორ წუთში კი მანუმ ორი საბედისწერო შეცდომა დაუშვა - ჯერ შესვლისას, ელემენტარულ სიტუაციაში ვერ დაასრულა შეტევა ზუსტი სროლით, მერე კი სტივ ნეში ისე გაატარა, თითქოს ეს არა საფლეიოფო მატჩი, არამედ რეგულარულის არაფრისმომცემი მატჩი ყოფილიყოს.

"ფინიქსი" ბოლო 3 წუთში შეცდომას არ უშვებდა, მასპინძლებმა კი ფორსირებული სროლებით თავადვე შეიქმნეს პრობლემები.

არიზონელებმა საკუთარი მოედნის უპირატესობა დაიბრუნეს და ამ ეპიკურ სერიაში ყველაფერი ახლიდან იწყება. გუნდებმა თითო გასვლითი მოგება გაცვალეს, ხოლო მომდევნო წრეში კი გავა ის, ვინც ნაკლებ შეცდომას დაუშვებს. აღნიშნულ შეხვედრაში გუნდებს 16-16 შეცდომა ჰქონდათ, ნეშმა კი თამაშიდან არაჩვეულებრივად ისროლა და საბოლოოდ, 12-დან რვაჯერ ივარგა. მოკლედ, მეხუთე დაპირისპირებას ველით.

■ ■ ■

ისტ რუზერფორდში კი **ლებრონ ჯეიმსის** "კავალიერსმა" აღმოსავლეთის ფინალისკენ კიდევ ერთი, ალბათ, ბოლოსწინა ნაბიჯი გადადგა და გამოფიტული "ნეტსის" მეოთხედ დამარცხებას უკვე საშინაო არენაზე ეცდება, სადაც სერიის პირველი ორი თამაში აქვს მოგებული.

ლებრონი დაფრინავდა. თუ გახსოვთ, **ჯეისონ კიდმა** და მისმა თანაგუნდელებმა ფენომენი წინა ჯახში მისთვის საფლეიოფო მინიმუმს - 18 ქულას დააჯერეს, ამჯერად კი ახალგაზრდა უნივერსალის შეჩერება ვერც კიდმა მოახერხა და ვერც **ვინს კარტერმა**, რომელიც ამ წაგების ერთ-ერთი მთავარი "შემოქმედი" გახდა.

"კავალიერსი" კონფერენციის ფინალში ბოლოს 1992 წელს გასულა. მაშინდელი გუნდის ღირსებას **ბრედ დოჰერტი** და **მარკ პრაისი** იცავდნენ, "კავალიერსი" კი, წინასაფინალო სტადიაზე **მაიკლ ჯორდანისა** და **სკოტი პიპენის** "ჩიკაგოსთან" დამარცხდა.

შარშან, "კლივლენდი" კონფერენციის ნახევარფინალში ფავორიტ "პისტონზს" სერიას 3:2 უგებდა და მეექვსე მატჩის მასპინძელიც კი იყო, მაგრამ იმ შეხვედრის ბოლოს უამრავმა არაზუსტმა საჯარიმომ და **ჩონსი ბილაპსის** გენიალურმა თამაშმა, შემდეგ წრეში "დეტროიტი" გაიყვანა.

"საკუთარ შეცდომებზე ვსწავლობთ და არა მგონია, ვინმეს ჰქონდეს იმის ილუზია, რომ მეტოქეს ქედმაღლურად ვუყურებთ. ჯერ არაფერია დასრულებული და იმედი მაქვს, სერიის მეექვსე მატჩის ჩატარება აღარ მოგვიწევს. "ნეტსს" ჰყავს ჯეისონი და ვინსი და შემდეგ წრეში გასვლაზე საუბარი ნაადრევია", - განაცხადა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე ლებრონმა, რომელმაც მატჩი 46 წუთში ერთადერთი პერსონალური შენიშვნით დაასრულა. ჯეიმსმა თამაშიდან 16-დან 9 სროლა გამოიყენა.

კარტერმა და კიდმა კი კოშმარულად ისროლეს და **მიკი მურის** საფლეიოფო კარიერული რეკორდებიც (25 ქულა და 11 ზუსტი სროლა) უსარგებლოდ დარჩა. ვინსმა და მისმა სუპერპარტნიორმა, ჯამში 39-დან 30 (!) ტყორცნა ვერ გამოიყენეს, თუმცა კიდი ერთხელაც წაეპოტინა სამმაგ დუბლს. ისე, ინფორმაციისთვის - კიდი ამ სეზონში ერთ მატჩში საშუალოდ ზუსტად იმდენ საფლეიოფო მოხსნას აგროვებს (10.4), რამდენსაც "ჩიკაგო ბულზის" ცენტრი **ბენ უოლასი**. 17 მოხსნით ჯეისონმა კარიერის საფლეიოფო რეკორდი დაამყარა.

ბოლო მეოთხედში "ნიუ ჯერსის" "დიდმა სამეულმა" (კარტერი-კიდი-**რიჩარდ ჯეფერსონი**) თამაშიდან 13 სროლა შეასრულა და მხოლოდ ერთი გამოიყენა, კარტერმა კი, ბოლო წამებზე, როდესაც მისი გუნდი 2 ქულას აგებდა, მეტოქის ფარქვეშეთში მარტოდ დარჩენილმა ბურთი ვერ დაიმორჩილა და გვერდით ხაზს იქით გადაუშვა. ვინსს შეცდომა "კავალიერსის" ვეტერანმა უკანახაზელმა **ერიკ სნოუმ** დააშვებინა.

"მატჩი პირადად წავაგე, თუმცა ისიც ვიცი, რომ ამ სიტყვებით არაფერი შეიცვლება", - აღნიშნა კარტერმა.

"ნიუ ჯერსის" შეუძლია, მომდევნო სეზონისთვის დაიწყოს მზადება.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ᲐᲚᲐᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

Ნ. ᲯᲔᲠᲡᲘ (6)-ᲙᲚᲘᲕᲚᲔᲜ (2) 85:87

20:19, 26:23, 23:29, 16:16

ნიუ ჯერსი: ვ. კარტერი (25 ქ. 9 მ. 9 პ. 3 ჩ), მური (25 ქ. 4 მ), რ. ჯეფერსონი (15 ქ. 3 პ), კიდი (5 ქ. 17 მ. 7 პ).
კლივლენდი: ლ. ჯეიმსი (30 ქ. 9 მ. 7 პ), პიუზი (19 ქ. 2 ჩ. 2 დ), ილგაუსკასი (13 ქ. 11 მ), გუდენი (8 ქ. 10 მ).

ᲡᲔᲠᲘᲐ 1:3

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

Ს.ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ (3)-ᲤᲘᲜᲘᲥᲡ (2) 98:104

22:24, 23:16, 35:32, 18:32

სან ანტონიო: ტ. პარკერი (23 ქ. 7 პ. 6 მ. 2 ჩ), დანკანი (21 ქ. 11 მ. 3 დ), ფინლი (17 ქ. 5 მ), ბ. ბერი (12 ქ), ჯინობილი (10 ქ. 4 მ. 4 პ).
ფინიქსი: ა. სტაუდმაიერი (25 ქ. 9 მ. 3 ჩ), ნეში (24 ქ. 15 პ), კურტ ტომასი (14 ქ. 5 მ. 2 დ), მერიონი (12 ქ. 12 მ. 2 ჩ. 2 დ), რ. ბელი (12 ქ. 4 მ), ბარბოსა (10 ქ. 7 მ).

ᲡᲔᲠᲘᲐ 2:2

ᲙᲝᲚᲐᲜᲯᲔᲚᲝ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘᲐ

"ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ ᲠᲔᲙᲢᲠᲘᲖᲘᲡ" პრეზიდენტი და გენერალური დირექტორი - **ბრაიან კოლანჯელო** NBA-ის წლის საუკეთესო ხელმძღვანელი გახდა. ლიგის შეფობამ მას უკვე გადასცა სპეციალური პრემია.

გამოკითხვაში ასოციაციის კლუბების 45 დირექტორი იღებდა მონაწილეობას. კოლანჯელომ 20 ხმა მიიღო და დიდი უპირატესობით მოუგო მეორე ადგილზე გასულ **კაროლ დოუსონს** - "პიუსტონის" გენერალურ მენეჯერს. ამ უკანასკნელის ანგარიშზე 9 ხმა იყო.

კოლანჯელოს ეს პრემია 2005 წელსაც აქვს მიღებული, როცა ის "ფინიქს სანზში" მუშაობდა, ხოლო მისი მამა - **ჯერი კოლანჯელო**, ანალოგიურ პრიზს ოთხჯერ ფლობდა.

ბრაიან კოლანჯელო "ტორონტოში" 2006 წლის 28 თებერვალს მივიდა, მანამდე ის 15 წელიწადი "ფინიქსში" მოღვაწეობდა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲫᲝᲠᲔᲑᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ პრესაში პერიოდულად ჩნდება ინფორმაციები ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვარსკვლავთა სავარაუდო ტრანსფერების შესახებ.

ასე მაგალითად, ბოლო ცნობით, "მაიამი ჰიტი" სერიოზულად არის დაინტერესებული "სიეტლიდან" თავისუფალი აგენტის - **რაშარდ ლუისის** აყვანაზე. ჯერჯერობით ცნობილი არ არის, რითი დაინტერესებენ მაიამელები "სონიქსს", შესაძლოა, რაშარდის გადასაბირებლად მათ მესამე კლუბიც დაიხმარონ და გრანდიოზული ტრეიდი გაჩარხონ.

Sacramento Bee-ის ინფორმაციით, "საკრამენტო კინგზი" უახლოეს ხანებში თავისი ვარსკვლავური ფორვარდის - **რონ არტესტის** გასხვისებას აპირებს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ არტესტს სერიოზული მყიდველები გამოუჩნდებიან.

ფლეი ოფში განცდილი ფიასკოს შემდეგ, "დალასის" მთავარმა მწვრთნელმა - **ეიფერი ჯონსონმა** აითვალწუნა **ტერი-ჰარისის** დუეტი და შესაძლოა, პირველმა მათგანმა სხვა კლუბში ამოჰყოს თავი.

■ ■ ■

ჭორები მხოლოდ მოთამაშეებზე არ ვრცელდება. ყურადღების ცენტრში მწვრთნელებიც არიან. ფლეი ოფის კიდევ ერთი იმედგაცრუება - "ჰიუსტონ როკეტსი" სავარაუდოდ, მთავარ მწვრთნელ **ჯეფ ვან განდის** გამოეთხოვება, ხოლო მის ნაცვლად მიწვეული იქნება "საკრამენტოს" ყოფილი დამრიგებელი - **რიკ ადელმანი** ან "კლივლენდის" ყოფილი თავკაცი - **პოლ სილასი**.

New York Daily News-ის ცნობით კი, თუ წლეულს "მემფისი" დრაფტის პირველი ნომრის არჩევის უფლებას მიიღებს, მაშინ ეს გუნდი შეიძლება, ცნობილმა **ლარი ბრაუნმა** ჩაიბაროს.

ᲚᲣᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡ MVP ᲒᲐᲮᲓᲐ

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡ ჩემპიონატში რეგულარული ჩემპიონატი დასრულდა და ფლეი ოფის დაწყებამდე, ABC ლიგის ხელმძღვანელობამ მიმდინარე სეზონის უძვირფასესი მოთამაშე გამოავლინა.

საპატიო ტიტული რეგულარულის გამარჯვებულის - "ტაუგრესის" არგენტინელმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა, **ლუის სკოლამ** მოიპოვა. ეს კალათბურთელი მეორედ გახდა ამ პრიზის მფლობელი - პირველად, სკოლა ესპანეთის ჩემპიონატის MVP-ედ 2005 წელს დასახელდა.

წლევანდელ გამოკითხვაში, არგენტინელის მთავარი კონკურენტი "ბარსელონას" გამთამაშებელი - **ხუან კარლოს ნავარო** იყო, რომელიც მეორე ადგილზე გავიდა.



ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲐᲛᲐᲠᲔ ᲡᲢᲐᲣᲓᲛᲐᲘᲔᲠᲘ

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲐᲛᲐᲠᲔ ᲡᲢᲐᲣᲓᲛᲐᲘᲔᲠᲗᲐᲜ

ᲒᲕᲐᲒᲘᲜᲝᲜ, ᲒᲕᲪᲔᲛᲝᲜ, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲝᲕᲘᲒᲔᲑᲗ

ᲐᲛᲐᲠᲔ ᲡᲢᲐᲣᲓᲛᲐᲘᲔᲠᲛᲐ ᲝᲠᲘ წლის წინათ, "ფინიქსისა" და "სან ანტონიოს" სერიაში, ერთ მატჩში საშუალოდ 37 ქულა დააგროვა, თუმცა ეს არ აღმოჩნდა საკმარისი სერიის მოსაგებად და ტიმ დანკანის გუნდმა, ამის შემდეგ მთელი ფლეი ოფი მოიგო. მაშინდელსა და დღევანდელ ამარეს შორის დიდი განსხვავებაა - ზურგისა და მარცხენა მუხლის მძიმე ტრავმების მერე, არიზონელთა მძიმე ფორვარდმა სისწრაფეში უკლო, თუმცა გამოცდილება შეიძინა და შემტევი არსენალიც გაამრავალფეროვნა.

დღევანდელ "ფინიქსში" ამარე სტივ ნეშის შემდეგ მეორე კაცია, ნებისმიერ სხვა გუნდში კი ახალგაზრდა ვარსკვლავი, ალბათ, უპირველესი შემტევი მოთამაშე იქნებოდა და ყველაზე ქარიზმატულ ფიგურად ჩამოყალიბებაც არ გაუჭირდებოდა.

მეოთხე შეხვედრაში, "ფინიქსმა" უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა და მეხუთე მატჩს გამოცდილი, მაგრამ აშკარად დაბერებული ოპონენტის წინააღმდეგ უკვე შინ ჩაატარებს. აღნიშნულ ინტერვიუში ამარე სწორედ ამ მატჩსა და სერიაზე საუბრობს.

- დანკანმა თქვა, რომ ეს მატჩი ამარემ მოიგოო.

- ტიმი არაჩვეულებრივი ადამიანია, თუმცა ეს არ ყოფილა მხოლოდ მისი ზრდილობისა და ტაქტის ნიშანი - დღევანდელი თამაშით მართლაც კმაყოფილი ვარ, თუმცა მიმაჩნია, რომ არც მე და არც "სანზს" საუკეთესო კალათბურთი ჯერ არ გვითამაშია.

- მესამე მეოთხედის ბოლოს, "სან ანტონიო" არაჩვეულებრივ კალათბურთს თამაშობდა, "სპურსი" 11 ქულით გავიდა წინ, დანკანს ვერ აჩერებდით. რა გითხრათ დენტონიმ წუთშესვენებაზე, რომლის მერეც გუნდი სულ სხვა დონეზე ათამაშდა?

- მაიკმა დაგვამშვიდა, წინ მთელი მეოთხედია და თუ მეტოქეს ჩვენ რიდსა და ნერვიულობას არ ვაგრძნობინებთ, ყველაფერი მშვენივრად იქნებაო.

- ეთანხმებით თუ არა იმას, რომ ამ სერიის გამარჯვებულს ჩემპიონობის საუკეთესო შანსები აქვს?

- ასი პროცენტით ვეთანხმები. მომავალი ჩემპიონი "სანზისა" და "სპურსის" სერიაშია.

- ბრიუს ბოუენთან ინციდენტი დასრულებულია?

- რა უნდა დასრულებულიყო? მე, მხოლოდ და მხოლოდ, ჩემი აზრი გამოვთქვი და "სპურსის" ფანებს ეს არ მოეწონათ. ეს გასაგებია - მე ხომ მათი გუნდი გავაკრიტიკე, მაგრამ მერწმუნეთ, "სან ანტონიო" მართლაც ძალიან უხეშობს. მესამე შეხვედრაში "სპურსმა" მსაჯებისგან რამდენჯერმე ისეთი არარსებული საჯარიმო სროლები მიიღო, რომ... ამაზე საუბარიც კი არ მსურს. ბოუენი კი ორჯერ განგებ ეუხეშა სტივ ნეშს, მაგრამ მსაჯებმა არცერთ შემთხვევაში არ დააფიქსირეს თამაშის წესის დარღვევა. ბრიუსი ნიჭიერი, გამოცდილი მოთამაშეა, მაგრამ თუ იგი ხედავს, რომ მოწინააღმდეგეს ველარ აჩერებს, მაშინ მის გასაჩერებლად ყველაფერზე მიდის. ასე არ შეიძლება. მე მხოლოდ ეს ვთქვი, "სპურსის" ფანებმა კი თავიანთ მტრად გამომაცხადეს. ეგ არაფერი, მისტვინონ, მაგინონ, მცემონ - მაინც მოვიგებთ სერიასაც და ჩემპიონატსაც.

- მეოთხე მეოთხედის დასაწყისში მეხუთე ფოლი რომ მიიღეთ, მწვრთნელმა შეგცვალათ, თქვენ კი მოედნიდან იქამდე არ გახვედით, სანამ მსაჯი ტექნიკურით არ დაგემუქრათ.

- სულელურად მოვიქეცი, მაგრამ თამაშში იმდენად ვიყავი ჩართული, რომ თავიდან ვერც კი შევნიშნე, რომ ჯარიმა მე მომცეს. არადა, იმ ეპიზოდში ფოლი უფრო მერიონზე უნდა დაეფიქსირებინათ.

- დაიბრუნა თუ არა "სანზმა" ფავორიტობა?

- ჩვენ ამ მატჩამდეც ფავორიტები ვიყავით. უბრალოდ, "სპურსს" გაუმართლა და სერიის მესამე მატჩი მოიგო. ფავორიტი სერიის დაწყებამდეც "ფინიქსი" იყო და მომდევნო წრეში გასვლის უკეთესი შანსიც ჩვენ გვაქვს.

- "სპურსი" იმ თამაშში ჩაითრიეთ, რომელიც თქვენთვის უფრო მისაღებია.

- გეთანხმები. ამასთან ერთად, მეტოქეს იმდენი ძლიერი ინდივიდუალისტი ჰყავს, რომ სწრაფ თამაშში მათ ისევე უიოლდებათ ბევრი რამის გაკეთება, როგორც ჩვენ. დანკანი ერთი შეხედვით მოუქნელი, ზანტი ტიპია, მაგრამ დააკვირდით, რა სწრაფად ფარავს იგი დიდ სივრცეს.

- ბოლო მეოთხედი ნეშს ეკუთვნოდა.

- ასეა. სტივიმ ერთხელაც დაამტკიცა, რომ უძლიერესი გამთამაშებელი და ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა.

- შონი კი ბოლო მეოთხედის მოთამაშედ იქცა.

- არც ამის საწინააღმდეგო მაქვს რამე. მერიონმა მშვენივრად იცის, რომ მისი დრო ადრე თუ გვიან მაინც მოვა და თავის შანსს ელის. მერიონი დაცვის პირველ ხუთეულში უნდა შეეყვანათ. დიდი შეცდომა დაუშვეს. შონი ამას იმსახურებდა.

- სერია რა ანგარიშით დასრულდება?

- 4:2 "ფინიქსის" სასარგებლოდ. "სანზი" "სპურსზე" უკეთესი გუნდია.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ᲕᲘᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ

ᲛᲔᲘᲕᲔᲖᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲐᲡ ᲔᲚᲘᲡ

ᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐ, **ᲝᲡᲙᲐᲠ ᲓᲔ ᲚᲐ ᲰᲝᲘᲐᲡᲗᲐᲜ** გამარჯვების შემდეგ, **ᲤᲚᲝᲘᲓ ᲛᲔᲘᲕᲔᲖᲔᲠᲛᲐ** განაცხადა, კრივიდან მივდივარო, მაგრამ მისი ეს სიტყვები სერიოზულად ბევრს არავის მიუღია. ცოტა ხანში კი, ნიუ იორკში ჩატარებულ პრესკონფერენციაზე, მეივეზერმა განაცხადა, კრივიდან კი წავედი, მაგრამ თუ ოსკარი დამიკავშირდება და რემატჩს შემომთავაზებს, ალბათ, დავთანხმდებიო.



ᲤᲚᲝᲘᲓ ᲛᲔᲘᲕᲔᲖᲔᲠᲘ

"საინტერესო ბრძოლა გვქონდა. ვფიქრობ, მეორე ბრძოლა, თუ ის შედგა, გაცილებით საინტერესო იქნება, რადგან ახლა უკეთ ვიცით ერთმანეთის ბრძოლის მანერა და ჩვენს მოქმედებაში მეტი აგრესიაც იქნება. სხვა მხრივ, ამ სპორტში დასამტკიცებელი არავისთვის აღარაფერი დამრჩა", - ამბობს მეივეზერი, ვინც დე ლა ჰოიას მსაჯთა არაერთსულოვანი გადაწყვეტილებით აჯობა.

სხვათა შორის, მეივეზერმა დე ლა ჰოიას გზით წასვლა გადაწყვიტა და საკუთარი საპრომოუტერო კომპანია შექმნა, რომელსაც ამ ეტაპზე ფინანსური რესურსების მიზიდვა არ აწყენდა. ჰოდა, ამისთვის ოსკართან კიდევ ერთხელ შეხვედრა საუკეთესო საშუალება იქნებოდა.

შეგახსენებთ, რომ მათი პირველი ბრძოლა პროფესიული კრივის ისტორიაში ყველაზე შემოსავლიანი გახდა. მისი ჩვენების უფლება 2.15-მა მილიონმა ტელემაყურებელმა შეიძინა. საკაბელო ტელეკომპანიების საერთო შემოსავალმა კი 120 მილიონ დოლარს მიაღწია. მეივეზერმა ამ ბრძოლისთვის 25-30 მილიონი დოლარი მიიღო, დე ლა ჰოიას ჰონორარი კი გაცილებით მეტი (50 მილიონამდე) იყო.

მეივეზერი თითქმის დარწმუნებულია, რომ მალე მიიღებს ოსკარისგან რემატჩის შეთავაზებას. რატომ? იმიტომ რომ, "ოქროს ბიჭმა" თავისი ბოლო ხუთი ბრძოლიდან მესამე წააგო და წაგებული რინგიდან წასვლას არ ისურვებს. მეორეც, მცირე განსხვავებით წაგება იმას ნიშნავს, რომ მოგებასთან ახლოს იყო. ესე იგი, შეუძლებელი არაფერია. თანაც, მას სხვა დაუსრულებელი საქმეებიც აქვს. მაგალითად, **ფელიქს ტრინიდიდთან** რევანში.

"ვიცი, მას რევანში სწყურია. ჰოდა, თუ ასეა, დამირეკოს და თავად მითხრას ყველაფერი. აქ საქმეში მოკრივის თავმოყვარეობაა ჩართული და როცა ასეა, ადრე თუ გვიან, ის ამ ნაბიჯს გადადგამს. და კიდევ, თუ ის გარწმუნებთ, რომ რინგს აღარ დაუბრუნდება, ჩათვალეთ, რომ ყველაფერი პირიქითაა", - ამბობს მეივეზერი.

საკაბელო ტელეარხ " HBO სპორტსის" შეფი **როს გრინბურგი** ამბობს, რომ მას მეივეზერის წასვლის არ სჯერა. კაცი, რომლის ბრძოლის სანახავად 16 200-იანი ტრიბუნა გაივსება, რინგიდან არასგზით არ წავაო.

"მისთვის ყველაფერი ახლა იწყება. ის შესანიშნავ ფორმაშია და კიდევ ბევრი დიდი ბრძოლის გამართვა შეუძლია. სხვა თუ არაფერი, როცა იგებ, რომ დე ლა ჰოიასთან შენი შეხვედრა კრივის ისტორიაში ყველაზე შემოსავლიანი იყო, რატომ უნდა წახვიდე სპორტიდან? დამიჯერეთ, ის უსაქმოდ ერთ წელიწადსაც ვერ გაძლებს", - ირწმუნება გრინბურგი.

თუ დე ლა ჰოია ფლოიდთან მეორედ შეხვედრას მაინც არ ისურვებს, ამით საქმე მაინც არ გაფუჭდება. ბევრი ძლიერი მოკრივეა, რომლებსაც მეივეზერთან შეხვედრა სურთ. ბრიტანელ **რიკი ჰატონს** რომ თავი დავანებოთ, ვისაც მეივეზერი ახლოსაც არ იკარებს, მასთან დიდი სიამოვნებით იბრძოლებენ **შეინ მოსლი**, ვინც დე ლა ჰოიას სპარინგ-პარტნიორობდა, WBO-ის როჭოს წონის (66.68 კგ-მდე) მექსიკელი ჩემპიონი **ანტონიო მარგარიტო**, WBA-ის როჭოს წონის პუერტო რიკოელი ჩემპიონი, პროფესიულ რინგზე ჯერაც დაუმარცხებელი **მიგელ კოტო**, **ზებ ჯუდა**, ვინც ფლოიდს სასტიკად ჰყავს დამარცხებული და ტრინიდადი, ვისაც ხელთათმანები ლურსმანზე აქვს დაკიდებული.

ყველაზე საინტერესო მეტოქე ალბათ მაინც ტრინიდადი იქნება, ვინც მსოფლიო ჩემპიონის ტიტულებს როჭოს, ქვესაშუალო (69.85 კგ-მდე) და საშუალო წონებში ფლობდა. ეს ის მოკრივეა, ვინც დე ლა ჰოიას მის კარიერაში პირველი მარცხი აგემა (1999 წელს, მსაჯთა არაერთსულოვანი გადაწყვეტილებით). ფელიქსს ნათქვამი აქვს, ფლოიდთან შეხვედრაზე ყაბულს ვარ, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი ბრძოლა საშუალო წონაში (72.58 კგ-მდე) ჩატარდებაო.

ტრინიდადი სპორტიდან 2005 წელს მას შემდეგ წავიდა, რაც ქულებით წააგო **რონალდ (ვინკი) რაიტთან**. მაგრამ დე ლა ჰოიას გარდა, ის ერთადერთი მოკრივეა, ვისთან ბრძოლაშიც მეივეზერს დიდი ფულის შოვნის იმედი შეიძლება ჰქონდეს. ამით კი, არანაკლებ დაინტერესებულნი, პრომოუტერებიც იქნებიან.

მეივეზერი ახლავე გამორიცხავს მარგარიტოსთან შეხვედრას - მას არავინ იცნობს და მისი ჩხუბის სანახავად დიდ ფულს არავინ გადაიხდისო. ამის გარეშე კი ამიერიდან ხელის მოქნევას არ ვაპირებ, რადგან კრივი ჩემთვის, პირველ რიგში, ბიზნესი გახდაო. *"ამ ეტაპზე, მხოლოდ ორი მოკრივე ვიცი, რომლებთან ბრძოლაც ღირს, ვინ არიან ისინი? დე ლა ჰოიაზე უკვე გითხარით, მეორის გამოცნობა კი არ გაგიჭირდებათ"*, - ბანქოს ბოლომდე არ ხსნის გაბიზნესმენებული მოკრივე, ვისაც პროფესიულ რინგზე მარცხის სიმწარე არ უგემია, თავად კი 38 მოიგო (აქედან 24 ნოკაუტით).

და კიდევ, დე ლა ჰოიასა და მეივეზერის ბრძოლის წინ, HBO-მ თავის მაყურებლებს სამი კვირის განმავლობაში რეალიტი შოუ "24-7" უჩვენა. ამ შოუს მეშვეობით, კრივის მოყვარულებს საშუალება ჰქონდათ, თვალი ედევნებინათ მომავალი მეტოქეების მზადებისთვის, უკეთ გაეცნოთ ისინი. თუ დე ლა ჰოია ყოველთვის გამოირჩეოდა მასმედიასთან გახსნილი ურთიერთობით, მაყურებელმა მეივეზერი კულისებს მიღმა პირველად იხილა. სხვათა შორის, ამ გადაცემას დიდი რეიტინგი ჰქონია და თავადაც დიდი გავლენა იქონია ბრძოლისადმი ინტერესის გაღვივებაზე.

ჰოდა, ახლა გრინბურგი ამბობს, ვისაც გინდათ, იმას შეხვდეს დე ლა ჰოიაცა და მეივეზერიც, ამ რეალიტი შოუს ახალი პერსონაჟებით კვლავ გიჩვენებთო...

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ

ᲓᲝᲞᲘᲜᲒᲘ

ᲚᲔᲜᲓᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲨᲢᲐᲢ ᲙᲐᲚᲘᲤᲝᲠᲜᲘᲘᲡ ქალაქ მალიბუში დაიწყო ტურ დე ფრანსის შარშანდელი ჩემპიონის, ამერიკელი **ფლოიდ ლენდისის** საქმის განხილვა. ლენდისს ბრალი ედება აკრძალულ ჰორმონ ტესტოსტერონის გამოყენებაში. საქმეს განიხილავს აშშ-ის დოპინგსანინაალმდეგო სააგენტო (USADA).

სანამ მოსმენა დაიწყებოდა, ლენდისმა განაცხადა, რომ სააგენტოსგან მიიღო შემოთავაზება, რომლის მიხედვითაც, სააგენტო მას სასჯელის შემსუბუქებას პირდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ველომრბოლი ჩვენებას მისცემდა ტურის შვიდგზის ჩემპიონის, ამერიკელი **ლენს არმსტრონგის** წინააღმდეგ.

ეს შეთავაზება ლენდისის ადვოკატმა USADA-ს მთავარ მრჩეველ **ტრევის ტიგარტისგან** მიიღო. ტიგარტმა საპასუხოდ განაცხადა, რომ მას სააგენტოს წესები ამ თემაზე ლაპარაკის საშუალებას არ აძლევს, მაგრამ თუ ლენდისი დამთანხმდება, მაშინ ამ საიკთხზე დიდი სიამოვნებით მოგახსენებთო.

საქმის განხილვის დაწყებისთანავე, ლენდისმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ არასოდეს გამოუყენებია აკრძალული პრეპარატები და რომ მისი ჩავარდნა მხოლოდ ფრანგული (შატენე-მალაბრის) ლაბორატორიის შეცდომის ბრალია. ამასთან, მან ხაზი გაუსვა, რომ USADA-ს მეტისმეტ დაინტერესებას ავლენს მისთვის ბრალის დამტკიცების საქმეში და რომ ეს საქმე სააგენტოსთვის ნამდვილ "საღვთო ომად" იქცა.

საქმის განხილვა დაახლოებით ათ დღეს გასტანს და თუ ბრალი დაუმტკიცდა, ლენდისს ტურის ჩემპიონის წოდებასაც ჩამოართმევენ და ორწლიან დისკვალიფიკაციასაც მიუსჯიან. ამასთან, ის გახდება პირველი ველომრბოლი, ვინც ტურის ჩემპიონის წოდებას დოპინგის გამო დაკარგავს.

ლენდისის ვექილი **მორის სუ** ამტკიცებს, რომ შატენე-მალაბრის ლაბორატორია ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტს და რომ მის თანამშრომლებს სინჯები აერიათ. მაგრამ სააგენტოს ადვოკატი **რიჩარდ იანგი** ამბობს, რომ ლაბორატორიის მიერ ჩატარებული ტესტის შედეგი მტკიცებულებადაა აღიარებული და ამ თემაზე ლაპარაკი წყლის ტყუილად ნაყვაა.

"ლენდისი ფსონს განმეორებით ტესტებზე ჩამოვიდა, მაგრამ ამ ტესტების შედეგებმა წააგებინა - რვავე ტესტმა დადებითი პასუხი მოგვცა", - ამბობს იანგი. ამის პასუხად, სუმ კითხვა დასვა - *"ფლოიდმა იცოდა, რომ მას აუცილებლად შეამოწმებდნენ. ჰოდა, რა აზრი ჰქონდა ტესტოსტერონის მილებას, თუკი ამით ის წაგებული დარჩებოდა"*? ამ კითხვას მან თავადვე უპასუხა - ყველაფრის მიზეზი ლაბორატორიაში არსებული ქაოსიაო.

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ

16 ᲛᲐᲘᲡᲘ. ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ

HTB-ᲐᲚᲘᲡᲘ (ᲣᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი. არგენტინის ჩემპიონატი. სან ლორენსო-რივერ პლეიტი.
14:10 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:10 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
16:55 პირდაპირი ხაზი.
17:55 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-რეკრეატივო.
19:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:05 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:05 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი. ინგლისის ჩემპიონატი. შეფილდი-ვიგანი.
23:15 ტოქ-შოუ - 90 წუთი.
00:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:00 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

SPORT 1 (ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ)

08:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:00 სპორტინფორმი.
09:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:15 სპორტინფორმი.
10:25 ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. არსენალი-შახტარი.
12:10 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. კოტბუსი. გერმანია.
14:26 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
14:53 აფროსნობა. ამერიკის თასი.
15:23 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-ატლეტიკო.
17:08 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:00 სპორტინფორმი.
18:10 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
19:03 აფროსნობა. ამერიკის თასი.
19:30 სპორტინფორმი.
19:40 ჰოკეი. სტენლის თასი. 1/2 ფინალი. ანაჰაიმი-დეტროიტი. III მატჩი.
21:35 აფროსნობა. ამერიკის თასი.
22:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალის წინ.
22:33 სპორტის ისტორია.
22:45 ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალი. სევილია-ესპანიოლი. გლაზგო. შოტლანდია (LIVE).
00:45 სპორტკლუბი.
01:16 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-ატლეტიკო.
03:00 ჰოკეი. სტენლის თასი. 1/2 ფინალი. ოტავა-ბაფალო. IV მატჩი (LIVE).
05:35 აფროსნობა. ამერიკის თასი.
06:05 ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. არსენალი-შახტარი.

EUROSPORT

10:30 საფეხბურთი პროგრამა - გოლი.
10:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
11:30 მულტისპორტი.
12:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალის წინ. ესპანიოლი.
13:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალის წინ. სევილია.
14:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. რომი. იტალია.
15:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. რომი. იტალია (LIVE).
17:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. IV ეტაპი (LIVE).
18:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. რომი. იტალია (LIVE).
21:00 სუმო.
22:00 პოკერი. ევროპის ტური. ბადენი. ავსტრია.
23:00 აფროსნობა.
23:05 მულტისპორტი.
00:10 ცხენოსნობა.
00:15 მულტისპორტი.
00:20 გოლფი. US PGA-ს ტური.
01:15 აფროსნობა.
01:30 რესტლინგი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ლაკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. ჩეხეთი-იროკოისი. ჰალიფაქსი. კანადა.
13:30 მულტისპორტი.
14:00 ახალი ამბები.
15:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალის წინ. ესპანიოლი.
16:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალის წინ. სევილია.
17:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. რომი. იტალია (LIVE).
19:00 ლაკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. ჩეხეთი-იროკოისი. ჰალიფაქსი. კანადა (LIVE).
02:00 ახალი ამბები.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲮᲔᲚᲘ ᲮᲐᲖᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲘ

ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲐᲢᲘ. ᲤᲘᲜᲐᲚᲘ 1/2

ᲓᲔᲠᲑᲘ-ᲡᲐᲣᲗᲗᲔᲠᲔᲜᲘ	2:3 (ᲞᲔᲜ. 4:3 (2:1)

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ᲡᲔᲠᲘᲐ B

ᲑᲠᲔᲨᲘᲐ-ᲜᲐᲞᲝᲚᲘ	0:1

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ

ᲞᲔᲚᲡᲘᲜᲒᲑᲝᲠᲒᲘ-ᲛᲐᲚᲛᲝ	0:1

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ᲓᲘᲖᲔᲠᲒᲝᲠᲒᲘ-ᲐᲒᲕᲘᲓᲐᲑᲔᲠᲒᲘ	ᲓᲔ. 3:2

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ᲐᲓᲛᲘᲠᲐ-ᲨᲢᲣᲒᲐᲠᲢᲘ	0:2
ᲐᲣᲡᲢᲠᲘᲐ A-ᲞᲐᲠᲒᲑᲔᲠᲒᲘ	2:1
ᲚᲘᲜᲪᲘ-ᲙᲐᲣᲤᲣᲜᲑᲔᲠᲒᲘ	2:1
ᲑᲠᲐᲒᲐᲠᲜᲘ-ᲙᲘᲠᲜᲑᲔᲜᲘ	2:0
ᲚᲘᲜᲪᲘᲠᲘ-ᲐᲣᲡᲢᲠᲘᲐ (ᲚᲘ)	3:2
ᲚᲘᲜᲪᲑᲔᲜᲘ-ᲞᲐᲠᲜᲚᲘᲠᲗᲘ	1:0

ᲪᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘ

ᲤᲚᲘᲐᲜᲘ ᲝᲗᲮᲘ

ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ-ᲙᲝᲚᲘᲣᲡᲘ	3:2
ᲨᲕᲔᲪᲐᲠᲘ-ᲙᲘᲚᲘᲜᲐ	0:5

ᲰᲝᲚᲜᲔᲗᲘ

ᲪᲚᲝᲪᲙᲘ-ᲚᲔᲩᲜᲐ	0:1

ᲚᲘᲒᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ᲑᲔᲚᲩᲐᲒᲝᲕᲘ-ᲙᲝᲠᲝᲜᲐ	1:0
ᲖᲐᲒᲚᲔᲯᲐ-ᲒᲠᲘᲤᲚᲘᲜᲘ	3:3

ᲡᲔᲠᲑᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ᲕᲝᲯᲕᲝᲓᲘᲜᲐ-ᲪᲠᲕᲔᲜᲐ ᲖᲕᲔᲖᲓᲐ	0:2

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲐᲡᲠᲗ-ᲞᲝᲚᲘᲜᲐᲛᲘᲡᲘ	84:80
ᲒᲐᲠᲚᲘ-ᲞᲐᲜᲐᲗᲘᲜᲐᲘᲙᲝᲡᲘ	70:73

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

ᲒᲠᲐᲜᲔᲚᲘ-ᲜᲐᲜᲪᲘ	79:77
ᲚᲘ ᲛᲐᲜᲘ-ᲨᲐᲚᲘᲜᲘ	62:73
ᲨᲝᲚᲔ-ᲠᲣᲐᲜᲘ	60:68
ᲕᲘᲚᲘᲠᲑᲐᲜᲘ-ᲡᲢᲠᲐᲡᲑᲣᲠᲘ	90:74

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ATP. ᲞᲐᲛᲑᲣᲠᲒᲘ

მოია-ფიში	6:0, 6:3
ნიემინენი-სამერერი	6:1, 7:6
ერნანდესი-ბეკერი	6:3, 6:7, 6:3
აკასუსო-გარსია ლოპესი	6:3, 6:4
ბენეტო-შუტლერი	7:6, 6:2
ვოლანდრი-მიურეი	7:5, 6:0
ფერერი-სიოდერლინგი	1:6, 6:3, 6:2
იუჟნი-მაიერი	4:6, 6:2, 6:7
ლუბიჩიჩი-სერა	4:6, 6:2, 6:2
მელცერი-ვასკე	6:3, 6:4
რობრედო-ალმაგრო	7:6, 2:6, 4:6

WTA. ᲠᲝᲛᲘ

ბამერი-დულკო	7:5, 7:5
დეში-გრონეფელდი	6:0, 6:4
დომინგეს ლინო-კანეპი	3:6, 3:6
ვინჩი-ტუ	6:2, 2:6, 4:6
სკიავონე-სტოსური	3:6, 4:6
სრებოტნიკი-მიულერი	6:4, 6:2
შნიდერი-ბარდინა	6:1, 6:2
ბრემონი-იანი	6:2, 0:6, 3:6
გარბინი-პენეტა	6:3, 7:6
სანტანჯელო-მორიგამი	6:2, 6:0
მედინა გარიგესი-ჟენგი	6:2, 6:2
ს. უილიამსი-კრაიჩეკი	6:4, 6:1

ᲰᲝᲙᲔᲘ

შემადგენლობაში ცვლილებებია

"ანაჰაიმთან" სერიის მესამე მატჩში, "დეტროიტის" ხელმძღვანელობა შემადგენლობაში ერთ ცვლილებას გეგმავს. კერძოდ, ფორვარდი **კაილ კალდერი** თავის ადგილს **ტომაშ კოპეცკის** დაუთმობს.

როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, კალდერმა სერიის პირველ ორ მატჩში, საშუალოდ 8 წუთი დაჰყო ყინულზე. მთლიანად ნლევანდელ ფლეი ოფში კი, მის ანგარიშზე მხოლოდ ერთი საგოლე პასი მოდის.

ჩეხი კოპეცკი 15 დეკემბრის შემდეგ, პირველად გავა მოედანზე. ასეთი ხანგრძლივი პაუზა მძიმე ტრავმით იყო გამოწვეული. "რედ უინგზის" უკანასკნელ ვარჯიშზე, კოპეცკიმ **კრის დრეიპერთან** და **კირკ მიოლტბისთან** შეადგინა ტრიო.

■ ■ ■

სერიოზული პრობლემები შეექმნა "დეტროიტის" მეტოქეს. "ანაჰაიმს" სტენლის თასის ბოლომდე გამოაკლდა ფორვარდი - **კრის კუნიტცი**. როგორც გაირკვა, ამ ჰოკეისტმა მარჯვენა ხელი მოიტეხა და ახლა მას ოპერაცია ელის.

კუნიცმა დაზიანება დასავლეთი კონფერენციის ფინალის პირველ მატჩში მიიღო და მომდევნო შეხვედრაში არ უთამაშია. ახლა მას მომავალ სეზონამდე მოუწევს მოცდა.

მიმდინარე ფლეი ოფის 11 მატჩში, კანადელმა თავდამსხმელმა ერთი გოლი გაიტანა და 5 შედეგიანი პასი გააკეთა. რეგულარულ ჩემპიონატში ანალოგიური სტატისტიკა 25 გოლსა და 35 საგოლე გადაცემას ითვლის.

შეგახსენებთ, რომ დასავლეთი კონფერენციის ფინალურ სერიაში ანგარიშია - 1:1. მომდევნო ორი მატჩი "ანაჰაიმის" არენაზე გაიმართება.

ᲓᲝ�პᲘᲜᲒᲘ

WADA-მ 2006 წელი შეაჯამა

მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტომ (WADA), 2006 წელს თავისი ლაბორატორიების მუშაობის შედეგები გამოაქვეყნა.

გასულ წელს, WADA-სა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ აკრედიტირებულმა 34-მა ანტისადოპინგო ლაბორატორიამ 198 143 დოპინგ-ტესტი ჩაატარა. აქედან, 156 866 ტესტი სპორტის ოლიმპიურ სახეობებზე მოდიოდა, 11 717 - არაოლიმპიურზე და 1881 - პარაოლიმპიურ სახეობებზე.

ოლიმპიური სახეობებიდან, ყველაზე შემონმებადი სპორტი ფეხბურთი იყო - 25 727 ტესტი. შემდეგ მოდიან - მძლეოსნობა (19 781), ბეისბოლი - 15 977, ველოსპორტი - 14 229 და საწყლოსნო სახეობები (11 582).

დოპინგის მიღების ყველაზე მეტი ფაქტი ველოსპორტში დაფიქსირდა - 594 შემთხვევა. მეორე ადგილზე გავიდა ბეისბოლი - 370, შემდეგ მძლეოსნობა - 315, ფეხბურთი - 281 და ძალოსნობა (187). მაგრამ, შეფასების მთავარი კრიტერიუმია სპორტის ამა თუ იმ სახეობაში მთლიანად ჩატარებული და დადებითი შედეგის მქონე ტესტების პროცენტული შეფარდება. ამ მხრივაც, ლიდერი ველოსპორტია - 4.17 პროცენტი. შემდეგ მოდიან: ძალოსნობა - 2.86%, ტრიატლონი - 2.83%, კრივი - 2.39% და ბეისბოლი - 2.32%.

სპორტის ყველაზე სუფთა სახეობებია: ტყვიის სროლა - 0.54% (2406-დან 13), ქიორლინგი - 0.57% (350-დან 2) და ფარიკაობა - 0.60% (326-დან 24).

არაოლიმპიური სახეობიდან ლიდერობენ: ავიასპორტი - 9.28% (97-დან 9), ბრიჯი - 7.694% (39-დან 3), ბილიარდი - 7.36% (326-დან 24), ორიენტირება - 3.46% (463-დან 16) და სერფინგი - 3.30% (91-დან 3).

დაბოლოს, რაც შეეხება პარაოლიმპიურ სახეობებს, აქ 41-მა დოპინგ-ტესტმა აჩვენა დადებითი შედეგი.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ფედერერს მწვრთნელი არ სჭირდება

როგორც უკვე ვნერდით, რომის მასტერსის შემდეგ, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა - **როჯერ ფედერერმა** თავისი მწვრთნელი, ავსტრალიელი **ტონი რიოჩი** დაითხოვა. რამდენიმე წარუმატებელი ტურნირის შემდეგ, შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა გადაწყვიტა, რომ დროებით, მარტოც შეძლებს უახლოეს ხანებში დაგეგმილი დიდი ტურნირებისთვის - როლან გაროსისა და უიმბლდონისთვის მომზადებას. ამიტომაც, როჯერი ჯერ არ ეძებს რიოჩის შემცვლელს.

"მწვრთნელის გარეშეც ვიცი, როგორ უნდა ვითამაშო ამ ტურნირებზე. არ მინდა, რომ მზადების ჩემეულ გეგმაში ვინმე ჩაერიოს. მსურს, თავად ვაკონტროლო საკუთარი თამაში", - განუცხადა ჟურნალისტებს როჯერ ფედერერმა, რომელიც ამჟამად ჰამბურგში იმყოფება, სადაც მასტერსის სერიის მორიგი ტურნირი დაიწყო.

"შესაძლოა, მომავალში კვლავ ავიყვანო ვინმე, ვინც კვალიფიციურად დამეხმარება საწვრთნელი პროცესის ორგანიზებაში", - დაამატა შვეიცარიელმა.

მიურეი დევისის თასზე უარს ამბობს

ბრიტანელი ჩოგბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა - **ენდი მიურეიმ** ცალსახად მიანიშნა იმის შესახებ, რომ წლეულს შესაძლოა არ ითამაშოს დევისის თასის გათამაშებაში. BBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში, შოტლანდიელმა ჩოგბურთელმა განაცხადა, რომ მას ჯერ კიდევ უჭირს ერთი საფარიდან მეორეზე სწრაფი გადასვლა და ახალი პირობებისადმი შეგუება.

"პირველ რიგში, ATP-ის ტურნირებზე უნდა ვიფიქრო და მხოლოდ შემდეგ, დევისის თასზე. კორტის საფარის მუდმივად ცვლა - სახიფათო პროცესია. სწორედ ამის გამო არ თამაშობენ ნადალი და ფედერერი დევისის თასზე. ნაკრებში თამაში მომწონს, მინდა მას მსოფლიო ლიგაში გადასვლაში დავეხმარო, მაგრამ დარნმუნებული არ ვარ, ვითამაშებ თუ არა ხორვატიის წინააღმდეგ", - ამბობს მიურეი, ვისაც გუშინ შეუსრულდა 20 წელი.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ლიგაში გადასასვლელი მატჩი ბრიტანეთსა და ხორვატიას შორის,სექტემბერში გაიმართება.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

DHL და NBA დაკმოგილდნენ

კომპანია DHL-მა კონტრაქტი გააფორმა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციასთან. ამ ხელშეკრულების თანახმად, DHL-ს უფლება აქვს, მთელი აზიის ტერიტორიაზე რეალიზაცია გაუკეთოს NBA-სთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგანს.

ახალი კონტრაქტის მიხედვით, DHL ვაჭრობის ნებისმიერ ასპექტში მიიღებს მონაწილეობას, მათ შორის შედის ტელევიზია და ციფრული მასობრივი საშუალებები. ხელშეკრულების დეტალები პრესისთვის უცნობი დარჩა.

გარდა ამისა, DHL-ს უშუალო კავშირი ექნება 2007 წელს, NBA-ის კლუბების ჩინეთში დაგეგმილ ტურნესთან. შეგახსენებთ, რომ აზიის ამ ქვეყანაში თამაშებს "კლივლენ კავალიერზი" და "ორლანდო მეჯიქი" ჩაატარებენ.

"ეს თანამშრომლობა კალათბურთთან ჩვენი კომპანიის კავშირს აძლიერებს. სპორტის ეს სახეობა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და სწრაფად პროგრესირებადია მთელს ჩინეთსა და აზიაში", - აცხადებს DHL-ის ვიცე-პრეზიდენტი **დენ მაკჰიუ**.



ალფრედსონის გოლი

NHL. ᲤᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ. 1/2 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

სენატორზი ოცნების ფინალს მიუახლოვდა

ᲐᲚᲐᲛᲘᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

ᲝᲢᲐᲕᲐ (4)-ᲑᲐᲤᲐᲚᲝ (1) 1:0

0:0, 1:0, 0:0

გოლი: 1:0 ალფრედსონი-9 (ჰიტლი-13, სპეცა-12).

ᲡᲔᲠᲘᲐ 3:0

ᲐᲚᲐᲛᲘᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ კონფერენციიდან სტენლის თასის ფინალისტის ვინაობა თითქმის გარკვეულია. "ოტავა სენატორზმა" ზედიზედ მესამედ მოუგო "ბაფალო სეიბრზს" და ერთი გამარჯვებაღა აკლია, თავისი არსებობის ისტორიაში საუკეთესო შედეგის დასაფიქსირებლად. თუ "სენატორებმა" ეს სერია თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს, მაშინ ისინი პირველად ითამაშებენ სტენლის თასის ფინალში.

კანადელებმა სრულიად დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწიეს. მასპინძლებმა თითქმის მთელი მატჩი შეტევაში გაატარეს და 32 ზუსტი დარტყმა შეასრულეს. რომ არა "ბაფალოს" მეკარის - **რაიან მილერის** ოსტატობა, ანგარიში გაცილებით უფრო სოლიდური იქნებოდა. სტუმართა გოლკიპერი მხოლოდ ერთხელ ვერ გაერკვა სიტუაციაში. "ოტავას" წამყვანი ტრიოს (**დანიელ ალფრედსონი-დენი ჰიტლი-ჯეისონ სპეცა**) შეტევისას, ჰიტლიმ უძლიერესად დაარტყა, მაგრამ კარს ააცილა, დამცავი ბარიერიდან ასხლეტილი შაიბა, ზედ კარის ხაზთან მყოფ ალფრედსონს მიუვიდა, რომელმაც ცარიელ კარში გაიტანა. ამ დროს, მილერს დაკარგული ჰქონდა საკუთარი კარი.

"ოტავას" მეკარე **რეი ემერის** გაცილებით ნაკლები სამუშაო ჰქონდა. მისი კარის მიმართულებით მხოლოდ 15 შაიბა წავიდა. ოტაველთა კარის დარაჯმა ყველა დარტყმა მოიგერია და ამ ფლეი ოფში მესამე შათაუტი შეასრულა.

ბოლო პერიოდში, "ბაფალო" წესით, გადამწყვეტ შტურმზე უნდა წასულიყო, მაგრამ უკანასკნელ 20-წუთეულში, სტუმრებმა მხოლოდ ხუთჯერ დაარტყეს ზუსტად. ამის მიზეზი შეიძლება ისიც ყოფილიყო, რომ "სეიბრზი" ძალიან ხშირად უხეშობდა, მეტოქეს რიცხობრივ უპირატესობას აძლევდა და ძირითადი დრო, საკუთარი კარის დაცვა უწევდა.

საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ კონფერენციის შარშანდელი ფინალის შემდეგ, "ბაფალომ" პირველად ვერ შეძლო მეტოქის კარში თუნდაც ერთი გოლის გატანა. მაშინ, "კაროლინასთან" სერიის მეოთხე მატჩში, "სეიბრზმა" 0:4 წააგო.

ის, რომ ემერიმდე მხოლოდ 15-მა დარტყმამ მიაღწია, ეს ოტაველი მცველების დამსახურებაცაა. დასათვლელად რთულია, თუ რამდენჯერ გადაეღობნენ ისინი თავგანწირვით სტუმართა დარტყმებს.

მოკლედ, "ოტავა" თამამად შეიძლება სტენლის თასის ფავორიტად ჩავთვალოთ. ამ გუნდმა წლევანდელ ფლეი ოფში 11 მატჩი მოიგო და მხოლოდ ორჯერ (ყველაზე ნაკლები) დამარცხდა. "ბაფალოსთან" გუშინდელი გამარჯვება ზედიზედ მეექვსე იყო ამ სტენლის თასზე, რაც საკლუბო რეკორდი გახლავთ.

და კიდევ ერთი საგულიხმო დეტალი. ამ სერიის სამ მატჩში, "ბაფალოს" 18-ჯერ ჰქონდა რიცხობრივი უპირატესობა, მაგრამ ვერცერთი გამოიყენა. რეგულარულის ყველაზე შედეგიანი გუნდისთვის (308 გოლი 82 მატჩში), ეს მართლაც კატასტროფული მაჩვენებელია.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ტურნირები

ATP

ᲙᲐᲛᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲛᲐᲡᲢᲔᲠᲡᲘ

ᲰᲐᲛᲑᲣᲠᲒᲘ (ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ). ᲗᲘᲮᲜᲐᲠᲘ

ᲡᲐ�პᲠᲘᲖᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ: 2 082 500 ᲔᲕᲠᲝ

I ᲠᲬᲔ

ტომაშ ბერდიჩი (ჩეხ, 10)-ფერნანდო ვერდასკო 7:6 (6), 6:4; **რიშარ გასკე (საფ, 11)**-გასტონ გაუდიო (არგ) 6:1, 6:4; **დავიდ ფერერი (ესპ, 12)**-იონას ბიორკმანი (შვედ) 6:4, 3:6, 6:2; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 14) 7:5, 6:3; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 15)**-სტანისლას ვავრინკა (შვეიც) 6:1, 7:6 (5); **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა, 16)**-აგუსტინ კალერი (არგ) 6:3, 6:4; **პოლ-ანრი მატიო (საფ)**-ოლივიე როხუსი (ბელ) 6:1, 7:6 (3); **ხუან მონაკო (არგ)**-დომინიკ ჰრბატი (სლოვაკ) 6:2, 6:2; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ)**-მარტინ ფერკერკი (ჰოლ) 6:1, 6:3; **არნო კლემანი (საფ)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) 6:3, 6:7 (4), 6:3; **იგორ ანდრეევი (რუს)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს) 6:2, 1:0 ტურსუნოვის ტრავმა; **ჟილ სიმონი (საფ)**-მარკ ფიკელი (საფ) 6:1, 6:0; **მარატ საფინი (რუს)**-ნიკოლას მასუ (რუს) 7:6 (7), 6:4; **რობინ სიოდერლინგი (შვედ)**-რობი ჯინეპრი (აშშ) 4:6, 6:4, 6:3; ფლორან სერა (საფ)-სიმონე ბოლელი (იტა) 6:7 (3), 6:2, 6:2; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ)**-გილერმო კანიასი (არგ) 6:1, 4:6, 6:1.

WTA

Internazionali BNL d'Italia

რომი (იტალია). ᲗᲘᲮᲜᲐᲠᲘ

ᲡᲐ�პᲠᲘᲖᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ: 1 340 000 ᲓᲝᲚᲐᲠᲘ

I ᲠᲬᲔ

დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 9)-არავან რეზაი (საფ) 4:6, 6:1, 6:2; **ელენა დემენტიევა (რუს, 10)**-მარია ელენა კამერინი (იტა) 6:1, 6:2; **შაარ პეერი (ისრ, 11)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) 6:0, 2:0 რადვანსკას ტრავმა; **მეგან შონესი (აშშ)**-ემილი ლუა (საფ) 6:3, 6:2; **აი სუგიამა (იაპ)**-მარია კირილენკო (რუს) 6:4, 5:7, 7:5; **კაროლინა შპრემი (ხორ)**-ელენი დანილიდუ (საფ) 3:6, 6:4, 6:3; **ალიონა ბონდარენკო (უკრ)**-ტიანტიან სუნი (ჩინ) 6:7(6), 7:5, 6:2; **მიხაელ კრაიჩეკი (ჰოლ)**-ოლგა პუჩკოვა (რუს) 6:1, 6:2; **გალინა ვოსკობოევა (რუს)**-ალბერტა ბრიანტი (იტა) 6:2, 6:3; **ტამირა პაჩეკი (ავსტრია)**-ნიკოლ პრატი (ავსტრია) 6:7(1), 6:0, 6:2; **კატალინა კასტანიო (კოლ)**-კარინ ნაპი (იტა) 6:1, 7:5.

ეროვნული სპორტული გაზეთი

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოგა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით მეგელაკორი, დავით შალუტაშვილი, კოგა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
გაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგნანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახვლედიანის 10³,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 **INDEX**

გამოლის ყოველდღე, გარდა კვირისა